რაულ ღიბრაძე

პოლიტიკური სოციოლოგია

„ტექნიკური უნივერსიტეტი"

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რ. ღიბრაძე

პოლიტიკური სოციოლოგია

რეგისტრირებულია სტუ-ს
სარედაქციო-საგამომცემლო
საბჭოს მიერ

თბილისი
2009

ავტორისაგან

ჩვენს მიერ წარმოდგენილი პოლიტიკური სოციოლოგის კურსი შედგენილია ჰუმანიტარული ფაკულტეტების სტუდენტთათვის (სალექციო კურსი), რომელშიც მოცემული შრომის სიმცირის გამო ვერ მოხერხდა პოლიტიკური სოციოლოგიისა და პოლიტიოლოგიის საკითხთა მთელი სისრულით განხილვა და გადმოცემა, მაგრამ აღნიშნული სფეროს უმნიშვნელოვანესი და აუცილებელი საკითხები, როგორიცაა: პოლიტიკის, როგორც სოციალური მოვლენის; ძალაუფლების, როგორც სოციალური ფენომენის; პოლიტიკური სისტემა და მისი ფუნქციები; პოლიტიკურ სისტემათა ტიპები (ტოტალიტარიზმი, ავტორიტარიზმი და განსაკუთრებით დემოკრატია); პოლიტიკური სოციალიზაცია; პოლიტიკური ლიდერი და მისი ფუნქციები; პოლიტიკურ ლიდერთა ტიპოლოგია და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები ჯეროვნად არის განხილული.

შრომაში გამოყენებულია სოციოლოგიის კლასიკოსთა და პოლიტიკური სოციოლოგიის ავტორიტეტულ მკვლევართა: პ. არონის, გ. ალმონდის, ზ. ბაუმანის, ჟ. ბეშლერის, ჟ. ბლონდელის, პ. ბურდიეს, მ. ვებერის, დ. გელდბრაიტის, ე. გიდენსის, პ. დარენდორფის, მ. კროზიეს, გ. მარკუზეს, დ. მორენოს, ტ. პარსონსის, კ. პოპერის, ბ. რასელის, ნ. სმელზერის, შ. ტოფლერის, მ. ფუკოს, ჰ. შარონის, რ. შვარცენბერგის, კ. შმიტტისა და სხვათა შრომები. თანამედროვე ქართველ მკვლევართა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია პროფ. ა. ბერძენიშვილის მიერ გამოცემული პოლიტიკური სოციოლოგიის სახელმძღვანელო.

პოლიტიკური სოციოლოგიის მოკლე კურსი განკუთვნილია პოლიტიკით და სოციოლოგიით დაინტერესებულ სტუდენტთათვის, დოქტორანტებისა და მაგისტრებისათვის.

რედაქტორი	პროფესორი იგორ კვესელავა
რეცენზენტი	პროფესორი ვაჟა შუბითიძე

© საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი", 2009

ISBN 978-9941-14-561-2

http://www.gtu.ge/publishinghouse/

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილი (იქნება ეს ტექსტი, ფოტო, ილუსტრაცია თუ სხვა) არანაირი ფორმით და საშუალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური), არ შეიძლება გამოყენებულ იქნას გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე.

საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება კანონით.

ს ა რ ჩ ე ვ ი

თავი I

პოლიტიკური სოციოლოგიის შესავალი ——————— 5

პოლიტიკა; პოლიტიკური ურთიერთობები; პოლიტიკური ინტერესები; პოლიტიკური პროცესები; პოლიტიკური ინსტიტუტები; პოლიტიკური სისტემა და მისი ფუნქციები; პოლიტიკური ცნობიერება; პოლიტიკური ფსიქოლოგია და იდეოლოგია.

თავი II

ძალაუფლების ფენომენი ——————————— 27

ძალაუფლების ფენომენი ფ. ნიცშესთან; ძალაუფლების მ. ვებერისეული გაგება; ძალაუფლებისადმი სისტემური მიდგომა; ძალაუფლება; ავტორიტეტი; გავლენა.

თავი III

პოლიტიკური სისტემა და მისი ფუნქციები ———————— 51

პოლიტიკური სისტემის ცნება; პოლიტიკური სისტემის სტრუქტურა; პოლიტიკური სისტემის ფუნქციები.

თავი IV

პოლიტიკური სისტემის ტიპები ——————————— 76

ავტოკრატიული წყობა; იეროკრატიული წყობა; დემოკრატიული წყობა; ტოტალიტარიზმი; ავტოკრატიზმი.

თავი V

დემოკრატია ——————————————————— 87

წარმომადგენლობითი ერთპარტიული დემოკრატია; ერთობლივი დემოკრატია; მრავალპარტიული წარმომადგენლობითი დემოკრატია; გარდამავალი ქვეყნების დემოკრატია.

თავი VI

პოლიტიკური სოციალიზაცია ——————————— 108

პოლიტიკური სოციალიზაციის ავტორიტარული, ტოტალიტარული და დემოკრატიული მოდელები.

თავი VII

პოლიტიკური ლიდერი და მათი ტიპოლოგია ———— 127

ლიდერის ნაშან-თვისებების თეორია; სიტუაციური თეორია; კონსტიტუენტების თეორია; ფსიქოლოგიური კონცეფციები. პოლიტიკურ ლიდერთა ტიპოლოგია; დემოკრატიული ლიდერი.

ლიტერატურა ——————————————————— 144

თავი I

პოლიტიკური სოციოლოგიის შესავალი

პოლიტიკური სოციოლოგიის ანუ პოლიტიკურ ურთიერთობათა სოციოლოგიის უმთავრეს და ურთულეს კატეგორიას თვით **პოლიტიკა** წარმოადგენს. როგორც მ. ვებერი აღნიშნავს, იგი ადამიანური მოღვაწეობის ყველა ნაირსახეობას მოიცავს. ცხოვრებაში პოლიტიკად ხშირად მიზანდასახულ ქმედებას მიიჩნევენ. ზოგიერთები პოლიტიკას შესაძლებლობათა ხელოვნებად თვლიან, ზოგი კი პოლიტიკას სულაც ბინძურ საქმედ მიიჩნევს.

თუ გავიხსენეთ ანტიკური პერიოდის დიდ მოაზროვნეებს, მაგალითად, პლატონისთვის პოლიტიკა არის ადამიანის მიერ ადამიანთა მართვის სფერო, უმთავრესად მიმართული სახელმწიფოში გაერთიანებისკენ. არისტოტელეს კი მიაჩნია, რომ პოლიტიკა არის ადამიანური საქმიანობის უმაღლესი ფორმა, საერთო სიკეთის საქმნელად წარმართული საქმიანობა.

ამით დავკმაყოფილდეთ დიდი ავტორიტეტების მცირე ექსკურსით და შევეცადოთ მოკლედ წარმოვადგინოთ პოლიტიკის ის თანამედროვე გაგება, რომელზედაც შეჯერებული არიან პოლიტიკურ სოციოლოგიაში.

უპირველეს ყოვლისა, უნდა ავღნიშნოთ, რომ პოლიტიკური სოციოლოგია იკვლევს საზოგადოების განვითარებისა და ფუნქციონირების ისეთ უმნიშვნელოვანეს სფეროს, როგორიცაა საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრება.

პოლიტიკა წარმოადგენს სოციალურ სუბიექტებს შორის ურთიერთობებს ძალაუფლების მოპოვების მიზნით. იგი არე-

გულირებს ურთიერთობებს სხვადასხვა სოციალური ჯგუფებს, კლასებს, ეროვნულ და სხვა გაერთიანებებს, სახელმწიფოთა შორის დამოკიდებულებებს, სახელმწიფო წყობისა და მმართველობის ფორმებს. პოლიტიკა არის საზოგადოების ცნობიერი თვითრეგულირების ინსტრუმენტი. მართალია, იგი მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების მარეგულირებელია, მაგრამ მისი მოქმედების არიალი რამდენადმე მაინც შემოფარგლულია, მაგალითად, მისი მოქმედება შეზღუდულია სამოქალაქო საზოგადოებაში, ოჯახისა და რელიგიის, ადამიანთა უფლებებისა და სხვა სფეროებში.

პოლიტიკის ავტორიტეტულ და ფუნდამენტალურ მკვლევართა შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ: მ. ვებერი, ჟ. ბეშლერი, კ. შმიტი, ტ. პარსონსი, ა. პანარინი და სხვები. მოკლედ მიმოვიხილოთ მათი მიდგომები და პოლიტიკის, როგორც უმნიშვნელოვანესი ფენომენის, არსობრივი ახსნა, რაზედაცაა დაფუძნებული პოლიტიკის თანამედროვე გაგება.

მაქს ვებერი პოლიტიკას უფრო ვიწრო გაგებით, ანუ სახელმწიფოს ფუნქციად განიხილავს. მას მიაჩნია, რომ „პოლიტიკის მთავარი საშუალება ძალადობაა“ [13.81], ხოლო ძალადობაზე ლეგიტიმური უფლება კი მხოლოდ სახელმწიფოს გააჩნია, ე.ი. პოლიტიკა დაკავშირებულია ძალადობასთან. როგორც მ. ვებერი წერს: „სწორედ სახელმწიფოა ადამიანთა ისეთი ერთობა... რომელიც თავის ხელში იღებს (და წარმატებითაც) მონოპოლიას ლეგიტიმურ ფიზიკურ ძალადობაზე“ [13.12] „პოლიტიკა სხვა არაფერია, თუ არა მისწრა-

ფება ძალაუფლებაში მონაწილეობისაკენ, ან მის განაწილებაზე ზეგავლენის მოპოვებისაკენ; სულ ერთია, იქნება ეს ძალაუფლების გადანაწილება სხვადასხვა სახელმწიფოებს შორის, თუ ერთი რომელიმე სახელმწიფოს შიგნით“ [13.13].

მ. ვებერისაგან განსხვავებით ჟან ბეშლერი წარმოგვიდგენს პოლიტიკის სამ სხვადასხვა მნიშვნელობას: 1. პოლიტიკას ჟ. ბეშლერი განიხილავს, როგორც წესრიგს (განსაკუთრებით კონფლიქტების მოგვარების საქმეში), რომლის მიზანიცაა მშვიდობის დამყარება სამართლიანობის საფუძველზე. მისი აზრით პოლიტიკა ეს არის სინამდვილის განსაკუთრებული სფერო, ანუ წესრიგის განსაკუთრებული სახესხვაობა; 2. პოლიტიკა ეს არის ადამიანური საქმიანობის ჩარჩოები, ანუ ისეთი წესრიგი, რომელიც თავის მხრივ სხვა სახის წესრიგებსაც მოაწესრიგებს და განსაზღვრავს; 3. პოლიტიკა ვიწრო გაგებით, გამოიყენება ფართოდ გაგებული პოლიტიკის მიზნების მისაღწევად. პრაქტიკულად პოლიტიკის ამგვარი გაგება იგივეა, რაც „სტრატეგია“ ე.ი. ჯ. ბეშლერის აზრით პოლიტიკა არის მშვიდობის დამყარების წესი. „პოლიტიკა – ესაა ისეთი წესრიგი, რომლის დანიშნულებაა სახელმწიფოს შიგნით სამართლიანი მშვიდობის უზრუნველყოფა“. [6.27]. „მშვიდობა – ესაა პოლიტიკის საბოლოო მიზანი და პოლიტიკაში არ შეიძლება იყოს მიზანი, რომლისთვისაც მშვიდობა მხოლოდ საშუალება იქნებოდა. სამართლიანობა კი პირიქით, – ექვემდებარება მშვიდობას, ვინაიდან წარმოადგენს მისი მიღწევის

საშუალებას ანუ შუალედურ მიზანს მისკენ მიმავალ გზაზე“ [6.32-33].

კ. შმიტი პოლიტიკაზე მსჯელობისას განსაკუთრებულად გამოჰყოფს პოლიტიკის წარმოების კომფლიქტურ ხასიათსა და ნაკლებ ყურადღებას აქცევს მის როგორც შეთანხმებისა და კონსენსუსის მიღწევის მნიშვნელობას. იგი ეძებს პოლიტიკის განსაზღვრებისათვის აუცილებელ კატეგორიებსა და საფუძველს, ასეთად კი მას მიაჩნია მეგობრისა და მტრის ურთიერთობა. როგორც კ. შმიტი წერს, „სპეციფიკური პოლიტიკური განსხვავება, რომელზეც შეიძლება დავიყვანოთ პოლიტიკური მოქმედება და მოტივები, არის მეგობრისა და მტრის განსხვავება“. [10.40]. „მეგობრისა და მტრის განსხვავების საზრისი ისაა, რომ აღნიშნოს შეერთებისა და დაშლის, ასოციაციისა და დისოციაციის ინტენსიობის უმაღლესი ხარისხი“ [10.40]. ე.ი. შმიტი პოლიტიკის ძირითად კრიტერიუმად მიიჩნევს „მეგობრისა“ და „მტრის“ განსაზღვრას და მათ დაპირისპირებას. პოლიტიკა შმიტის აზრით არის „მტრისა“ და „მეგობრის“ გარჩევის უნარი. „მტერი“ უპირველეს ყოვლისა არის შინაგანად განსხვავებული, უცხო, სხვა.

„მეგობარი“ და „მტერი“ არ უნდა აურიოთ ერთმანეთში ეკონომიკური, მორალური თუ ფსიქოლოგიური აზრით. „მეგობარი“ და „მტერი“ ყოველთვის უნდა განვიხილოთ კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე და არა ზოგადად, როგორც მეტაფორა ან სიმბოლო. ხალხთა „მტრებად“ ან „მეგობრებად“ დაყოფა არასწორია. მაგალითად, ეკონომიკის სფეროში (ასე-

ვეა სხვა სფეროებში) არ არსებობს მტერი, იქ მხოლოდ კონ-კურენტებია. „მტერი“ ზოგადად საერთო აზრით არსებობს სიმბოლურად, მხოლოდ შესაძლებლობაში. მტერი უნდა განვი-ხილოთ მხოლოდ რეალური ვითარების მიხედვით. მებრძოლ ადამიანთა ჯგუფი, როცა უპირისპირდება ასეთივე ჯგუფს, ეს უნდა განვიხილოთ ფართო აზრით, როგორც საჯარო მტერი, რადგან ეს მიმართებაშია ხალხთან, პოლიტიკასთან. პოლიტი-კური დაპირისპირებულობა კი „ესაა ყველაზე ინტენსიური, ყველაზე უკიდურესი დაპირისპირებულობა, და ყველა კონკრე-ტული დაპირისპირებულობა მით უფროა პოლიტიკური დაპი-რისპირებულობა, რაც უფრო უახლოვდება იგი „მეგობარი-მტერი“ ჯგუფებად დაყოფის უკიდურეს წერტილს“ [10.41 გვ.] შმიტის მიხედვით განასხვავებენ კერძო და პოლიტიკურ „მტერს“. მაგალითად, სახარებისეული გამოთქმა „გიყვარდეს მტერი შენი“ მხედველობაშია კერძო, მტერი უშუალო შენი მტერი. ხოლო პოლიტიკური აზრით მტრობა არ გულისმობს პირად სიძულვილს. აქ ლაპარაკი არ არის იმაზე, რომ უნდა გიყვარდეს შენი ხალხის მტრები და შენი ხალხის საწინააღ-მდეგოდ ითანამშრომლო მათთან. „პოლიტიკური ნიშნავს არა რაიმე საკუთარ საგნობრივ სფეროს, არამედ მხოლოდ ადამი-ანთა ასოციაციისა და დისოციაციის ინტენსიურობის ხარისხ-სა და დონეს“ [10.46]. პოლიტიკური მტრობა შმიტის მიხედვით ისეთი ძლიერია, რომ საჭიროების შემთხვევაში იგი უკან სწევს ყველა სხვა სახის დაპირისპირებებსა და მტრობას, რადგან იგი მიმართებაშია მთელ ხალხთან და სახელმწი-

ფოსთან. ის ხალხი, ერი რომელიც თვლის, რომ მათ საერთო მტრები არ გააჩნიათ, ასეთი ერთობა არ არის პოლიტიკური და ეროვნული. თუ კი ხალხი ვეღარ ცნობს თავის მტერს და მოყვარეს და აღარა აქვს მათი განსხვავების უნარი და ნება, მაშინ იგი წყვეტს პოლიტიკურად არსებობას, ექვემდებარება სხვა პოლიტიკურ ძალას, ან ერთიანდება სხვა პოლიტიკურ სისტემაში.

შმიტისეული „მეგობრის“ და „მტრის“ ცნებები გულისხმობს რეალური ბრძოლისა და ომის პოლიტიკას, როგორც უცხო ორიენტაციების მქონე სოციალურ ჯგუფთა შორის შიგა სახელმწიფოებრივ და სახელმწიფოთაშორის ომის რეალურ შესაძლებლობას, რომელიც მხოლოდ ნამდვილ ბრძოლაში ვლინდება.

ამგვარად, კ. შმიტი „პოლიტიკურის“ ცნებას ფართო გაგებით მხოლოდ საგარეო პოლიტიკის მიმართებაში და მნიშვნელოვან სამოქალაქო ომებს განიხილავს, ხოლო შიდა სახელმწიფოებრივ დაპირისპირებას, როგორც პოლიტიკას ვიწრო გაგებით. უნდა აღინიშნოს, რომ მას ნამდვილ პოლიტიკად მხოლოდ სახელმწიფოთაშორის დაპირისპირებები და ურთიერთობები მიაჩნია და ნაკლებ ყურადღებას აქცევს შიგა პოლიტიკას, როგორც სოციალურ ჯგუფთა ერთობლივ საქმიანობას, რომელიც დიდად განაპირობებს ქვეყნის განვითარებას, მის სტაბილურობას და წარმატებებს. ამ ასპექტით საკითხის წინ წამოწევა და გააქტუალება ტ. პარსონსის დამსახურებად ითვლება.

ტ. პარსონსი პოლიტიკას მთელი საერთო მიზნებისაკენ წარმართულ საქმიანობად მიიჩნევს. იგი არ არის მხოლოდ სახელმწიფოებრივი და სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები, არამედ პოლიტიკური ასპექტები არსებობენ შრომით კოლექტივებში, სხვადასხვა კომპანიებისა და ინსტიტუტების საქმიანობაში. პარსონსი სოციალურ ურთიერთობებს განიხილავს პოლიტიკად იმ ზომით, რა ზომითაც იგი დაკავშირებულია „რომელიმე კოლექტივის მიერ მისი მიზნების მიღწევისათვის რესურსთა ორგანიზებასა და მობილიზაციასთან“ [3. 30 გვ.]. პოლიტიკა – ეს არის საზოგადოების ერთ-ერთი შედარებით დამოუკიდებელი რთული სოციალური ორგანიზმი, რომელიც საზოგადოების სხვა ქვესისტემებისაგან, როგორიცაა ეკონომიკა, კულტურა, სოციალური სისტემა – გამიჯნულია, მაგრამ ამავე დროს განუწყვეტლივ ურთიერთობაშია მათთან. პოლიტიკა მოიცავს პოლიტიკურ მიზანთა განსაზღვრას, გადაწყვეტილებათა მიღებას, რესურსებისა და მასების მობილიზებას, მთელი საზოგადოებისათვის აუცილებელი გადაწყვეტილებების შემუშავებას და მათ ცხოვრებაში გატარებას, სხვადასხვა მნიშვნელოვანი საქმიანობის რეგულირებასა და სხვა.

პოლიტიკის განსაზღვრის საქმეში მნიშვნელოვანია აგრეთვე ა. პანარინის მოსაზრებები, რომელიც უგულვებელყოფს პოლიტიკის მარქსისტულ გაგებას, რომლის მიხედვითაც პოლიტიკა ზედნაშენურ მოვლენად განიხილება და არ გააჩნია საკუთარი ბაზისი. ამის საწინააღმდეგოდ ა. პანარინი წერს: „არსად ისეთი ხარისხით არ ბობოქრობს ვნებები, არ ეჯახება

ხასიათები, არ ვლინდება მზაობა რისკზე წასასვლელად, როგორც პოლიტიკაში“ [5.19]. თუ პოლიტიკას თავისი ყოფიერება არ გააჩნია და განსაზღვრულია ეკონომიკური ურთიერთობებით, მაშინ პოლიტიკურ დაპირისპირებებსა და პაექრობას აზრი არ ჰქონია და პოლიტიკა ვერ ჩამოყალიბდებოდა დამოუკიდებელ ქვესისტემად. „პოლიტიკა არ არის ზედნაშენი, არამედ ადამიანური პრაქტიკის სახეა, რომლის მეშვეობითაც ადამიანები ზემოქმედებენ სოციალურ გარემოზე“ [5.19]. პოლიტიკა არ არსებობს იქ, სადაც მოქმედებს „გარდაუვალი კანონზომიერება“, სადაც ჯგუფური მეტოქეობის შედეგი წინანსწარ არის განსაზღვრული და გადაწყვეტილი. „პოლიტიკა არის ძალაუფლებრივ ურთიერთობათა სფეროში (არაგარანტირებული) კოლექტიური საქმიანობა, რომლის მონაწილენი ცდილობენ თავიანთი სტატუსის შეცვლას, საზოგადოებასა და ჩამოყალიბებული ისტორიული შესაძლებლობების კონტექსტში გავლენის სფეროთა გადანაწილებას“ [5.7გვ.].

ამგვარად, პოლიტიკის სრული და ერთმნიშვნელოვანი განსაზღვრება ისეთივე ურთულესი საქმეა, როგორც თვით პოლიტიკა წარმოადგენს ურთულეს სოციალურ მოვლენას, რომელსაც მრავალსახოვანი შინაარსი, თვისება და ფუნქცია გააჩნია. პოლიტიკის საზოგადოებაზე ზემოქმედების სფეროები თითქმის შეუზღუდავია. როგორც ინგლისელი პოლიტოლოგი რ. ბერკი აღნიშნავს, თითქმის ნებისმიერი საზოგადოებრივი პრობლემა შეიძლება იქცეს პოლიტიკურად იმ შემთხვევაში, თუ პოლიტიკურ ლიდერთა აზრით იგი ეხება მთელი საზო-

გადოების ინტერესებს და მოითხოვს ყველა მოქალაქისთვის სავალდებულო გადაწყვეტილებებს! პოლიტიკა – ესაა საზოგადოების ცნობიერი თვითრეგულირების ინსტრუმენტი [2, 20].

პოლიტიკის, როგორც უმნიშვნელოვანესი სფეროს, თითქოს ყოვლისმომცველობისა, მაინც გააჩნია თავისი საზღვრები, რომელსაც იგი არ უნდა ლახავდეს. ასეთი სფეროებია: სამოქალაქო საზოგადოება და საბაზრო ეკონომიკა, კულტურა, ოჯახი, რელიგია, ადამიანთა უფლებები და სხვა.

მოცემულ თავში პოლიტიკის, როგორც პოლიტიკური სოციოლოგიის, ძირითადი კატეგორიის გარდა, ასევე მოკლედ განხილული იქნება ისეთი მნიშვნელოვანი თემები, როგორიცაა: პოლიტიკური ურთიერთობები, პოლიტიკური ინტერესები, პოლიტიკური პროცესები, პოლიტიკური ინსტიტუტები და უწყებები.

ამგვარად, პოლიტიკა წარმოუდგენელია **პოლიტიკური ურთიერთობების** გარეშე. პოლიტიკური ურთიერთობები ყალიბდება გაცნობიერებულად, ობიექტურად. ყოველი პოლიტიკური სუბიექტი შედის რა ურთიერთობებში სხვა პოლიტიკურ სუბიექტებთან, ცდილობს დაიცვას და გაატაროს თავისი საკუთარი ინტერესები და მიზნები, რომლებიც დამოკიდებულია მათ ნებაზე და განსაზღვრულია ობიექტური ვითარებით. ამასთანავე ჩამოყალიბებული პოლიტიკური ურთიერთობები წარმოადგენენ ობიექტურად არსებულ პოლიტიკურ რეალობას, რომლებიც ზემოქმედებენ ადამიანთა პოლიტიკურ საქმიანობაზე და განსაზღვრავენ მის შინაარსსა და

მიმართულებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკურ სუბიექტად შეიძლება მივიჩნიოთ ნებისმიერი სოციალური სუბიექტები: ცალკეული ადამიანები, პოლიტიკური ლიდერები, პოლიტიკური პარტიები, ერები, სახელმწიფოები, რომლებიც იბრძვიან გავლენისა და ძალაუფლებისათვის. პოლიტიკური ძალაუფლების უმაღლეს გამოვლინებად კი სახელმწიფო ძალაუფლება ითვლება, რომელსაც გააჩნია მთელი რიგი ბერკეტები საზოგადოებაზე ძლიერი ზემოქმედების მოსახდენად.

პოლიტიკურ მოღვაწეობაში მართალია განმსაზღველია ძალაუფლებისათვის ბრძოლა, მაგრამ პოლიტიკური მოღვაწეობა გულისხმობს და მოიცავს საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრების სხვა სფეროებსაც, როგორიცაა: საერთაშორისო ურთიერთობები, ეროვნული ურთიერთობები, სამოქალაქო ურთიერთობები, საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური და მორალურ-ფსიქოლოგიური და ა.შ. სფეროები.

როგორც აღვნიშნეთ, პოლიტიკური ურთიერთობები ყალიბდებიან **პოლიტიკური ინტერესებიდან**. ახლად ჩამოყალიბებული ურთიერთობები კი თავის მხრივ აჩენს ახალ-ახალ პოლიტიკურ ინტერესებს. ამგვარად, პოლიტიკური ურთიერთობები ვლინდებიან პოლიტიკური ინტერესების ფორმით. შესაბამისად თუ შევძლებთ პოლიტიკური ინტერესების გამოკვლევას და დადგენას, განვსაზღვრავთ და დავადგენთ პოლიტიკური ურთიერთობების შინაარსს, მის ცვალებადობის ხასიათს და მიმართულებას. ეს ყველაფერი კი საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების

ცვალებადობის ტენდენციები, რაც პოლიტიკური სოციოლოგიის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს.

ამგვარად, პოლიტიკური სუბიექტის მიერ გაცნობიერებული უნდა იქნას ის გარემოება, რომ საზოგადოების პოლიტიკური ინტერესები განსაზღვრულია ცხოვრების ობიექტური ვითარებით, მათი სოციალური ადგილით, რეალურად არსებული პოლიტიკური ურთიერთობებით. აქედან გამომდინარე, პოლიტიკურმა სუბიექტმა უნდა გაითვალისიწნოს ყოველივე ეს და ურთიერთობები ააგოს თავისთვის სასარგებლოდ.

პოლიტიკურ სოციოლოგიას ამ შემთხვევაში აინტერესებს გამოიკვლიოს პოლიტიკური სუბიექტის ობიექტური პოლიტიკური ინტერესები, ის, თუ რა არის სასარგებლო და ღირებული პოლიტიკური სუბიექტის თვითდამკვიდრებისა და წარმატებისათვის. პოლიტიკურ სოციოლოგიას აინტერესებს, თუ რამდენად აცნობიერებენ პოლიტიკური სუბიექტები თავიანთ ობიექტურ პოლიტიკურ ინტერესებს და რამდენად თანხმობასა და შესაბამისობაშია მათი სუბიექტური ინტერესები ობიექტურ ვითარებასა და საერთო პოლიტიკურ ინტერესებთან.

ავიღოთ ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი ფასეულობა, როგორიცაა დემოკრატია, რომლის განხორციელებისა და დამკვიდრების გარეშე, საზოგადოება ვერ აღწევს მატერიალურ და სულიერ აღმავლობასა და კეთილდღეობას. შესაბამისად დემოკრატიული წყობილების ჩამოყალიბება და დამკვიდრება არის ჩვენი გარდამავალი პერიოდის საზოგადოების ძირითადი პოლიტიკური ინტერესი, რომელიც უპირველეს ყოვ-

ლისა მთელი ჩვენი საზოგადოებისთვის უნდა იყოს გაცნობიერებული. გარკვეული უნდა იქნას, თუ საზოგადოების რა ნაწილს და რომელ ფენებს უფრო სჭირდება დემოკრატიული პრინციპების დაცვა და განხორციელება და საზოგადოების რომელი ნაწილი ეწინააღმდეგება მას, რათა დაიგეგმოს და ჩატარდეს შესაბამისი პრევენციული სამუშაოები. უნდა განისაზღვროს, თუ რა სახის სოციალ-პოლიტიკური აქციები შეუწყობს ხელს დემოკრატიის განვითერების პროცესს. ამის ყველაფრის გათვლა და სწორი გადაწყვეტილებების მიღება არ არის მთლად ადვილი პოლიტიკოსისათვის, ამიტომაც ხშირად უშვებენ შეცდომებს, იღებენ გარკვეულ გადაწყვეტილებებს, რომლებიც ერთი შეხედვით, თითქოს სწორი და სასარგებლოა საზოგადოების დემოკრატიულად განვითარებისთვის, მაგრამ შემდეგ აღმოჩნდება, რომ მოცემული გადაწყვეტილება წინააღმდეგობაში მოდის გარკვეული სოციალური ჯგუფების ინტერესებთან და ობიექტურ გარემოებებთან, რაც იწვევს საზოგადოების აღშფოთებასა და დესტაბილიზაციას.

არსებობს ისეთი სიტუაციებიც, როცა სოციალურ ჯგუფებს შორის დაპირისპირება გარდაუვალია და წინასწარ არის ცნობილი. ამიტომ ასეთი პრობლემის წაყრუება და ღვთის იმედად მიტოვება დაუშვებულია. შესაბამისად მართველმა პოლიტიკოსმა ყველაფერი უნდა იღონოს აღნიშნული წინააღმდეგობის დასაძლევად და აღმოსაფხვრელად. პოლიტიკურმა სუბიექტმა უნდა გამოიჩინოს დიდი სიბრძნე და წინდახედულება

ყოველი დაპირისპირების და წინააღმდეგობის შემსუბუქებისა და განმუხტვისათვის.

ჩვენი ქვეყნისთვის, როგორც მრავალეროვნული სახელმწიფოსთვის, ასევე უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის მოწყობისა და მართვის ოპტიმალური ფორმის დადგენას; ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასა და განმტკიცებას; ყველასთვის მისაღები ეროვნული პოლიტიკის გატარებას; ეროვნულ უმცირესობათა თვითმყოფადობათა შენარჩუნებასა და კულტურულ განვითარებას და სხვა. ამ მიმართებით აუცილებელია, რომ პოლიტიკური ინტერესები ყველასათვის ნათელი გავხადოთ; სწორი პოლიტიკის გატარებით მიღწეულ უნდა იქნას ერთაშორისი ჰარმონიული ურთიერთობები, ისე, რომ არც ერთი მათგანის ინტერესები არ შეილახოს, უნდა მოინახოს მათ შორის მხოლოდ დადებითი ემოციების გამომწვევი, დამაკავშირებელი, დამაახლოებელი, ურთერთმისაღები პოზიციები, იგნორირებული უნდა იყოს ყოველგვარი შოვინისტურ-ნაციონალისტური რიტორიკა და განწყობები; ყველაფერი უნდა გაკეთდეს მათი ეკონომიკურ, სოციალ-პოლიტიკური და კულტურული თანამშრომლობისა და თანაცხოვრების, ყველასითვის მისაღები ფორმების დასამკვიდრებლად.

ამგვარად, პოლიტიკური ინტერესების გაცნობიერებისათვის და სწორად გაგებისათვის სახელმწიფოში ძალაუფლების ყველა დონეზე და მითუმეტეს სახელმწიფო მმართველობის ყველა შტოში აუცილებლად უნდა იყვნენ წარმოდგენილნი

სოციალური მეცნიერების წარმომადგენლები: ფილოსოფოსები, სოციოლოგები, ფსიქოლოგები, პოლიტოლოგები, იურისტები, ეკონომისტები და სხვები.

პოლიტიკურ ურთიერთობებთან და ინტერესებთან მჭიდრო კავშირშია **პოლიტიკური პროცესები**, რომელსაც გააჩნია როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური მხარე, სადაც უპირატესობა ობიექტურ მხარეს მიეკუთვნება.

პოლიტიკური პროცესების ობიექტურ მხარეს წარმოადგენს, ანუ პოლიტიკური პროცესები განპირობებულნი არიან ეკონომიკური ურთიერთობებით, ობიექტურად არსებული სოციალური პირობებით, პროცესში მონაწილე და ჩართულ ძალთა განლაგებითა და სხვა ობიექტური ფაქტორებით. ასევე ობიექტური ხასიათისაა ცალკეულ ინდივიდებისა და სოციალური ჯგუფების მამოძრავებელი მოტივები, მოთხოვნილებები და პოლიტიკური ინტერესები. ყველაფერი ეს წარმოადგენს და განსაზღვრავს პოლიტიკური პროცესის ობიექტურობას, ანუ იგი განსაზღვრულია პოლიტიკურ პროცესში ჩართულ მონაწილეთა ცნობიერებითა და გარემო პირობებით.

პოლიტიკური პროცესების სუბიექტურ მხარეს კი წარმოადგენს პოლიტიკური ცნობიერება და პროცესში ჩართული პოლიტიკოსის ნება. პოლიტიკური სუბიექტი, რომელმაც დაისახა გარკვეული მიზანი და ანხორციელებს მას, რადიკალურად ვერ შეცვლის ობიექტურ ვითარებას, მაგრამ თუკი იგი გააცნობიერებს და ნათლად წარმოიდგენს ობიექტურ ვითარებას, მას შეუძლია შეაფასოს და გაითვალისწინოს მისი

უარყოფითი და დადებითი მხარეები, გამოიყენოს ისინი თავის სასარგებლოდ. ობიექტურად არსებული პროცესის გაუცნობიერებლობა და გაუთვალისწინებლობა დიდი ზიანის მომტანი იქნება პოლიტიკური სუბიექტისათვის.

პოლიტიკური პროცესების გაცნობიერებისთვის, გაანალიზებისათვის, და პროცესების სწორად მართვისათვის ცივილიზებულ ქვეყნებში არსებობენ მთელი **ინსტიტუტები და უწყებები**, რომლებიც დაკომპლექტებული არიან გამოცდილი პოლიტოლოგებით, სოციოლოგებით და პროფესიონალი მოაზროვნე ადამიანებით, რომლებიც მოწოდებული არიან უზრუნველყონ სახელმწიფოსა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ეფექტური ფუნქციონირება. მათი საქმიანობა მიმართულია სახელმწიფო საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, სახელმწიფოს დაცვისა და უშიშროების სამსახურების დასახმარებლად. ასეთივე ინსტიტუტები იქმნება აგრეთვე გარკვეულ სფეროებში სპეციფიკური მიზნებისა და ფუნქცების შესასრულებლად, სადაც მუშაობენ პროფესიონალი ქმედითუნარიანი კადრები, რომლებსაც ძალუძთ შექმნილი რთული სიტუაციებიდან ეფექტური გამოსავლის პოვნა, რთული პოლიტიკური პრობლემების გადაჭრა, განსხვავებულ ინტერესთა მორიგება, შეთანხმების მიღწევა და მომავლის წინასწარი პროგნოზირება.

პოლიტიკური ინსტიტუტების სოციალური ეფექტურობის საკითხი პოლიტიკური სოციოლოგიის მნიშვნელოვანი სფეროა. დიდ მეცნიერულ და პოლიტიკურ მნიშვნელობას იძენს

კონკრეტული სოციოლოგიური გამოკვლევების დროს პოლიტიკური ინსტიტუტების მოღვაწეობის ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების თანხვედრისა და დამთხვევისათვის და საერთოდ პოლიტიკური ინსტიტუტების წარმატებით ფუნქციონირებისა და პერსპექტიული განვითარების თვალსაზრისით.

პოლიტიკურ სოციოლოგიაში ძალზედ მნიშვნელოვან საკითხს განეკუთვნება **პოლიტიკური სისტემა და მისი ფუნქციები**, რომელიც წარმოადგენს საზოგადოების პოლიტიკური ხასიათის დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ერთობლიობას, რომლის მიზანსაც წარმოადგენს გარკვეული სოციალური ჯგუფებისა და ეროვნულ-ეთნიკური ნიშნით გაერთიანებული ერთობების პოლიტიკური ინტერესების დაცვა და რეგულირება.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემის ძირითად შემადგენელ რგოლებს განეკუთვნებიან სახელმწიფო ორგანოები: (საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება); არმია, სამართალდამცავი ორგანოები (პოლიცია, სასამართლო, პროკურატურა); სახელმწიფო არბიტრაჟი; პოლიტიკური პარტიები, პოლიტიკური მოძრაობები.

საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში იგულისხმება აგრეთვე მრავალი საზოგადოებრივი ორგანიზაციები, როგორებიც არიან: არასამთავრობო ორგანიზაციები, პროფკავშირები, ახალგაზრდული ორგანიზაციები, შემოქმედებითი გაერთიანებები: (მწერალთა, ჟურნალისტთა, მხატვართა, კომპოზიტორთა, კინომატოგრაფისტთა კავშირები და ა.შ.), რომლებიც მოწოდე-

ბულნი არიან გამოხატონ და დაიცვან შესაბამისი საზოგადოებების, როგორც პროფესიული, ისე პოლიტიკური ინტერესები. ეს საზოგადოებრივი ორგანიზაციები და კავშირები, როგორც წესი, მჭიდრო ურთიერთობაში არიან და ქმნიან მთლიან პოლიტიკურ სისტემას.

მთლიანად პოლიტიკური სისტემა ვითარდება სოციალ-ეკონომიკური და იდეოლოგიური ფაქტორების ზემოქმედებით და ძირითადად განსაზღვრულნი არიან ობიექტური ვითარებით, მაგრამ არანაკლებ როლს თამაშობს სუბიექტური ფაქტორიც. ამ ორგანიზაციებში გაერთიანებული საზოგადოების და განსაკუთრებით ხელმძღვანელი მუშაკების ნიჭსა და უნარს, ცოდნასა და გამოცდილებას, მათ გამჭრიახობასა და პოლიტიკურ ალღოს მნიშვნელოვანი როლი ეკისრება.

როგორც ადრეც აღვნიშნეთ, პოლიტიკურ ურთიერთობებში მთავარი **სახელმწიფო ძალაუფლების საკითხია**, რომელსაც გააჩნია მძლავრი ბერკეტები მთელ პოლიტიკურ სისტემაზე ზემოქმედებისათვის. სახელმწიფოს წარმოქმნაც ძალაუფლებიდან გამომდინარეობს. ძალაუფლების საკითხს, როგორც პოლიტიკური სოციოლოგიის უმნიშვნელოვანეს პრობლემას, მიეძღვნება შემდგომი თავი. აქ კი აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ სახელმწიფოს წარმოშობა საზოგადოების კლასებად დაყოფასთან არის დაკავშირებული ძალაუფლების მოპოვებისა და განმტკიცების მიზნით, მმართველი ძალების ბატონობის უზრუნველსაყოფად, ქვეყნის დაცვისა და გაძლიერებისათვის, ეკონომიკის, სოციალური პირობების გაუმჯობესებისათვის,

საგარეო ურთიერთობების საწარმოებლად, ეროვნული ტრადიციებისა და კულტურის დაცვისა და განვითარებისათვის და ა.შ.

თანამედროვე პირობებში სერიოზულად დგას სახელმწიფო ძალაუფლების ზემოქმედების ეფექტურობის გაზრდის საკითხი, საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებზე. ამისთვის მთავარი და აუცილებელი ხდება დემოკრატიული პრინციპების განუხრელი დაცვა მართვის ყველა დონეზე; სახელმწიფო მართვის აპარატის თანამშრომელთა პროფესიონალიზმი და კომპეტენტურობა; მმართველობის ყველა შტოს შორის ურთიერთობის დახვეწა და დარეგულირება; მართვის ბიუროკრატიული სტილის მოშლა და მმართველობის დემოკრატიული ფორმის სრულად დანერგვა, სახელმწიფო მექანიზმის ყველა რგოლში; მასმედიის სრული თავისუფლება და ა.შ. დემოკრატიულ სახელმწიფოში აუცილებელია არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიური ჩაბმა სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების საქმეში; ხელი უნდა შეეწყოს პოლიტიკური პარტიების, პროფკავშირების, სათემო, პროფესიული გაერთიანებებისა და სხვა ორგანიზაციების გააქტიურებას დემოკრატიის დაცვასა და განვითარებაში, მაგრამ მთავარი და უმნიშვნელოვანესი მაინც კანონის უზენაესობისა და სამართლებრივი სახელმწიფოს შენებაა.

ყოველივე ამის მიღწევისა და განხორციელებისათვის უპირველეს ყოვლისა საჭირო და აუცილებელია საზოგადო-

ებრივ-პოლიტიკური ცნობიერების ამაღლება, რაც პოლიტიკური სოციოლოგიის უმთავრეს საკითხთაგანია.

პოლიტიკური ცნობიერება გამოხატავს ადანიამთა დამოკიდებულებას არსებული სახელმწიფოებრივი წყობის, პოლიტიკური სისტემის, პოლიტიკური ძალაუფლების, ეროვნული და საერთაშორისო პრობლემების, პოლიტიკური უფლებებისა და თავისუფლებისადმი.

პოლიტიკური ცნობიერება რთული სულიერი წარმონაქმნია, იგი წარმოადგენს საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრების სუბიექტურ მხარეს, რომელიც მოღვაწეობის ყველა დონეზე ვლინდება. პოლიტიკური განწყობა, მოტივაცია, შეხედულებები და მიზნები განაპირობებენ ადამიანებისა და სოციალური ჯგუფების ქმედებებს, რომლებიც გამსჭვალულნი არიან ცნობიერებით.

უნდა აღინიშნოს, რომ განასხვავებენ პოლიტიკური ცნობიერების ყოველდღიურ და თეორიულ დონეებს. ადამიანთა ყოველდღიური პოლიტიკური ცნობიერება არის მჭვრეტელობითი, მეცნიერულ დასაბუთებულობას მოკლებული, ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე დაფუძნებული ცნობიერება, რომელიც ხშირად ზერელე და მცდარია, რადგან რიგითი ადამიანები ვერ წვდებიან მოვლენათა სიღრმისეულ მიზეზებს, კანონზომიერებათა განვითარების ტენდენციებს და ექცევიან პოლიტიკური ილუზიების ტყვეობაში. პოლიტიკური ყოველდღიური ცნობიერების მატარებელია მოსახლეობის უმრავლესობა.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არც თეორიული პოლიტიკური ცნობიერებით აღჭურვა არ წარმოადგენს იმის გარანტს, რომ ყველაფერს სწორად მოიმოქმედებ და გადაწყვეტ. თეორიული ანუ მეცნიერული პოლიტიკური ცნობიერების მატარებელი პოლიტიკური სუბიექტებიც ხშირად ვერ სწვდებიან ჭეშმარიტებას, მაგრამ მეცნიერული პოლიტიკური ცნობიერების მქონე ადამიანებს გაცილებით მეტი საშუალებები აქვთ პოლიტიკური მოვლენების სრული ანალიზისა და სწორი შეფასებისათვის.

თეორიული ანუ მეცნიერული პოლიტიკური ცნობიერების დონეზე, მიღებული განათლების, შესაბამისი პროფესიული უნარ-ჩვევების დაუფლების შედეგად პოლიტიკურ სუბიექტს შეუძლია სწორედ გააანალიზოს პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობა, მათი სოციალური ბუნება, მათი შეხედულებები და ინტერესები, განსაზღვროს მათი მოღვაწეობის მიზნები და ამოცანები, მათი ადგილი და როლი პოლიტიკურ სისტემაში.

პოლიტიკური ცნობიერების მნიშვნელოვანი და სპეციფიკური ფორმებია **პოლიტიკური ფსიქოლოგია და იდეოლოგია**.

პოლიტიკური ფსიქოლოგია არის პოლიტიკური სინამდვილის გააზრება და მასთან დამოკიდებულება, ანუ საკუთარი შესაბამისი შეხედულებები პოლიტიკურ მოვლენებსა და სიტუაციებზე. ეს არის პოლიტიკური ცნობიერების ემოციური მხარე, ადამიანებისა და სოციალური ჯგუფების სინამდვილისადმი დამოკიდებულების ემოციური ფონი, ინსტინქტებისა და ინტუიციის დონე, რომელშიც გარკვეული დოზით მონაწი-

ლეობს ინტელექტი და შესაბამისად არსებობს სინამდვილის გააზრების გარკვეული დონის შესაძლებლობა, ვიდრე ყოველ-დღიურ ცხოვრებაში, რადგან ზოგიერთ შემთხვევაში მასში ჩართულია მეცნიერული პოზიციებიც.

პოლიტიკური ფსიქოლოგია წარმოადგენს პოლიტიკური სუბიექტის განწყობას, ემოციებს, აზროვნებისა და ნების ერთობლიობას. იგი მოიცავს მასობრივი ცნობიერების ყველა სფეროს, გააჩნია მასებზე ზემოქმედების დიდი პოტენციალი. მხოლოდ იმ ლიდერს შეუძლია პოლიტიკაში მიაღწიოს დიდ წარმატებას, რომელიც შეძლებს ღრმად ჩაწვდეს როგორც ადამიანის, ისე სხვადასხვა სოციალური ჯგუფებისა და საერ-თოდ მასების ფსიქოლოგიას, მაშინ შეძლებს იგი მათზე ზე-მოქმედებას და თავისი ინტერესების წარმატებით განხორციე-ლებას.

როგორც პოლიტიკური ფსიქოლოგია, პოლიტიკური იდეო-ლოგიაც პოლიტიკური სინამდვილის უფრო მაღალ-თეორიულ დონეზე ასახვის ფორმაა. იგი წარმოადგენს პოლიტიკური სუბიექტის პრიზმაში გატარებულ პოლიტიკური სინამდვილის თეორიულ ასახვას, რომელიც ეფუძნება გარკვეულ პოლი-ტიკურ ცოდნას, მრწამსს, პოლიტიკურ თეორიას ან თეორიე-ბის ერთობლიობას. პოლიტიკური იდეოლოგია სოციალურ-კლასობრივი ხასიათისაა, როგორც ობიექტური ინტერესების თეორიული გამომხატველი, იგი მხოლოდ მათი დაპირისპირე-ბულობის ამსახველი როდია, არამედ დაპირისპირებულ ძა-ლებს შორის კომპრომისებსა და თანამშრომლობისკენაც არის

მოწოდებული. პოლიტიკური იდეოლოგია განსაზღვრავს პოლიტიკური სუბიექტის პოზიციასა და მის მრწამსს.

ამგვარად, ბოლოს უნდა ითქვას, რომ პოლიტიკურ სოციოლოგიაში ძალზედ მნიშვნელოვანია მასების პოლიტიკური ფსიქოლოგიისა და იდეოლოგიის და საერთოდ პოლიტიკური ცნობიერების საკითხის ცოდნა, ისევე როგორც პოლიტიკური სოციოლოგიის სხვა უმნიშვნელოვანესი საკითხების შესწავლა, რომლებმაც ჩვენ შედარებით მცირე ზომის წიგნში ასახვა ვერ ჰპოვეს.

თავი II
ძალაუფლების ფენომენი

ძალაუფლება სოციალური თანაცხოვრების ფუნდამენტური საწყისი და უმნიშვნელოვანესი ატრიბუტია, კაცობრიობის წარმოშობიდან მოყოლებული, სოციალური გაერთიანების ნებისმიერ ფორმაში: ოჯახში, შრომით კოლექტივში, სოციალურ ჯგუფში თუ მათ გაერთიანებებში, სახელმწიფოში თუ სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში დომინირებს ძალაუფლების ფაქტორი. ადამიანებში, როგორც ბიო-სოციალურ არსებებში, იმდენად ძლიერად არის ჩამჯდარი ეს ბიოლოგიური კოდი, რომ საეჭვოა, რაც არ უნდა დაიხვეწოს და განვითარდეს ადამიანი, შეძლოს ძალაუფლების, ავტორიტეტის და გავლენის მოპოვბაზე უარი თქვას, რადგან ეს ისეთივე ორგანული ვნებათაგანია, როგორიცაა გამდიდრებისა და გაძლიერებისკენ სწრაფვა. ეს იმდენად გამოუცნობი ფენომენია, რომ როგორც მ. დიუერჟე წერს, „მისი მთელი სისრულით გაშუქება ნიშნავს იმას, რომ პოლიტიკურმა მეცნიერებამ მიაღწია თავის მთავარ მიზანს – ძალაუფლების ბუნების შემეცნებას, მაგრამ აქამდე ჯერ კიდევ ძალიან შორსაა“. [11. 648გვ.]

ასევე ფიქრობს მ. კროზიე, რომლის მიხედვითაც ძალაუფლების გამოვლენის ფორმებმა სახე იცვალეს, მაგრამ იგი არსობრივად არ შეცვლილა, „დღემდე არ ახსნილა ძალუფლების საიდუმლო და იგი თეთრ ლაქად რჩება მეცნიერულ გამოკვლევებში“. [12. 78 გვ]. მ. კროზიე აღნიშნავს, რომ ძალაუფლე-

ბის პრობლემის კვლევას მაკიაველისა და მარქსის შემდეგ წინ არ წაუწევიათ, მაგრამ არც ასეა საქმე, რადგან როცა ძალაუფლების საკითხს ვეხებით, ყოვლად შეუძლებელია დიდი გერმანელი ფილოსოფოსების გ. ჰეგელისა და განსაკუთრებით კი ფ. ნიცშეს კონცეფციის განხილვას გვერდი აუაროთ.

2.1. ძალაუფლების ფენომენი ფ. ნიცშესთან

ფრიდრის ნიცშე ძალაუფლებას – „ძალაუფლების ნებას“ სამყაროს ფუნდამენტურ საწყისად აცხადებს, იგი არის ცოცხალი ბუნებისა და საზოგადოების საწყისი და კრიტერიუმი. არსებობა ბრძოლისთვის და „ძალაუფლების ნება“ მთელი ორგანული სამყაროს საფუძველთა საფუძველია.

ფ. ნიცშეს აზრით, სამყარო მარადიული მოძრაობისა და ქმნადობის რთულ კომბინაციათა თანმიმდევრობაა, რომელსაც არ გააჩნია რაიმე მიზანი, იგი ქაოსია. ქმნადობა და მოძრაობა მოკლებულია ყოველგვარ საზრისს. იგი არის დაპირისპირებული ნებელობის, ძალებისა თუ ენერგიების უსასრულო თამაში, პაექრობის შედეგი, იმ ნებელობისა, რომელიც მუდამ მომართულია გარკვეული უპირატესობის, გავლენის სფეროს, მბრძანებლობისა და არსებობის გაძლიერებისკენ. ქმნადობა ახასიათებს ნებისმიერ გამოვლინებას, როგორც ძლიერს, ასევე სუსტს. მსოფლიოში მიმობნეულია ნებელობის ატომები, ელემენტები, რომლებიც წარმოადგენენ მოძრავ და ცვალებად სიდიდეებს და იმყოფებიან ურთიერთდაპირისპირებულ და დაძაბულ ვითარებაში სხვა მსგავს დინამიურ სიდიდეებთან. ე.ი.

უზენაესი კანონები, რომლითაც თითქოს იმართება სამყარო, თვითშენახვის ან ენერგიის მუდმივობისა და გარდაქმნის კანონები კი არ არის, არამედ ძალის მოკრეფისა და გაძლიერების, ძალაუფლებისა და მბრძანებლობის კანონებია. ე.ი. უმთავრესი კანონი ძალაუფლების კანონია, შესაბამისად ნებისმიერ ქმედუნარიან ნებელობის მქონე ელემენტს, უპირველეს ყოვლისა, აქვს სურვილი და ინტერესი განავცროს თავისი ძალაუფლება და გავლენა მთელ არეალზე.

ამგვარად, სამყაროსეული პროცესების დახასიათებიდან ფ. ნიცშეს გამოაქვს დასკვნა, რომ „სიცოცხლეს არ აქვს არავითარი სხვა ფასეულობა, გარდა ძალაუფლების, ბრძანებლობის ხარისხისა“ [9, 40]. ფ. ნიცშე იქვე აღნიშნავს, რომ „საჭიროა ისწრაფოდე გქონდეს მეტი... გქონდეს და გსურდეს მეტის ქონების უნარი. ერთი სიტყვით – ზრდა არის კიდეც თვით სიცოცხლე“ [9, 78 გვ.]. მაგრამ სიცოცხლის ამ მზარდ სწრაფვას, ძლიერებასა და მბრძანებლობას ხელს უშლის მორალი – საზოგადოებაში ჩამოყალიბებული ადათ-წესები, გაბატონებული ნორმები. ამიტომ აუცილებელია მორალის განადგურება, რათა გავანთავისუფლოთ სიცოცხლე. „მორალი სიცოცხლის, ზრდის „მაწყევარია“, სუსტებისა და სასოწარკვეთილთა იმედი და სასოებაა, რომელშიც მინავლებულია „ძალაუფლების ნება“. ნაცვლად იმისა, რომ იზარდონ, გაძლიერდნენ, გაბატონდნენ, ისინი იშველიებენ თეორიებს, სისტემებს, სამყაროს „ფიქციურ“ გაგებას, რათა თავიანთი სისუსტე და უძლურება გაამართლონ და თავი დაიცვან ძლიერთა-

გან; მაშინ როდესაც ადამიანის საკუთარი „მე“ მუდამ იზრდება და წახალისდება სხვის ხარჯზე“. „სიცოცხლე მუდამ ცოცხლობს სხვა სიცოცხლეების საშუალებითა და ხარჯზე, ვისაც ეს არ ესმის, მას საკუთარ თავშიც კი აზრადაც არ გადაუდგამს პატიოსნებისკენ ერთი ნაბიჯიც“ [9, 149 გვ.].

„სიცოცხლე მიისწრაფვის ძალაუფლების გრძნობის მაქსიმუმისაკენ, თავისი არსით იგი არის ძალაუფლების დიდი რაოდენობით დაგროვებისკენ მისწრაფება; სხვა არაფერია, თუ არა მისწრაფება ძალაუფლებისკენ, ძლიერებისკენ“ [9, 339 გვ.].

„ძალაუფლების ნება“ სიამოვნების წყაროა, ძლევისკენ, გამარჯვებისკენ, დაბრკოლებათა გადასახვისკენ სწრაფვაა და არა უბრალოდ მიღწეულით დაკმაყოფილება. იგი მუდმივ წინააღმდეგობათა გადალახვის გარეშე ვერ ძლებს. ბრძოლის გარეშე მოპოვებულ წარმატებებსა და ბედნიერებას – „ჯოგურ იდეალად“ მიიჩნევს. სიცოცხლე სიამოვნებას კი არ ეძებს და იცილებს უსიამოვნებებს, არამედ ორივეს მხოლოდ თანმხლებ მომენტებად მიიჩნევს ძალაუფლების მოპოვების გზაზე და სწორედ ამ პროცესში წარმოიშობა სიამოვნება და უსიამოვნებები შედეგის სახით. ბედნიერებაც მზარდი ძალაუფლებისა და გადალახული წინააღმდეგობის გრძნობაა, არა მიღწეულით დაკმაყოფილებაშია, არამედ ძალაუფლებისკენ მუდმივ სწრაფვაში. ე.ი. ნიცშე სიამოვნებასა და უსიამოვნებას, ომს და ყოველგვარ აქტიურ ქმედებას განიხილავს როგორც აუცილებელ და ნორმალურ მოვლენას, ყოველი ორგანული პროცესის აუცილებელ ატრიბუტს. მისთვის ყოველი წინსვლა, გამარჯ-

ვება გულისხმობს აღმოფხვრილ და გადალახულ წინააღმდეგობას.

ფ. ნიცშე კარგად გრძნობს და ხედავს ტრადიციული ფილოსოფიის პოზიციურ უსუსურობას, რაც ფაქტიურად ზღუდავს ძალაუფლებისკენ უსასრულო სწრაფვას. ნიცშე ღრმად სწვდება ადამიანურ ბუნებას, მის ნამდვილ სურვილებსა და ზრახვებს, და დარწმუნებულია იმაში, რომ ძალაუფლება არა მხოლოდ მიღწევის საშუალებაა, არამედ ადამიანური მოღვაწეობის თვითმიზანიც, მისი მიზნებისა და ზრახვების საფუძველიც და წარმმართველიც. იგი „ძალაუფლების ნებას“ სიცოცხლის საფუძვლად თვლის, რომელიც მიმართულია ზრდისკენ, მატებისკენ, გაფართოებისკენ, გაბატონებისკენ, მბრძანებლობისაკენ. მაგრამ ნიცშეს აზრით „ძალაუფლების ნების“ ჭეშმარიტ ფილოსოფიას წინ ეღობება რელიგიაში და მორალში დამკვიდრებული და გაბატონებული დოგმები და ნორმები, რომლებიც მოწოდებულნი არიან ძალაუფლების შეზღუდვისკენ. ადამიანები თხზავენ უამრავ თეორიებს, თვალსაზრისებს, რითაც უარყოფენ შიშველ ძალაუფლებას, ეძებენ მის შემზღუდავ მექანიზმებს. ნიცშე განსაკუთრებით აკრიტიკებს მორალს, რომელიც იმთავითვე მოწოდებულია ძალადობისა და ძალაუფლების შეზღუდვისაკენ, რითაც სარგებლობენ სუსტები, რომლებიც მისი მეშვეობით ცდილობენ თავიანთი პოზიციების დაცვასა და ძალმომრეობის აღკვეთას.

ფ. ნიცშეს აზრით, არსებობს ადამიანთა ორგვარი ტიპი: სიცოცხლით სავსე, აქტიური, შემოქმედებითი ტიპის ადამია-

ნები, რომლებიც მოწოდებულნი არიან ბატონობისა და მბრძანებლობისაკენ, მათ გააჩნიათ თავიანთი მორალი, რაც პრინციპულად განსხვავებულია ბრბოს, ჯოგის, პლებეის, მონის მორალისაგან. თუკი ძლიერთა და პრივილეგირებულთა მორალი ხოტბას ასხამს აქტიურობას, სიძლიერეს, დაუნდობლობას, სიმტკიცეს, სიმამაცესა და ომს, სუსტთა და მონათა მორალი ქადაგებს კეთილშობილებას, თანაგრძნობას, ურთიერთდახმარებასა და გატანას, ერთმანეთისადმი სიყვარულსა და დანდობას. სუსტთა მორალით ძლიერთა მორალი შეფასებულია, როგორც „ბოროტება“, ხოლო ძლიერთა მორალით სუსტთა მორალი არის საზოგადოების განვითარების შემაფერხებელი, იგი თვალთმაქცურია, რომლის სიღრმეში იმალება შურისძიების სურვილი. ნიცშეს აზრით, მის თანამედროვე ევროპაში სწორედ მონათა მორალი იყო გაბატონებული, სადაც უარყოფილი იყო ადამიანთა ინდივიდუალობა და პიროვნების აქტიური როლი.

პიროვნების დეკადანსის მიზეზებს ნიცშე ხედავს როგორც ქრისტიანობაში, ისე ბურჟუაზიულ-ბიუროკრატიულ სახელმწიფო მანქანის ჩამოყალიბებაში. მაგალითად, ქრისტიანობის ძირითადი მოთხოვნა შენდობისა და თანაგრძნობის პრინციპის დაცვაში მდგომარეობს, რაც უპირველეს ყოვლისა მიმართულია სუსტი და ავადმყოფი ადამიანის დასაცავად. ნიცშეს მიხედვით კი სუსტზე და დავრდომილზე ზრუნვა, მათზე ზედმეტი ენერგიისა და ძალისხმევის მიმართვა აფერხებს საზოგადოების განვითარებასა და წინსვლას. ქრისტიანობა ასევე

არღვევს ადამიანის მთლიანობას, როცა იგი რწმენის გამო მთელ ძალისხმევას მიმართავს იმქვეყნიური ცხოვრებისაკენ და ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს ამქვეყნიურ ინტერესებს. ასევე უარყოფითი შედეგები მოაქვს პიროვნებისთვის თანამედროვე ტექნიკურ პროგრესს, როცა ადამიანები მანქანის ჭანჭიკებად იქცევიან და კარგავენ ინდივიდუალობას, შემოქმედებით უნარებს. თანამედროვე ადამიანს აშინებს აქტიურობა, ინიციატივის გამოჩენა, სოციუმიდან გამორჩევა, ძლიერი განცდების გამომჟღავნება, ბრძოლა მნიშვნელოვანი პრობლემების გადასაწყვეტად და კმაყოფილდება მხოლოდ თავის კეთილდღეობაზე ზრუნვით, ირჩევს უშფოთველ ცხოვრებას, მხარს უჭერს კანონიერებასა და სიმშვიდეს, წინააღმდეგია გარდაქმნებისა და განახლებისა. თანამედროვე ევროპელი უსახური და უპიროვნოა, რომელშიც ნიველირებული და ჩაკლულია ბუნებრივი ლტოლვები და მისწრაფებები.

იმის შემდეგ, რაც ევროპელებისათვის „ღმერთი მოკვდა“, ნიცშეს მიხედვით, ადამიანთა ცხოვრებაში რაღაც უნდა შეიცვალოს. ძველი ღირებულებები უნდა გადაფასდეს. ეს ახალი კი სიცოცხლის პრინციპია. სიცოცხლე არის ძლაუფლების ნება, გავლენის სფეროს გაფართოება და ძალაუფლების დამკვიდრება. თუ ბოლომდე ჩავწვდებით სიცოცხლის ჭეშმარიტ საზრისს, მაშინ ადამიანი მიხვდება, რომ „ღმერთის სიკვდილის“ შემდეგ მისი ადგილი უნდა დაიკავოს უმაღლესი ტიპის ძლიერმა შემოქმედმა, აქტიურმა ზეკაცმა – ქერა ბესტიამ, რომელიც სათავეში ჩაუდგება ძლიერ ელიტას და

საზრისს მისცემს ცხოვრებას, რომელიც თვითონ შექმნის ახალ ღირებულებებს და გააკონტროლებს მას.

ამგვარად, ნიცშეს ჭეშმარიტების კრიტერიუმად „ძალაუფლების ნება“ აქვს წარმოდგენილი, რომელიც სასიცოცხლო ძალების გააქტიურებაში მდგომარეობს. იგი ირაციონალური ძალაა, რომელიც სიცოცხლის არსებობის უპირველესი პრინციპი და არსებულის ძირითადი მახასიათებელია, რომელიც არსებობაზე მეტს ნიშნავს, რადგან რაც არსებობს, მას აღარ შეიძლება აკმაყოფილებდეს ისეთადვე დარჩენა – სიცოცხლის არსებობა არ შეიძლება იყოს თვითშენახვის, გარემოსთან შეგუების პროცესი. სიცოცხლე მოწოდებულია წინსწრაფვისკენ, არსებობის გაფართოებისკენ, სხვის დამორჩილებისაკენ და გაბატონებული მდგომარეობის მოპოვებისკენ, ძალაუფლებისკენ.

შეუძლებელია არ დაეთანხმო ფ. ნიცშეს იმაში, რომ ძალაუფლება ადამიანთა საქმიანობის ძირითადი სტიმულია, იგი წარმართავს ადამიანთა სასიცოცხლო ურთიერთობებს, როგორც სულიერ, ისე გონით და კულტურულ პროცესებს, რადგან ადამიანთა ცხოვრება წარმოადგენს როგორც ინდივიდების, სოციალური ჯგუფების, სახელმწიფოთა შორის ღია თუ დაფარული დაპირისპირებისა და ბრძოლის ასპარეზს. როგორც მ. ვებერი აღნიშნავს, ადამიანთა ცხოვრებიდან შეუძლებელია ბრძოლის აღმოფხვრა, შეიძლება შევარბილოთ, შევცვალოთ ბრძოლის ობიექტი და მიმართულება, მაგრამ შეუძლებელია ბრძოლის, როგორც ასეთის, გაუქმება. ბრძოლა შეიძლე-

ბა იყოს არა მხოლოდ გარეგანი – ტერიტორიის ან დოვლათის მოპოვებისათვის, არამედ შინაგანი – ადამიანთა სულში საკუთარ თავთან ბრძოლა. „ასე რომ სხვადასხვაგვარი ბრძოლა არასოდეს არ წყდება და მისი შედეგები ზოგჯერ ყველაზე სერიოზულია იქ, სადაც იგი ყველაზე ნაკლებად შესამჩნევია“ [13, 575-76გვ]. თუ ძალადობის აღმოფხვრა ყოფით დონეზე შეუძლებელია, მაშინ პოლიტიკის სფეროში იგი უფრო აშკარად და რელიეფურად იჩენს ხოლმე თავს, რადგან პოლიტიკური ასპარეზი ნამდვილად ძალაუფლების ბრძოლის ასპარეზია. პოლიტიკა ხომ ძალაუფლებისკენ სწრაფვაა. როგორც მ. ვებერი წერს: „ის, ვინც პოლიტიკაშია, ძალაუფლებისკენ მიისწრაფვის, სულ ერთია როგორ ესახება მას ეს ძალაუფლება – სხვა იდეალურ ან მატერიალურ მიზანთა მიღწევის საშუალებად თუ ძალაუფლებად „მხოლოდ ძალაუფლების გულისთვის“, რათა დატკბეს პრესტიჟულობისთვის იმ გრძნობით, რასაც იგი ანიჭებს ადამიანს“ [16, 13 გვ.].

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკა ისტორიის განვითარების, ძალაუფლებისთვის ბრძოლის ძირითადი ღერძია. ძალაუფლება კი არის ადამიანთა შორის ფსიქო-სოციალური დამოკიდებულება, რომელიც გულისხმობს ორმხრივ ვალდებულებას, მათ შორის ვინც ძალაუფლებას ფლობს და ვისზედაც ეს ძალაუფლება ვრცელდება. ფართო გაგებით ძალაუფლება ეს არის ერთი ინდივიდის ან ჯგუფის უნარი გააკონტროლოს მეორე ინდივიდი ან ინდივიდთა ჯგუფის მოქმედება. ვიწრო გაგებით კი, რადგანაც სახელმწიფო წარ-

მოადგენს საჭემპყრობელსა და გაბატონებულ ორგანიზაციას, ამდენად იგი პოლიტიკურ ძალაუფლებას ანხორციელებს მასში შემავალ ყველა სუბიექტზე.

არსებობს ძალაუფლების გაგების სხვადასხვაგვარი ფორმები. უმთავრესად გამოჰყოფენ ძალაუფლების გაგების მ. ვებერისეულ და სისტემურ მიდგომებს.

2.2.1. **ძალაუფლების ვებერისეული გაგება** ამოდის დ. ჰეგელიდან, მაგრამ იგი დიდწილად ფ. ნიცშეს პოზიციებსაც იზიარებს. მაქს ვებერის განსაზღვრებით, „**ძალაუფლება ნიშნავს სოციალური ურთიერთობებით განმტკიცებულ ნებისმიერ შესაძლებლობას დაიჭინო და გაიტანო საკუთარი თავით წინააღმდეგობების არსებობის დროსაც კი, დამოუკიდებლად იმისაგან, რაშიც ეს შესაძლობლობა გამოიხატება**“. მ. ვებერის მიხედვით, ძალაუფლებისკენ სწრაფვას არ განაპირობებს მხოლოდ ეკონომიკური, ფულის ძალაუფლება ან მხოლოდ სოციალური „პატივისცემა“, რადგან სოციალური პატივი ანუ პრესტიჟი თვითონ შეიძლება იყოს პოლიტიკური თუ ეკონომიკური ძალაუფლების ბაზისი. ძალაუფლება ისევე, როგორც პატივისცემა, შეიძლება გარანტირებული იყოს ლეგალური წესრიგის მეშვეობით, რაც ხშირად პატივისცემათა და პრესტიჟთა პირველადი წყაროა. ლეგიტიმური წესრიგი უფრო დამატებითი ფაქტორია, რომელიც ხელს უწყობს ძალაუფლების ან პრესტიჟის მოპოვების შანსს, მაგრამ იგი არასდროს არ აძლევს მათ გარანტიებს. ამიტომ ლეგიტიმური თუ კანონიერი წესრიგი არსებითია, მაგრამ

ძალაუფლების, პრესტიჟისა და პატივისცემის მოპოვებაში უმთავრესი მაინც ძალაუფლებაა. როგორც მ. ვებერი წერს, „ძალაუფლების ქვეშ ჩვენ გვესმის ერთი ადამიანის ან ადამიანთა შესაძლებლობა – რეალიზება გაუკეთოს საკუთარ ნებას ერთობლივ საქმიანობაში, იმ ადამიანთა მხრივ წინააღმდეგობების მიუხედავად, რომლებიც მონაწილეობენ მითითებულ მოქმედებაში“ [14, 162 გვ.]. ამ შემთხვევაში ძალაუფლება გაგებულია, როგორც ინდივიდთაშორისი ან ჯგუფთაშორისი ურთიერთობების ნაწილი, რომლის მეშვეობითაც გადაილახება სხვა ინდივიდთა ან სოციალურ ჯგუფთა წინააღმდეგობა. ე.ი. მ. ვებერის მიხედვით ძალაუფლებრივი ურთიერთობა გაგებულია როგორც ინდივიდებსა და სოციალურ ჯგუფებს შორის ნებელობითი ურთიერთობა, რომელიც ორივე მხარის თავისუფლებას გულისხმობს. ამ შემთხვევაში ძალაუფლება რესურსთა მობილიზაციის უნარის მეშვეობითაა განსაზღვრული, იგი ასიმეტრიული და გაშუალებულია განსაზღვრული არგუმენტაციით. ძალაუფლების გაგების ასეთი მიდგომა ემყარება პიროვნულ უნართა არსებობას, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია სხვების მოქმედებათა გაკონტროლება და მათი წინააღმდეგობათა გადალახვა.

2.2.2. ძალაუფლებისადმი სისტემური მიდგომის ავტორები არიან მ. კროზიე და ტ. პარსონსი, რომლებიც ფიქრობენ, რომ ძალაუფლების არსის, როგორც მოლაპარაკების და როგორც გაცვლის, განსაზღვრება მხოლოდ ერთ-ერთი მიდგომათაგანია,

რომელიც არ არის საკმარისი ძალაუფლების რაობის ასახსნელად. ამიტომ მ. კროზიე ცდილობს ძალაუფლება დაუკავშიროს ობიექტებს, სტრუქტურებს, რისთვისაც საჭიროა ორ პარტნიორს შორის მოლაპარაკებები განვიხილოთ ბუნებრივ გარემოში. ასეთ ბუნებრივ გარემოდ კი მ. კროზიეს მიაჩნია ორგანიზაცია, რომელიც განსაზღვრავს მოლაპარაკებათა პირობებს. სწორედ ორგანიზაციულ სტრუქტურებთან ძალაუფლებრივი დამოკიდებულებების კავშირი იძლევა იმის საშუალებას, რომ ეს დამოკიდებულებები განხილულ იქნან როგორც მითითება და პროცესი, რომელიც გულისხმობს კიდეც კოლექტიური მოქმედების საფუძველზე ძალაუფლებრივ დამოკიდებულებათა წარმოშობას, რაც საერთო მიზნის არსებობიდან გამომდინარეობს. მაგალითად, თეატრში სპექტაკლის მაყურებლებს ან მატარებლის მგზავრებს იმიტომ არ უჩნდებათ ძალაუფლებრივი დამოკიდებულება, რომ მათ არ გააჩნიათ მოქმედებათა საერთო მიზანი, ანუ არ წარმოადგენენ რაიმე ორგანიზაციას. ორგანიზაცია კი წარმოიქმნება მაშინ, როდესაც ადამიანებს უჩნდებათ მოქმედებათა საერთო გეგმა-მიზანი, რასაც აუცილებლად მოჰყვება ძალაუფლებრივ დამოკიდებულებათა ჩამოყალიბება.

ძალაუფლების მოპოვებისათვის მხოლოდ აღმასრულებელი ფუნქცია არ არის საკმარისი პიროვნება თავისი „პროექტის“ ან „თავისუფლების“ მფლობელიც უნდა იყოს, რომელიც სარგებლობს რა საკუთარი ქცევის თავისუფლებით, ამით გავლენას ახდენს თავის პარტნიორზე. შესაბამისად ეს გავლენა

მით უფრო დიდი იქნება, რაც უფრო თავისუფალი იქნება იგი. ასეთ ვითარებაში თამაშის არსი იმაშია, რომ უნდა შეძლო სხვისი გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევა, თვითონ კი თავისუფალი დარჩე, ისე, რომ გქონდეს საკუთარი „კეთილი ნების“ გამომჟღავნების საშუალება. როგორც მ. კროზიე აღნიშნავს, „მოლაპარაკების დროს ერთმანეთს ეჯახებიან აქტიორთა ნიჭი და უნარი, მათი გამოცდილება და დიპლომატია. მხარეები უნდა ეცადონ შენიღბონ თავიანთი მოქმედებანი, რომ ნაკლებად გამოსაცნობი და განჭვრეტადი იყოს მათი ჩანაფიქრი. ძალას, პრესტიჟს, კანონიერ ძალაუფლებას გავლენა აქვს მხოლოდ მაშინ, როდესაც ისინი გვაძლევენ მოქმედებათა დიდ თავისუფლებას“ [12, 83].

ამგვარად, ძალაუფლებრივი ურთიერთობები წარმოიქმნება ორ ან მეტ სუბიექტთა გაერთიანებაში, რომლებსაც გააჩნიათ მოქმედების საერთო გეგმა და მიზანი ანუ გარკვეული ორგანიზაცია. ხოლო ძალაუფლების მქონე პიროვნების თუ ორგანიზაციის თავისუფლებისა და ძალაუფლების ხარისხი დამოკიდებულია მათ ნიჭსა და უნარზე, თუ როგორ წარმართავენ ამ ურთიერთობებს.

მ. კროზიემ, რა თქმა უნდა, გამოავლინა ძალაუფლების მნიშვნელოვანი ასპექტები, მაგრამ როგორც მისი კრიტიკოსები აღნიშნავენ, მან ნაკლები ყურადღება მიაქცია პოლიტიკური ძალაუფლების, სხვა ფორმების ძალაუფლებისაგან განმასხვავებელი ნიშნების წარმოჩენას. იგი ერთმანეთთან აიგი-

ვებს ძალაუფლებას და გავლენას, ძალაუფლებას და მართვას და სხვა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ძალაუფლების საკითხის კვლევაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა და თავისი კონცეფცია ჩამოაყალიბა დიდმა სოციოლოგმა ტ. პარსონსმა, რომელმაც ძალაუფლების საკითხი განიხილა ფულთან, როგორც გამაშუალებელ-უნივერსალურ შუამავალთან მიმართებაში. ტ. პარსონსის მიხედვით, როგორც ფული ბრუნავს ეკონომიკურ და არა მხოლოდ ეკონომიკურ სისტემაში, ასევე ძალაუფლებაც ბრუნავს პოლიტიკურ და სხვა სოციალურ სფეროებში. როგორც ფულის ფუნქციონირებაა დაკავშირებული არა იმდენად მის ღირებულებასთან, არამედ რთულ ინსტიტუციონალური სისტემის არსებობასთან, რადგან მისი სიმბოლიზირებულად აღიარების გარეშე იგი ვერ შეასრულებს თავის ფუნქციას ასევეა ძალაუფლების შემთხვევაშიც. ძალაუფლებაც ისეთივე „საყოველთაო“ და სიმბოლიზირებულია“, როგორც ფული. ე.ი. როგორც ფული, ისე ძალაუფლება, „განზოგადებული“ და „სიმბოლური“ უნდა იყოს, ამავე დროს იგი უნდა იყოს ლეგიტიმური და აღიარებული. როგორც ტ. პარსონსი წერს, „ძალაუფლება ეს არის იმ განზოგადებული უნარის რეალიზაცია, რომელიც აღწევს კოლექტივის წევრებისაგან მათი ვალდებულებების შესრულებას, ვალდებულებებისა, რომელიც ლეგიტიმირებულია კოლექტიური მიზნებისათვის მათი მნიშვნელობისა გამო, რომელიც უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ ნეგატიური სანქციების გამოყენებით

აიძულოს დაუმორჩილებელნი, მიუხედავად იმისა, ვინც არ უნდა იყოს ამ ოპერაციის მოქმედი პირი“ [4, 481გვ.].

ამგვარად, ტ. პარსონსის აზრით ძალაუფლებრივ სისტემაში ლეგიტიმაცია არის იმ ნდობის ანალოგიური, რომელსაც ადგილი აქვს ფულადი ერთეულის მიღებისა და ფინანსურ სისტემაში მისი სტაბილურობის თაობაზე ურთიერთთანხმობის დროს, ძალაუფლების ორ კრიტერიუმს „საყოველთაობასა“ და „ლეგიტიმურობას“ აერთიანებს. თუ ძალაუფლების გამოყენების ლეგიტიმურობა ეჭვის ქვეშ დადგა, მაშინ მას მივყავართ მორჩილების მიღწევის უფრო ძლიერი საშუალებების გამოყენებასთან. ე.ი. რაც უფრო ეცემა ლეგიტიმურობის მნიშვნელობა, შესაბამისად ძალაუფლებაც კარგავს ავტორიტეტს და მით უფრო ძლიერდება შიშველი ძალის გამოყენების პოლიტიკა.

თუ მოკლედ შევაჯამებთ ტ. პარსონსის თვალსაზრისს, ძალაუფლების გაგების საკითხში, რომელიც დამკვიდრებულია თანამედროვე პოლიტიკურ სოციოლოგიაში, **ძალაუფლება ეს არის საზოგადოების მიერ აღიარებული მიზნების მისაღწევად მასში არსებული რესურსების მობილიზების უნარი, იგი არ არის მხოლოდ ერთი ჯგუფის მიერ სხვა ჯგუფზე საკუთარი ნების მოხვევა, არამედ იგი შეიძლება მოქმედებდეს, მითუმეტეს დემოკრატიულ ქვეყნებში, მთელი საზოგადოების სახელითაც. ძალაუფლება წარმოადგენს ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ სისტემებსა და ქვესისტემებს შორის გაცვლისა და გამაშუალებელ საშუალებას. ძალაუფლება აქტიური, მოძრავი და ცვალე-**

ბადი ფენომენია. როგორც მიმოქცევაში ფული იცვლება და იზრდება, ასევე ძალაუფლებაც შეიძლება „ვაწარმოოთ“ და „ვზარდოთ“. იგი პოლიტიკაში, განსაკუთრებით განვითარებულ დემოკრატიაში, საკრედიტო სისტემას ჰგავს. ძალაუფლების კრედიტი შეიძლება იცვლებოდეს და მერყეობდეს ინფლაციისა და დეფლაციის მსგავსად. ძალაუფლება ფულის მსგავსად საყოველთაო და სიმბოლური გამაშუალებელია და ლეგიტიმიური ხასიათისაა. იგი მოქმედებს მთელ სოციალურ სისტემაში, მაგრამ რაც შეეხება პოლიტიკას, ძალაუფლება ეს არის პოლიტიკური სისტემის უნარი მობილიზაცია გაუკეთოს საზოგადოების მატერიალურსა და იდეალურ რესურსებს საზოგადოების მიერვე აღიარებული მიზნების მისაღწევად.

ძალაუფლების საკითხის განხილვისა და ანალიზისას ძალზედ მნიშვნელოვანია მისი უშუალო შემადგენელი ძალა და უფლებისა და მასთან მჭიდრო კავშირში მყოფი **გავლენისა და ავტორიტეტის** საკითხის განხილვა, რათა უფრო ღრმად გავაანალიზოთ ძალაუფლების პრობლემა.

ძალა-უფლება – არც მხოლოდ ნების გამომხატველია და არც მხოლოდ მისი შემადგენელი მხარეების გაცნობიერებული დამოკიდებულების ერთობლიობისა, არამედ ძალაუფლება, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს **ძალას, ძალადობას, ფიზიკურ ზემოქმედებას**, რათა საკუთარი ნება-სურვილი მოახვიო სხვას. ძალა უფრო ვიწრო მოცულობის ცნებაა, ვიდრე ძალაუფლება, რადგან ძალაუფლების გავრცელება სხვაზე შეიძლება განხორციელდეს ფიზიკური ძალის გამოყენების

გარეშეც. გარკვეული აზრით, ძალაუფლება მუდამ ეყრდნობა ძალას, თუნდაც კანონიერ და ლეგიტიმურ ფიზიკურ ძალადობას. პოლიტიკაშიც დამკვიდრებულია და ამართლებენ გავლენის მოსახდენად ფიზიკური ძალის გამოყენებას, მაგრამ ამ შემთხვევაში მხედველობაშია ფიზიკური ძალადობა, როგორც საშუალება, რომელსაც ემყარება პოლიტიკური ძალაუფლება.

ძალაუფლებრივი ურთიერთობების ავტორიტეტული მკვლევარების უმრავლესობა (ჰეგელი, ვებერი და სხვები) უგულებელყოფენ ძალადობაზე აგებულ ძალაუფლებას. მაგრამ არსებობს მეორე მიმართულებაც (ფ. ნიცშე და ნიცშეანელები), რომლებიც მთელ საზოგადოებრივ ურთიერთობებს ძალადობაზე აფუძნებენ.

მ. ვებერი სახელმწიფოს, ადამიანის ადამიანზე ბატონობის ისეთ ფორმად მიიჩნევს, რომელიც ლეგიტიმურ ძალადობას ემყარება. პოლიტიკოსისათვის ძალადობის ფაქტორი არსებითია, მაგრამ იგი არ არის ძალაუფლების ერთადერთი პირობა. პოლიტიკის წარმოებისათვის არსებობს სულიერ-ფსიქოლოგიური და გონებრივი ხასიათის მექანიზმები, რომელთა გამოყენება უნდა შეძლოს გამოცდილმა პოლიტიკოს-ლიდერმა. თუ რა ქმედით საშუალებებს გამოიყენებს გარკვეულ ვითარებაში ძალაუფლების მქონე ხელისუფლება თუ ლიდერი, მათ ეფექტურ ქმედებაზე და თვით საზოგადოებაზეა დამოკიდებული. ფიზიკური ძალადობის გაძლიერება ხდება ისეთ საზოგადოებაში, სადაც პოლიტიკა გაიგივებული იქნება ნულოვან თამაშთან, სადაც ერთი მხარის მოგება ემთხვევა მეორე მხარის წა-

გებას, ანუ როდესაც ერთი მხარის მიზნები და ინტერესები სხვების ინტერესებისა და მიზნების ხელყოფის ძალისმიერი მეთოდების გამოყენების გარეშე შეუძლებელი ხდება. მაგრამ პოლიტიკა არ არის მხოლოდ ძალაუფლებისათვის ბრძოლა, იგი აგრეთვე გულისხმობს მმართველსა და მართულს შორის კონსენსუსს, თანამშრომლობასა და ურთიერთგაგებას. ძალაუფლება საჭიროა საზოგადოებისათვის საყოველთაო ღირებულებების: მშვიდობის, წესრიგის, სამოქალაქო ნორმების დასამკვიდრებლად.

თუ პოლიტიკურ ძალაუფლებას ფიზიკურ ძალებთან გავაიგივებთ, მაშინ ჩვენ პოლიტიკურის ნაცვლად სამხედრო ძალაზე უფრო გვექნება საუბარი. ძალადობრივი ქმედებები საზოგადოდ ძალაუფლებრივ ურთიერთობებს გაგვიუქმებს. მ. ვებერი აღნიშნავს, რომ ნებისმიერმა პოლიტიკურმა ძალაუფლებამ უნდა გათვალოს და გაითვალისწინოს მორჩილთა ინტერესები და მათგან მოსალოდნელი რეაქციები, თუ უნდათ, რომ თავიანთი პოლიტიკა წარმატებით გაატარონ. ტ. პარსონსის აზრით, ძალაუფლების რაოდენობა იზრდება სწორედ მმართველთა და მორჩილთა შორის თანამშრომლობისა და კონსენსუსის გზით, განსაკუთრებით დემოკრატიის პირობებში. მხოლოდ ძალითა და ბრძანებებით ბევრს ვერაფერს მივაღწევთ. როგორც თანამედროვე სოციოლოგი ნ. სმელზერი მართებულად აღნიშნავს, „თუ ჩვენ გავაიგივებთ ძალაუფლებასა და ძალას, მაშინ ძალაუფლების შესახებ მრავალი საინტერესო საკითხი გაურკვეველი და გაუქმებული დაგვრჩება. ამ

შემთხვევაში ჩვენ არ განვიხილავთ ძალაუფლების მრავალ ისეთ ფორმას, რომელიც დაკავშიერბული არ არის ძალის გამოყენებასთან. მაგალითად, მთავრობის მცდელობა, დაარწმუნოს დისიდენტთა ჯგუფი, არ ჩაატარონ დემონსტრაცია, რომელიც გამოიწვევდა ძალადობის ფაქტების გამრავლებას. რატომ გამოიყენება ძალა ასეთ შემთხვევაში და არა სხვა შემთხვევაში? რატომაა, რომ ძალაუფლების განხორციელება უფრო დამოკიდებულია მმართველობის რთულ ფორმებზე და არა უბრალოდ ძალის გამოყენებაზე?“ [15, 526 გვ.]. ამ მნიშვნელოვან კითხვებზე პასუხი ის არის, რომ ძალა, ძალადობა, იძულება, მართალია, ძალაუფლების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია, მაგრამ იგი ძალაუფლების გამოვლენის მხოლოდ უკიდურეს ფორმად მოიაზრება და გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა ძალაუფლების გამოყენების ყველა სხვა ხერხი ამოწურულია.

ძალაუფლებასთან ყველაზე ახლოს **ავტორიტეტის** ცნება მოიაზრება. მას ხშირად გავლენიასთან და ძალაუფლებასთანაც კი აიგივებენ. ზოგჯერ ავტორიტეტს განსაზღვრავენ როგორც ძალაუფლებას, რომელსაც შთაგონების უნარი შესწევს, ანდა ისეთ ძალაუფლებას, რომელიც დამყარებულია შეთანხმებაზე, კონსენსუსზე. შესაბამისად, ავტორიტეტს ფლობდეს ნებისმიერი სუბიექტი, რომელსაც გააჩნია უნარი გავლენა მოახდინოს სხვა სუბიექტებზე შთაგონებისა და დარწმუნების გზით და არ გამოიყენებს უხეშ ძალას, ე.ი. როგორც ზ. ბაუმანი აღნიშნავს, „პიროვნება ან ორგანიზაცია

შეიძლება წარმოადგენდეს ავტორიტეტს ადამიანისთვის იმ შემთხვევაში, თუ ის ფაქტი, რომ სწორედ იგი მისდევს და იცავს განსაზღვრულ ღირებულებას, ამ ადამიანების მიერ განიხილება როგორც მოწონებისა და თანხმობის საკმარისი მიზეზი“ [7, 126 გვ.].

პ. შარონის მიხედვით ავტორიტეტის განმასხვავებელ ნიშნად ითვლება ძალაუფლების უპირობო აღიარება იმათ მიერ, ვისგანაც მოითხოვენ მორჩილებასა და დაქვემდებარებას ისე, რომ საჭირო არ არის არც იძულება და არც დარწმუნება. „ეს არის თანშობილი ან შეძენილი უნარი, მადომინირებელი ზეგავლენა იქონიოს რომელიმე ჯგუფზე; ესაა ძალაუფლების გამოვლენა და გულისხმობს იმათ მორჩილებას, ვინც დაქვემდებარებულია მასზე“ [8, 90 გვ.].

ს. მოსკოვიჩის აზრით, ავტორიტეტი უნდა იყოს ბუნებრივად მომხიბლავი ადამიანი, რომლის ერთი ჟესტი ან სიტყვა სრულიად საკმარისი უნდა იყოს, რომ ირწმუნო მისი, ავტორიტეტულ ლიდერს უნდა გააჩნდეს მასებზე ზემოქმედების უნარი, აიძულოს სხვები გააკეთონ ისეთი რამ, რასაც ისინი თავის თავად არ გააკეთებდნენ. ავტორიტეტი წარმოადგენს რაღაც ირაციონალურ ძალას, თითქოს ჰიპნოზის მქონე ქარიზმატულ ტიპს. ნებისმიერი ძალაუფლება ავტორიტეტზე უნდა იყოს დაფუძნებული, ქარიზმა კი ავტორიტეტის განსაკუთრებული ფორმაა.

არსებობს ავტორიტეტის პიროვნული და თანამდებობრივი გაგება. თანამდებობრივ ავტორიტეტს კანონიერი საფუძველი

გააჩნია, იგი შეიძლება მოდიოდეს სიმდიდრესთან, მემკვიდრეობასთან, თანამდებობასთან ერთად. თანამდებობრივი ავტორიტეტი ნაკლებად არის დამოკიდებული პიროვნულ თვისებებზე, ხოლო პიროვნულ ავტორიტეტს კანონიერი საფუძველი არ გააჩნია, იგი იქმნება საკუთარი ნიჭითა და უნარით და შესაბამისად დამოკიდებულია საზოგადოების კეთილგანწყობაზე, მათ ყოველთვის სჭირდებათ წარმატებები და საკუთარი სიძლიერის გამნტკიცებაზე ზრუნვა. ამის ბრწყინვალე მაგალითია მოსე, ნაპოლეონი და სხვები.

ამგვარად, პიროვნული ავტორიტეტი დიდადაა დამოკიდებული მასების მისადმი კეთილგანწყობასა და რწმენაზე, ვიდრე პიროვნების ნიჭზე და უნარზე, მაგრამ არანაკლები მნიშვნელობისაა ნიჭი და უნარიც, თუმცა ბევრია ნიჭიერი, აქტიური, მოწოდებით ლიდერი, მაგრამ ხალხის მიერ რჩეული და აღიარებული კი ცოტაა.

პოლიტიკური ძალაუფლების სპეციფიკა იმაშია, რომ ყალიბდება ძალაუფლებრივ ურთიერთობათა საფუძველზე, რომელიც უშვებს იძულებასა და ძალადობრივ შესაძლებლობას. ავტორიტეტი კი, უპირველეს ყოვლისა, არაძალადობრივი ხასიათისაა, იგი არის როგორც პიროვნების, ისე სოციალური ჯგუფის თვისება, რომელიც არაძალადობრივ გავლენას ახდენს მეორე პიროვნებაზე ან სოციალურ ჯგუფზე.

ძალაუფლების ნამდვილი ავტორიტეტი მორჩილთა არსებობის ფაქტით კი არ იზომება (მორჩილთა და მართულთა არსებობა შეიძლება გამოწვეული იყოს შანტაჟით, რეპრესიე-

ბითა და შიშით), არამედ, ხელისუფალთა ავტორიტეტის საფუძველი და მაჩვენებელია მორჩილთა ნებაყოფლობითი, შეგნებული პატივისცემა ძალაუფლებისადმი. ნამდვილ ავტორიტეტთან მაშინ გვაქვს საქმე, როცა იგი გამოხატავს განსაკუთრებით საზოგადოების წამყვანი ფენებისა და მეტნაკლებად მთელი საზოგადოების ეკონომიკურ და სოციალურ-პოლიტიკურ ინტერესებს.

ამგვარად, თუკი ძალაუფლება არის უნარი, საკუთარი ნება მოახვიოს სხვებს და დაფუძნებულია იძულებაზეც, ავტორიტეტი მისგან განსხვავებით ეფუძნება თანხმობა-კონსენსუსს. იგი არის ძალაუფლების გამართლებისა და ლეგიტიმაციის განხორციელება. ავტორიტეტი არის საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში პიროვნების ან ორგანიზაციის საყოველთაოდ აღიარებულ გავლენაზე დაფუძნებული ძალაუფლების განხორციელების ერთ-ერთი ძირითადი ფორმა. ავტორიტეტი, როგორც წესი, არ ვრცელდება ადამიანთა საქმიანობაზე პირდაპირი ზემოქმედებით (დირექტივებით, ბრძანებებით და სხვა იძულებითი წესებით). ავტორიტეტზე დაფუძნებული მოთხოვნების შესრულება გულისხმობს შინაგან რწმენაზე, თანხმობაზე დაფუძნებულ ლეგიტიმურ, გაცნობიერებულ მოქმედებას და არა გარეგან იძულებაზე დაფუძნებულ ქმედებას. შესაბამისად, არსებობს სხვადასხვაგვარი ანუ ხასიათის ავტორიტეტი, მაგალითად, არსებობს: ტრადიციული, კონსტიტუციური, კანონიერ-ლეგიტიმური და ქარიზმატული ტიპის ავტორიტეტები. ავტორიტეტი ასევე შეიძლება

ემყარებოდეს კანონიერ ძალას, საზოგადოებრივ აზრს, ლეგიტიმაციას, წარმომავლობას, ოჯახისშვილობას, ხოლო ქარიზმატული ავტორიტეტი გულისხმობს განსაკუთრებულ ხიბლს, არაორდინარულ ღვთაებრივ მადლს.

ძალაუფლებასთან და ავტორიტეტთან ასევე ახლოს დგას **გავლენა,** რომელიც წარმოადგენს სხვა ინდივიდებზე ზემოქმედების უნარს, ყოველგვარი ძალის გამოყენების გარეშე. როგორც ს. ფროლოვი აღნიშნავს, „ერთი ინდივიდი შეიძლება მეორეზე ზეგავლენას ახდენს პრესტიჟის, პატივისცემის, სიყვარულისა და ერთგულების საფუძველზე. შეიძლება რომელიმე დაწესებულების ხელმძღვანელს არც პირადი ავტორიტეტი ან რაიმე განსაკუთრებული ფიზიკური თუ გონებრივი უნარი არ გააჩნდეს, მაგრამ მისი დაწესებულების მაღალი პრესტიჟი აიძულებს ადამიანს ანგარიში გაუწიოს ამ ინდივიდის მოსაზრებებს“ [17, 134 გვ.].

თუ ყოველგვარი ავტორიტეტისათვის დამახასიათებელია სხვა ინდივიდებზე გავლენის მოხდენა, გავლენა ყოველთვის არ გულისხმობს ავტორიტეტს. გავლენა შეიძლება ჰქონდეს პიროვნებას, რომელიც მოკლებულია პიროვნულ ავტორიტეტს, მაგრამ სხვებზე გავლენას ინარჩუნებს იმით, რომ არის ავტორიტეტულ პირთან გვერდში მდგომი ან ავტორიტეტული ორგანიზაციის წარმომადგენელი. ავტორიტეტის გარეშე გავლენა, ეს არის ინდივიდისა თუ ორგანიზაციის უნარი აამოქმედოს სოციალური სუბიექტი მისი სურვილის შესაბამისად და თუ ინდივიდს ან ორგანიზაციას გააჩნია ამის უნარი და

რესურსი, მაშინ მას ძალაუფლებაც გააჩნია. გავლენიანობა ნიშნავს იმას, რომ გავლენიან სუბიექტს შეუძლია სისრულეში მოიყვანოს თავისი ზრახვები და ინტერესები თავისუფლად, ბუნებრივად, წინააღმდეგობების გარეშე. გავლენიანი პირი თვითონ არის იძულებული ანგარიში გაუწიოს სხვებს, იმოქმედოს გონივრულად და სამართლიანად, რათა არ დაკარგოს თავისი გავლენა.

გავლენა ძალზედ მნიშვნელოვანია პოლიტიკაში, რადგან ამ სფეროში საქმე ეხება პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღებ პოლიტიკურ სუბიექტებსა და უწყებებს, რომელთა მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს უაღრესად მასშტაბური გავლენის მოხდენა შეუძლია საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ საქმიანობაზე.

ამგვარად, ძალაუფლება განსაკუთრებული სახის გავლენაა, მისგან განსხვავდება ავტორიტეტიც. ძალაუფლება სხვებზე პოზიციური თუ ნეგატიური, ან მუქარის გზით ზემოქმედების უნარია, რომელიც დაფუძნებულია იძულებაზე. ავტორიტეტი კი ეყრდნობა თანამოაზრეობის გრძნობას. ხოლო გავლენა არის პიროვნების ან სოციალური ჯგუფის უნარი ზემოქმედება მოახდინოს სხვებზე, ხელისუფლების დამსახურების, მისაღები თუ მიმზიდველი პოლიტიკის თუ სხვა დამსახურებათა გამო, ძალის გამოყენების გარეშე.

თავი III.
პოლიტიკური სისტემის სტრუქტურა და მისი ფუნქციები

3.1. პოლიტიკური სისტემის ცნება სამეცნიერო ლიტერატურაში საბოლოოდ დამკვიდრდა XX საუკუნის ბოლოს და იქცა პოლიტიკური სოციოლოგიის უმნიშვნელოვანეს კატეგორიად, რომლის შინაარსში იგულისხმება საზოგადოების პოლიტიკური ხასიათის ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ერთობლიობა და, რომლის მიზანსაც წარმოადგენს პოლიტიკური, სოციალური ჯგუფებისა და ეროვნულ-ეთნიკური ნიშნით გაერთიანებული ერთობების პოლიტიკური ინტერესების დაცვა და რეგულირება.

პოლიტიკური სისტემის ძირითად შემადგენელ რგოლებს განეკუთვნება სახელმწიფო ორგანოები: საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება, არმია, სამართალდამცავი ორგანოები (პოლიცია, სასამართლო, პროკურატურა), სახელმწიფო არბიტრაჟი, პოლიტიკური პარტიები, პოლიტიკური მოძრაობები. საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში იგულისხმება, აგრეთვე, მრავალი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, როგორებიც არიან: პროფკავშირები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ახალგაზრდული ორგანიზაციები, შემოქმედებითი გაერთიანებები (მწერალთა, ჟურნალისტთა, კომპოზიტორთა, მხატვართა, კინემატოგრაფისტთა კავშირები და ა.შ.), რომლებიც მოწოდებულნი არიან გამოხატონ და დაიცვან შესაბამისი საზოგადოებების როგორც პროფესიული, ისე პოლიტიკური

ინტერესები. ეს საზოგადოებრივი ორგანიზაციები და გაერთიანებები, როგორც წესი, მჭიდრო ურთიერთობაში არიან და ქმნიან მთლიან პოლიტიკურ სისტემას.

მთლიანად ეს პოლიტიკური სისტემა ვითარდება სოციალურ-ეკონომიკური და იდეოლოგიური ფაქტორების ზემოქმედებით და ძირითადად განსაზღვრული არიან ობიექტური ვითარებით, მაგრამ არანაკლებ როლს თამაშობს სუბიექტური ფაქტორიც. ამ ორგანიზაციებში გაერთიანებული საზოგადოების და განსაკუთრებით ხელმძღვანელობის ნიჭსა და უნარს, ცოდნასა და გამოცდილებას, მათ გამჭრიახობასა და პოლიტიკურ ალღოს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება.

სოციოლოგიის კლასიკოსები და თანამედროვე ავტორიტეტული მეცნიერები, რომლებიც მუშაობენ პოლიტიკურ სოციოლოგიაში, დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ პოლიტიკური სისტემების პრობლემების კვლევის საკითხს. მაგალითად, მ. ვერერი, პაული, ალმონდი და სხვები „პოლიტიკური სისტემის“ ცნების ძირითად მახასიათებლად ასახელებენ კანონიერი ფიზიკური იძულების გამოყენებას, სახელმწიფოებრივად ორგანიზებულ საზოგადოებას, სხვები კი გამოყოფენ ფასეულობათა ავტორიტარულ განაწილებას, ზოგნი კი პოლიტიკურ სისტემაში არჩევენ ძალაუფლებას, მმართველობას და ავტორიტეტს. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პოლიტიკური სისტემის ძირითადი მახასიათებელი გულისხმობს სანქციათა ლეგიტიმურობას, დასჯისა და მორჩილების კანონიერ უფლებას.

პოლიტიკური სისტემის ყველაზე სრულ და ჩვენთვის მისაღებ განსაზღვრებას პ. შარონი იძლევა, რომელიც წერს, რომ „პოლიტიკური სისტემის“ ცნება გულისხმობს მის შემადგენელ ნაწილთა ურთიერთდამოკიდებულებასა და გარკვეულ საზღვრებს, სისტემასა და მის გარემომცველ სინამდვილეს შორის. პოლიტიკური სისტემის საზღვრები ცვალებადია. ომის დროს ისინი მნიშვნელოვნად ფართოვდება, რამდენადაც ადამიანთა დიდი რაოდენობა იმყოფება სამხედრო სამსახურში, კომერციულ კომპანიათა საქამიანობა რეგულირდება და ყველაფერი კეთდება შინაგანი უშიშროების უზრუნველსაყოფად. [8, ტ. 1, 45].

ამგვარად, „პოლიტიკური სისტემის“ ცნება, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების ანალიზისადმი სისტემურ მიდგომას ანუ კვლევას. ეს იმას ნიშნავს, რომ სისტემა გულისხმობს სინამდვილის მრავალფეროვნებას, რომელსაც აქვს თავისი ნიშნები და თვისებები, რომელთა ახსნისათვისაც იყენებენ შინაგან ელემენტთა ურთიერთდამოკიდებულების ანალიზს, ე.ი. სისტემა ურთიერთქმედებაში მყოფ ელემენტთა ერთობლიობაა, იგი შედგება ელემენტებისაგან, რომელთა შორისაც არსებობს ურთიერთდამოკიდებულება. ელემენტთა ერთობლიობით წარმოქმნილი მთლიანობა არ დაიყვანება ელემენტთა ჯამზე, მთლიანობა ემორჩილება გარკვეულ წესრიგს.

„პოლიტიკური სისტემის“ ცნების გარკვევის შემდეგ შეიძლება პოლიტიკური სისტემის ზოგად თეორიაზე მსჯელო-

ბა, რომლითაც ადრე მკვლევარები არ იყვნენ დაკავებულნი. პოლიტიკური სისტემის ზოგადი თეორიის ანალიზი მხოლოდ ბოლო პერიოდში გახდა პოპულარული და აქტუალური.

სოციოლოგიასა და, კერძოდ, პოლიტიკურ სოციოლოგიაში პოლიტიკური სისტემის სისტემური ანალიზის ზოგადი სქემა შეიმუშავა **ტ. პარსონსმა**, რომელიც ამოდის „სოციალური მოქმედების“ ცნებიდან. ტ. პარსონსის მიხედვით, ძირითადია მოქმედი პირი, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, აღიქვამს სულიერ და უსულო საგანთა მნიშვნელობებს, აცნობიერებს მათ და რეაგირებას ახდენს მათზე. როგორც თვითონ წერს, სოციალური მოქმედება მოიცავს ოთხ ელემენტს:

1. მოქმედი პირი, ანუ „ეგო“, რომელიც შეიძლება იყოს ინდივიდი ან სოციალური ჯგუფი, ორგანიზაცია და ა.შ;

2. სიტუაცია – რომელიც მოიცავს იმ საგნებსა და ობიექ-ტებს, რომლებთანაც „მოქმედი პირი“ ამყარებს ამა თუ იმ ურთიერთობას. იგი არის „ადამიანი სიტუაციაში“. ადამიანის მოქმედება მომდინარეობს გარემომცველი სინამდვილიდან. ეს არის სიგნალებზე, ინფორმაციაზე რეაქცია და შესაბამისი პასუხი;

3. ამ რეაქციებზე და სიგნალებზე სიმბოლოთა მეშვეობით მოქმედი პირი ამყარებს კავშირებს სიტუაციის სხვადასხვა ელემენტებთან და მიაწერს მათ გარკვეულ საზრისს.

4. ფასეულობები, ნორმები და წესები წარმართავენ მოქ-მედი პირის ქცევებს და ამით იგი ხდება მიზანმიმართული.

სოციალური მოქმედების ანალიზის შემდეგ პარსონსი ასკვნის, რომ ადამიანთა მოქმედება არ არის მარტივი და იზოლირებული, იგი ყოველთვის სისტემური ხასიათისაა და სულ მცირე ორ სუბიექტს შორის ურთიერთდამოკიდებულებას მაინც გულისხმობს. მოქმედი სისტემა, უპირველს ყოვლისა, ეს არის მოქმედი პირისა და სიტუაციის ურთიერთდამოკიდებულების ორგანიზაცია, მაგრამ რომ იფუნქციონიროს სისტემამ, ამისათვის აუცილებლად უნდა შემოვიტანოთ და გავარკვიოთ ფუნქციის ცნება, რომელიც შესატყვისობაში იქნება იმ საქმიანობასთან, რომლის დანიშნულებაც იქნება მოცემული სისტემის მოთხოვნათა დაკმაყოფილება.

ტ. პარსონსის აზრით, ნებისმიერ სისტემას 4 ფუნქცია გააჩნია:

1. ადაპტაციის ფუნქცია – მიმართულია მოქმედების სისტემისა და მის გარემოს შორის ურთიერთობის დადგენაზე. ამ ფუნქციის არსი იმაშია, რომ გარშემო არსებული სისტემიდან ამოიღოს ის რესურსები, რომლებიც აუცილებელია თავისი სისტემის საჭიროებისათვის, ხოლო მას სანაცვლოდ მისცეს თავისი საკუთარი „პროდუქტი“. ამგვარად, ადაპტაციის მეშვეობით სისტემა ეგუება გარემოს და ამით უთანადებს, უფარდებს მას თავის მოთხოვნებს.

2. მიზნის მიღწევის ფუნქცია – მდგომარეობს იმაში, რომ ეხმარება სისტემის მიზანთა განსაზღვრასა და მიღწევაში და ამისთვის აუცილებელი რესურსების მობილიზაციაში.

3. ინტეგრაციის ფუნქცია – არის სისტემის მასტაბილიზებელი განზომილება, რომელიც მიმართულია სისტემის ნაწილთა შორის სტაბილურობის დაცვაზე.

4. მოქმედების ნებისმიერი სისტემა – უნდა უზრუნველყოფდეს თავის შემადგენელ წევრთა მხარდაჭერას, მათ სტაბილურ და აქტიურ საქმიანობას.

ტ. პარსონსი მოქმედების ამ ოთხ სისტემას შემდეგ 4 ქვესისტემად ჰყოფს: 1. ბიოლოგიური ორგანიზმი – ადაპტაცია; 2. პიროვნება – მიზნის მიღწევა; 3. კულტურა – ლატენტურობა; 4. ინტეგრაციის ფუნქცია. ამ ქვესისტემების ანალიზისას პარსონსი გამოდის კიბერნეტიკის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპიდან, რომლის მიხედვითაც ინფორმაციით დატვირთული ყველაზე მდიდარი ნაწილაკები სისტემაში მართავენ იმ ნაწილაკებს, რომლებიც ყველაზე მდიდარია ენერგიით. ამის გათვალისწინებით ნებისმიერ სისტემაში მყარდება შესაბამისი იერარქია. აქედან გამომდინარე, ბიოლოგიური ორგანიზმები, რომლებიც ენერგიით ყველაზე მდიდარია და ინფორმაციით კი ყველაზე ღარიბი, დაბალი ქვესისტემაა; მეორე საფეხურზე იქმნება პიროვნება, შემდეგ სოციალური სისტემა, ბოლოს კი – კულტურა, რომელიც ყველაზე ღარიბია ენერგიით და ყველაზე მდიდარი ინფორმაციით, ყველაზე მაღლა დგას და მაკონტროლებელი ფაქტორია. ამგვარად, სისტემის მართვის იერარქია იწყება: კულტურით (ლატენტურიდან), რადგან ყველაზე მდიდარია ინფორმაციით; შემდეგ გადადის ინტეგრაციაზე (მიზნის მიღწევაზე) და ბოლოს ადაპტაციაზე ჩერდება.

თუ ამას ყველაფერს გავითვალისწინებთ და საზოგადოების შიგა ორგანიზაციას მივუყენებთ აღნიშნულ მოდელს, მაშინ მსჯელობა მოგვიწევს საზოგადოების შემადგენლობის 4 ქვესისტემაზე:

1. ადაპტაცია – ამ შემთხვევაში საქმე შეეხება საზოგადოებრივი საქმიანობის ყველა სახეს: წარმოებას, მოხმარებას, გაცვლას და ა.შ., რომელიც ეკონომიკურ ქვესისტემას შეადგენს.

2. მიზნის მიღწევა – ეს არის საზოგადოების კოლექტიური მიზნებისაკენ სწრაფვა (პარსონსი ამ ქვესისტემას ფართო გაგებით პოლიტიკურს უწოდებს), რადგან პოლიტიკაში გულისხმობს ორგანიზაციების ყველა ფორმას.

3. კულტურა ანუ ლატენტურობაში – იგულისხმება საზოგადოების სოციალიზაციის მთელი ქსელი (ოჯახი, განათლება, სამეგობრო და ა.შ.). კულტურა გადაეცემა საზოგადოების წევრებს და იქცევა საზოგადოებრივ ქმედებათა მოტივაციების მნიშვნელოვან ფაქტორად.

4. ინტეგრაციის ფუნქცია მდგომარეობს ადამიანთა შორის სოლიდარობის გამოხატვაში, კავშირების დადგენასა და გაფართოებაში. აღსანიშნავია, რომ ამ ოთხ სისტემას შორის არსებობს ურთიერთგაცვლათა რთული კავშირი. თვითოეული სისტემა იმყოფება სამ დანარჩენთან უწყვეტ კავშირში, რომელიც შეადგენს კიდეც მის გარემოს.

ტ. პარსონსი პოლიტიკას განიხილავს, როგორც საზოგადოების ქვესისტემას. მისთვის პოლიტიკა ნიშნავს კოლექტიურ

მიზანთა განსაზღვრას და მიზანთა მიღწევისათვის აუცილებელი რესურსების მობილიზებასა და გადაწყვეტილებათა მიღებას, ე.ი. მისთვის პოლიტიკური საქმიანობა განეკუთვნება არა მხოლოდ სახელმწიფოს და საზოგადოებრივ ინსტიტუტებს, არამედ პოლიტიკა გვევლინება ისეთ საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, როგორიცაა: პარტიები, პროფკავშირები, საწარმოები, სასწავლო დაწესებულებები და სხვა. ამგვარად, პარსონსის მიხედვით პოლიტიკური სისტემა ღია სისტემაა, იგი ავტონომიურია და მუდმივი ურთიერთობები აქვს საზოგადოების ქვესისტემებთან.

მოკლედ განვიხილოთ პოლიტიკურ სოციოლოგიაში დიდი ავტორიტეტის **დეივიდ ისტონის** შეხედულებები, რომელმაც პოლიტიკურ სოციოლოგიაში პირველმა გამოიყენა სისტემათა ზოგადი თეორია პოლიტიკის განსასაზღვრელად. როგორც რ. შვანცენბერგი წერს, „ისტონმა პოლიტიკურ სოციოლოგიაში იგივე როლი შეასრულა, რაც პარსონსმა ზოგად სოციოლოგიასთან მიმართებაში“.

დ. ისტონის აზრით, პოლიტიკა ეს არის „ღირებულებათა ნებელობითი განაწილება“. შესაბამისად, პოლიტიკურ სისტემაში შეიძლება განვსაზღვროთ როგორც ურთიერთობათა ერთობლიობა, რომლის საშუალებითაც მიმდინარეობს ღირებულებათა გადანაწილება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ისტონი პოლიტიკურ სისტემას განსაზღვრავს როგორც მოცემულ საზოგადოებაში პოლიტიკურ ურთიერთობათა ერთობლიობას.

პოლიტიკური სისტემის არსებობისათვის მნიშვნელოვანი როლი ენიჭება გარემოსთან სისტემის ურთიერთობებს. გარემოს ისტონი ორი ასპექტით განიხილავს: შიგა სოციალური გარემო და გარე სოციალური გარემო.

ისტონისეული პოლიტიკური სისტემის ურთიერთობის მოდელი ასეთია: გარემოდან სისტემაში შესვლა მოიცავს ორი ტიპის ელემენტს: მოთხოვნასა და მხარდაჭერას.

პოლიტიკური სისტემისადმი წაყენებული მოთხოვნები, მაგალითად, სტუდენტთა მიერ წაყენებული მოთხოვნები განათლებისადმი, სტიპენდიის მომატებისა ან სხვა ასიგნებათა გამოყოფისადმი, ანდა სხვა მოთხოვნების დიდი რაოდენობით დაგროვება, მითუმეტეს, თუ ეს მოთხოვნები ურთიერთსაწინააღმდეგონიც არიან, იწვევენ სისტემის გადატვირთვას, ზოგჯერ რაოდენობრივი თვალსაზრისით, ზოგჯერ კი იმით, რომ თვისობრივად რთული შესასრულებელია. მათი შესრულება გარკვეულ ფარგლებში სისტემისათვის შესაძლებელია, გადატვირთვის შემთხვევაში კი არა.

პოლიტიკური სისტემა რომ არ გადაიტვირთოს, მოთხოვნები მოყვანილი უნდა იქნას სისტემასთან შესატყვისობაში. ამ მხრივ მოთხოვნათა რეგულირების სტრუქტურული და კულტურული ფორმები არსებობს. სტრუქტურული რეგულირება დაკავშირებულია მოთხოვნათა ფილტრაციასა და გადაცემის პროცესში სპეციალიზებული ფუნქციების არსებობასთან. ე.ი. მოთხოვნები პოლიტიკური სისტემის შესასვლელში ხარისხდებიან, იფილტრებიან.

კულტურული რეგულირება კი დაკავშირებულია ნორმებთან, ღირებულებებთან და შეხედულებებთან, რომლებიც არ უშვებენ ან ზღუდავენ ზოგიერთ მოთხოვნას. კულტურული აკრძალვები ეხება ისეთ მოთხოვნებს, რომლებიც არაგონივრულია, დემაგოგიურია, ამორალურია და ა.შ.

პოლიტიკურ სისტემაში შესვლის მეორე ტიპი არის „მხარდაჭერა“, რომელიც პოლიტიკური სისტემის გაძლიერებას უწყობს ხელს. მხარდაჭერა მოიცავს სისტემისათვის ყველა კეთილმოსურნე ვარიანტს, მაგალითად ხელმძღვანელობისადმი ერთგულება, ინსტიტუტებისადმი პატივისცემა, პატრიოტიზმი და ა.შ.

დ. ისტონი განასხვავებს მხარდაჭერის 3 ტიპს:

1. მხარდაჭერა მთლიანად პოლიტიკური გაერთიანებისადმი, ანუ კოლექტიური ერთგულება;

2. მხარდაჭერა რეჟიმისადმი, რომლებსაც ეყრდნობა ხელოვნება და მთელი პოლიტიკური სისტემა.

3. სახელისუფლებო ორგანოებისადმი მხარდაჭერა, ე.ი. იმათდამი, ვინც პოლიტიკურ სისტემაში ანხორციელებს ძალაუფლებრივ ფუნქციებს. „ნებისმიერ სისტემაში არსებობენ ისეთი წევრები, რომლებიც ლაპარაკობენ მთელი სისტემის სახელით. ჩვენ იმათ აღვიქვამთ, როგორც ხელისუფლებას. ზოგიერთ სისტემაში, რომლებსაც მართავენ „ქარიზმატული ლიდერები“, მათ მიერ გამოხატული მხარდაჭერა იძენს მთელი სისტემისადმი და რეჟიმისადმი მხარდაჭერის მნიშვნელობას“ [28, გვ. 132].

აღსანიშნავია ისიც, რომ მხარდაჭერის ეს 3 ტიპი ერთდროულად არც კი გამოვლინდეს. მაგალითად, მოქალაქე შეიძლება მხარს უჭერდეს ეროვნულ გაერთიანებას, მაგრამ მხარს არ უჭერდეს არსებულ რეჟიმს.

ისტონის მიხედვით, პოლიტიკური სისტემა მჭიდრო ურთიერთზემოქმედებაშია თავის გარემოსთან. იგი გარდაქმნის შემოსულ მოთხოვნებს გადაწყვეტილებებად და მოქმედებებად, ე.ი. რეაგირებას ახდენს რეალობაში არსებულ მოთხოვნებზე, იღებს გადაწყვეტილებებს და ცდილობს მათ გატარებასა და რეალიზებას. გადაწყვეტილებანი – პირველ რიგში, სისტემისადმი წაყენებულ მოთხოვნებზე საპასუხო რეაქციაა, მაგრამ გადაწყვეტილებანიც, თავის მხრივ, იქცევა ახალ მოთხოვნათა და ახალ მხარდაჭერათა წყაროდ და ექცევა ჩაკეტილ წრეში. ეს უკუკავშირის მარყუჟი, როგორც ისტონი წერს, უნდა გაიხსნას იმით, რომ მოქმედებანი და გადაწყვეტილებანი, რომლებსაც იღებს პოლიტიკური სისტემა და რომელიც ახორციელებს მოთხოვნათა კონვერსიას, მუდმივად მიმართულია არსებული მხარდაჭერის მაქსიმალურ გადიდებაზე, ამიტომ ისტონი პოლიტიკურ სისტემას განიხილავს გარემოზე „დინამიური პასუხის“ თვალსაზრისით.

ამგვარად, თუ შევაფასებთ დ. ისტონის ღვაწლს და დამსახურებას პოლიტიკურ სოციოლოგიაში, როგორც რ. შვანცენბერგი აღნიშნავს, მან უკუაგდო ემპირიზმი და მისი უკიდურესობანი. მან გაამდიდრა პოლიტიკური სოციოლოგია პოლიტიკური სისტემის ზოგადი სტრუქტურის ანალიზით, პოლი-

ტიკური პროცესებისადმი სისტემური მიდგომით, მისი თეორიული მსჯელობები მისაღებია ყველა პოლიტიკური სისტემის საზოგადოებისათვის. იგი დინამიურია. დ. ისტონი უარყოფს ტრადიციულ სტატისტიკურ მეთოდს და პოლიტიკურ სოციოლოგიაში აფუძნებს კიბერნეტიკული სისტემისათვის დამახასიათებელ თვითრეგულაციის, თვითორგანიზაციისა და ურთიერთმოქმედების პრინციპებს. მან პოლიტიკა გაანთავისუფლა მისტიფიკაციისაგან და განიხილა იგი გარემოსთან მიმართებაში დ. ისტონის თეორიულმა განაზრებებმა მყარი საფუძველი მისცეს თანამედროვე სოციოლოგ-თეორეტიკოსებს პ. შარონსა და სხვებს, რომლებიც ცდილობენ მათზე დაყრდნობით მათი თეორიების შემდგომ განვითარებას.

არიან სხვა პოზიციაზე მდგარი სოციოლოგები და პოლიტიკოსები, რომლებიც პოლიტიკურ სისტემაზე მსჯელობისას და მისი განსაზღვრისას ამოდიან არა პარსონსისა და ისტონის კონცეფციებიდან. მაგალითად: ალმონდი, პაული, კოლმანი ამიდიან მ. ვებერისეული გაგებიდან, რომლის მიხედვითაც პოლიტიკური სისტემა არის ყოველ დამოუკიდებელ საზოგადოებაში ურთიერთქმედების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების, როგორც სისტემის, ერთიანობას.

ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა აქვე მოვიყვანოთ პ. შარონის განსაზღვრება, რომლის მიხედვითაც „პოლიტიკური სისტემა ეს არის პრობლემათა გამოვლენისა და წამოყენების მექანიზმი, აგრეთვე სახელმწიფოებრივ ურთიერთობათა სფეროში, რომელიც სხვადასხვა საზოგადოებაში განსხ-

ვავებულადაა განსაზღვრული, გადაწყვეტილებათა გამომუშავებისა და შესრულების კონტროლის მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც ხდება პრობლემებისა და გადაწყვეტილებათა გამოვლენა კანონიერ საფუძველზე დაყრდნობით. დღის წესრიგში მათი დაყენება და მოქმედებაში მოყვანა იწოდება სახელმწიფობრივ მმართველობად".

უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკური სისტემა მხოლოდ სახელმწიფო მმართველობით და საერთოდ მმართველობით არ შემოიფარგლება. თანამედროვე გაგებით პოლიტიკური სისტემის ცნებაში იგულისხმება აგრეთვე სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციები, პროფესიული გაერთიანებები და ინტერესთა ჯგუფები. იგი რთული მექანიზმია, რომელშიც შედის მრავალი ელემენტი და კომპონენტი.

ნებისმიერი პოლიტიკური სისტემის პირველი და აუცილებელი კომპონენტია ადამიანთა შედარებით დიდი რაოდენობა, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან შრომის პოლიტიკური დანაწილებით. ესენი არიან: სახელმწიფო მოხელეები, სამხედროები, სამართალდამცავები და ა.შ. ყველა ეს ერთობა შეადგენს პოლიტიკურ გაერთიანებას, რომლის წევრებიც პოლიტიკური კულტურის განსხვავებულ საფეხურზე დგანან.

პოლიტიკური კულტურის აუცილებელი კომპონენტია თანამდებობრივ პირთა კატეგორია, რომელთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებები სავალდებულოა პოლიტიკური გაერთიანებების წევრებისათვის.

პოლიტიკური სისტემის ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელია კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტრუქტურები, ინსტიტუტები, გარკვეული ნორმები და ღირებულებები.

აუცილებელია აგრეთვე ტერიტორია თავისი საზღვრებითა და ფარგლებით, რომელშიც შესაძლებელი იქნება აღნიშნულ კომპეტენციათა განხორციელება.

სახელმწიფოს გარდა პოლიტიკურ სისტემად განიხილებიან ქალაქისა თუ სხვა ადგილობრივი თვითმმართველობითი პოლიტიკური გაერთიანებები.

პოლიტიკურ სისტემაზე მსჯელობისას აუცილებლობით მივდივართ მის მთავარ კომპონენტთან **ძალაუფლების საკითხთან**, სახელმწიფო ძალაუფლების ობიექტისა და სუბიექტს შორის დადგენილ ურთიერთობებთან, რომლებიც გამოხატულია სახელმწიფოებრივი მართვის ინსტიტუტებით. ძალაუფლების არსებითი ნიშნები ვლინდება საზოგადოების მართვის აპარატითა და სხვადასხვა მექანიზმებით. სახელმწიფოს გააჩნია მძლავრი ბერკეტები მთელ პოლიტიკურ სისტემაზე ზემოქმედებისათვის.

სახელმწიფოს წარმოქმნაც ძალაუფლებიდან გამომდინარეობს. სახელმწიფოს წარმოშობა საზოგადოების კლასებად დაყოფასთან არის დაკავშირებული, ძალაუფლების მოპოვების მიზნით, მმართველი ძალების ბატონობის უზრუნველსაყოფად, ქვეყნის დაცვისა და გაძლიერებისათვის, ეკონომიკის, სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, საგა-

რეო ურთიერთობების საწარმოებლად, ეროვნული ტრადიციებისა და კულტურის დაცვისა და განვითარებისათვის და ა.შ. (ძალაუფლების საკითხზე უფრო დეტალურად მსჯელობა წინა თავში გვქონდა).

პოლიტიკური სისტემა მოიცავს სახელმწიფოებრივი მართვის განსხვავებულ ტიპებს: მაგალითად, დემოკრატიულ-კონსტიტუციონალური სისტემის მმართველობა დამყარებულია ხალხის ნების უზენაესობაზე, იგი მოიცავს რამდენიმე სუბიექტის ურთიერთზემოქმედებაზე აგებულ მმართველობის ტიპს. მმართველობის ეს ტიპი შეიძლება იყოს საპრეზიდენტო მმართველობის ან საპარლამენტო, რომლებიც დაკავშირებულია ხალხის მიერ არჩეული კრების ან კაბინეტის უზენაესობასთან.

არსებობს მისი საწინააღმდეგოდ დიქტატორულ-ავტორიტარული მმართველობის სისტემა, სადაც გაბატონებულია პიროვნულ-ელიტარული იდეოლოგია, რომელიც დამყარებულია უთანასწორობის პრინციპზე, ასეთებია: რასისტული, პროლეტარული, კორპორაციული სისტემები. ასეთი პოლიტიკური მმართველობის ფორმები მრავალფეროვანია: როგორიცაა, მაგალითად, აბსოლუტური მონარქია, საკანონმდებლო კრების მმართველობა, ფაშიზმის ან ნაციზმის პერსონიფიცირებული დიქტატურები, სხვადასხვა ავტორიტარული რეჟიმები, რომლებიც ორიენტირებულნი არიან ნეოპრეზიდენტალიზმზე, სადაც ფაქტობრივ მმართველთა მხრიდან ხელისუფლებაზე შენიღბულ და შელამაზებულ პოლიტიკას ატარებენ.

თანამედროვე პირობებში სერიოზულად დგას სახელმწიფო ძალაუფლების ზემოქმედების ეფექტურობის გაზრდისა და დემოკრატიზაციის პროცესის გაღრმავებისა და გავრცელების საკითხი, რადგან მმართველობის დემოკრატიულმა ფორმამ აჩვენა და დაამტკიცა თავისი დიდი უპირატესობა მმართველობის სხვა ფორმებზე. ყველასათვის ნათელია, რომ ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების ესოდენ მაღალი დონე და წარმატებულობა სწორედ დემოკრატიზაციამ მოუტანა, რომელსაც ჯერჯერობით მსოფლიო მოსახლეობის 30% აშენებს. დემოკრატია (რომელზედაც შემდგომშიც გვექნება მსჯელობა) ყველაზე თანამედროვე და პროგრესული წყობილებაა, ამისათვის საჭიროა დემოკრატიული პრინციპების განუხრელი დაცვა მართვის ყველა დონეზე, მართვის ბიუროკრატიული სტილის იგნორირება და მოშლა და დემოკრატიული მმართველობის ყველა შტოს შორის ურთიერთობის გამართვა, დახვეწა, დარეგულირება; მასმედიის სრული თავისუფლება; არასამთავრობო ორგანიზაციების გამრავლება და გააქტიურება; მართვის აპარატის თანამშრომელთა პროფესიონალიზმი და კომპეტენტურობა; პოლიტიკური პარტიების, პროფკავშირების, სათემო პროფესიული გაერთიანებებისა და მმართველობის სხვა დემოკრატიული ფორმების სრული დანერგვა. მაგრამ მთავარი და უმნიშვნელოვანესი მაინც კანონის უზენაესობა და სამართლებრივი სახელმწიფოს შენებაა.

პოლიტიკურ სტრუქტურაში, უპირველს ყოვლისა, იგულისხმება სახელმწიფო მმართველობის ყველა საფეხური და რგოლი, ადგილობრივი ხელისუფლებიდან დაწყებული, დამთავრებული საერთაშორისო დონის ორგანიზაციებამდე. პოლიტიკური სტრუქტურები ასევე მოიცავენ სპეციალურ აპოლიტიკურ ორგანიზაციებს, მაგალითად, პოლიტიკურ პარტიებს, პროფკავშირებს და სხვა პროფესიულ ორგანიზაციებსა და გაერთიანებებს.

პოლიტიკურ სტრუქტურას ახასიათებს შედარებით ნელი ცვლა. ყოველ გაერთიანებას გააჩნია თავისი სტრუქტურა, რომლის ჩარჩოებშიც აუცილებლად მიმდინარეობს გარკვეული პროცესები და ცვლილებები, რაც საბოლოო ჯამში იწვევს სტრუქტურულ ცვლილებებს.

პოლიტიკური სისტემის ერთ-ერთ ძირითად კომპონენტს წარმოადგენს პოლიტიკური როლი, რომლიდანაც კომპლექტდება ყოველგვარი სოციალურ- პოლიტიკური სისტემა. შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკური სისტემა წარმოადგენს ურთიერთმოქმედ როლთა ერთობლიობას, ე.ი. ურთიერთდაკავშირებულ როლთა ერთობლიობა წარმოადგენს სტრუქტურას., როგორც შარონი ხატოვნად გამოხატავს – მოსამართლე არის როლი, სასამართლო კი როლთა სტრუქტურა.

პოლიტიკურ სისტემებს სტრუქტურის მიხედვით გააჩნიათ განსხვავებული ნიშნები, ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორი ხარისხითაა დიფერენცირებული პოლიტიკური რო-

ლები, სტრუქტურები, ქვესისტემები და რამდენად არიან ისინი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელნი თუ დამოკიდებულნი. მაგალითად, პატრიარქალური ტიპის პოლიტიკურ სისტემას გააჩნდა შუალედური პოლიტიკური სტრუქტურა; გვაროვნული პოლიტიკური სტრუქტურა გამოირჩეოდა პატრიარქალურისაგან საკმაოდ განვითარებული ბიუროკრატიული აპარატით, ე.ი. პოლიტიკური სისტემა იმდენად არის მარტივი, რამდენადაც საზოგადოება ნაკლებად დიფერენცირებულია და იმდენად არის რთული, რამდენადაც მეტად არის დიფერენცირებული.

დემოკრატიულ საზოგადოებაში პოლიტიკური ინფრასტრუქტურა შედგება შედარებით ავტონომიური ინსტიტუტებისაგან, ხოლო ტოტალიტარულ სახელმწიფოში ყველაფერი ემორჩილება მმართველ ელიტას და ბიუროკრატიულ აპარატს.

3.2. პოლიტიკური სისტემის სტრუქტურა და ფუნქციები

პოლიტიკური სისტემის ფუნქციის ცნებას მრავალი მნიშვნელობა გააჩნია. რ. მერტონის მიხედვით, ფუნქციის მნიშვნელობებია:

1. ფუნქცია, როგორც საზოგადოებრივი დავალება, რომელიც ევალება სოციალურ სუბიექტს.

2. ფუნქცია, როგორც საქმიანობის სპეციალიზებული გვარი, რომელიც ინდივიდის საქმიანობის მუდმივი წყაროა. ეს არის კონკრეტული თანამდებობა, რომელიც დაკავშირებულია გარკვეულ სოციალურ სტატუსთან და როლთან.

3. ფუნქცია, როგორც მათემატიკურ მიმართებათა გამომხატველი. როდესაც ცვლადი არის მეორე ცვლადისა თუ ცვლადთა სიმრავლის ფუნქცია თუ მისი მნიშვნელობა.

4. ფუნქცია, როგორც სტრუქტურულ ერთეულთა კავშირის, სისტემის წარმომქმნელი პრინციპი.

5. ფუნქცია, როგორც ობიექტური შედეგი, რომელიც სასარგებლოა სისტემის შემგუებლობისა და ინტეგრაციისათვის.

თანამედროვე მკვლევარები პოლიტიკურ სოციოლოგიაში, რეალური პოლიტიკური პროცესების კვლევისას ამოდიან არა სტრუქტურებიდან, არამედ ამჯობინებენ ფუნქციებიდან ამოსვლას, ანუ მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ ფუნქციურ კვლევას, ვიდრე სტრუქტურულისას. პოლიტიკური პროცესების მეცნიერული ანალიზისას და ერთი პოლიტიკური სისტემის მეორესთან შედარებისას ყურადღება უნდა გავამახვილოთ არა პოლიტიკურ სტრუქტურებზე, არამედ ფუნქციურ დამოკიდებულებებზე. შესაბამისად უნდა გამოვიკვლიოთ ის ძირითადი ფუნქციები, რომლებსაც ასრულებს ესა თუ ის პოლიტიკური სისტემა. შემდეგ კი გამოვარკვიოთ რა სტრუქტურული ერთეულები გააჩნია სისტემას.

საინტერესო და მისაღებია სოციოლოგ რ. შვანცენბერგის ფუნქციის ცნების განმარტება, რომელიც აღნიშნავს, რომ ფუნქცია არის სამი ურთიერთგანსხვავებული მნიშვნელობის:

1. ფუნქციის ზოგადი გამოყენებითი მნიშვნელობა, როდესაც იგი აღნიშნავს პროფესიას, ხელობას, თანამდებობას.

2. ფუნქციის მათემატიკური მნიშვნელობა, მათემატიკური საზრისის მიხედვით ფუნქცია არის ცნება, რომელიც გამოხატავს დამოკიდებულებას ორ ან რამდენიმე სიდიდეს შორის, როდესაც ერთი სიდიდის ნებისმიერი ცვლილება იწვევს მეორის ან სხვების ცვლილებას.

3. ფუნქციის ბიოლოგიური მნიშვნელობა, ფუნქციის ცნების გაგება მოდის ბიოლოგიურად (სწორედ ამ მნიშვნელობას აქვს გავლენა სოციალურ მეცნიერებებში). როგორც ბიოლოგიურ ორგანიზმებში სხვადასხვა სასიცოცხლო ფუნქციებს (სუნთქვას, კვებას და ა.შ.) აქვს უაღრესად დიდი მნიშვნელობა, ასევე საზოგადოებისთვის, როგორც ცოცხალი ორგანიზმისათვის, მნიშვნელოვანია იმ ფუნქციების წარმატებით შესრულება, რომლებიც მათ აკისრიათ.

ფუნქციონალიზმის განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვით ჰ. სპენსერს, ე. დიურკჰაიმს, ტ. პარსონს, რ. მერტონს. ამ უკანასკნელმა გადამწყვეტი როლი შეასრულა ფუნქციური მიდგომის განვითარებასა და საბოლოოდ დამკვიდრებაში.

რ. მერტონი აანალიზებს ტ. პარსონსის თეორიის აბსტრაქტულობას და უნივერსალობას ფუნქციონალიზმის გაგების საკითხში და აღნიშნავს, რომ იგი გამოსადეგია ყველგან და ყოველთვის. ამიტომ ნაკლებ ეფექტურად მიიჩნევს საზოგადოების კონკრეტული მდგომარეობის გამოკვლევას. ასევე მას უნდა, რომ რეალისტური გახადოს ბ. მალინოვსკისა და კ. რადკლიფ-ბრაუნის „ჰიპერფუნქციონალიზმი“ და აბსოლუტური ფუნქციონალისტური მიდგომები, რომლებიც უშვებენ საზოგადოების

ფუნქციურ ერთიანობას და სოციალურ საკითხთა ფუნქციურ უნივერსალობას.

რ. მერტონის აზრით, ფუნქციური ერთიანობის აღიარების ნაცვლად საჭირო და აუცილებელია ყურადღება გავამახვილოთ სოციალური ინტეგრაციის ტიპების, ფორმების, დონეებისა და სფეროების მრავალსახეობასა და მნიშვნელობაზე. ფუნქციური ერთიანობის პოსტულატის დაშვება შეიძლება გამართლებული იყოს მცირერიცხოვან და კარგად ინტეგრირებულ ჯგუფებში და გაერთიანებებში, მაგრამ მას თუ გამოვიყენებთ რთული, დიფერენცირებული საზოგადოების მიმართ, ნამდვილად ვერ მივიღებთ რეალურ შედეგს.

ფუნქციური უნივერსალობის დაშვების არსი იმაში მდგომარეობს, რომ თუ მოქმედ სოციალურ სისტემაში არსებობს ესა თუ ის სოციალური ელემენტი, მაშინ მას უნდა ჰქონდეს დადებითი შედეგი სოციალური სისტემის ინტეგრაციისათვის. თუ აღმოჩნდა, რომ ელემენტი ან ქვესისტემა სასარგებლოა მთელი სტრუქტურისათვის, მაშინ აუცილებელია, რომ საგნები იყოს და დარჩნენ ისეთნი, როგორებიც და რანიც არიან. მერტონი კი ასეთ დამოკიდებულებას არ ეთანხმება და მიიჩნევს, რომ რეალობაში ზოგიერთმა ელემენტმა ან ქვესისტემამ კიდევაც რომ დაკარგოს ყოველგვარი ფუნქცია, ან შეიცვალოს იგი, ანდა შეიძლება აღმოჩნდეს, რომ სულაც არ ჰქონდა ის ფუნქცია, ამ შემთხვევაში ასეთი ელემენტი სულაც არ ატარებს საჭირო და აუცილებელ ხასიათს. ყოველ ელემენტში რაიმე ფუნქციის აღმოჩენის ძიებამ შეიძლება კურიოზამდეც

მიგვიყვანოს. როგორც ტოკვილი ამბობს, არ უნდა აურიოთ ერთმანეთში შეჩვეული და აუცილებელი. „ის ინსტიტუტები, რომელთაც აუცილებელ ინსტიტუტებს ვუწოდებთ, სწორად მხოლოდ ისეთი ინსტიტუტებია, რომლებსაც შევეჩვიეთ“.

მერტონის აზრით, მხოლოდ განსაზღვრული ელემენტები და სტრუქტურები არ შეიძლება იყოს სისტემის აუცილებელი და საკმარისი რეკვიზიტი. ცხოვრება გვიჩვენებს, რომ არსებობს ალტერნატიული სტრუქტურები, რომლებიც ერთნაირად ასრულებენ აღნიშნულ ფუნქციებს.

ამგვარად, მერტონმა ახალი ფუნქციური ცნებები შემოიტანა. ესენია:

1. ფუნქციური ექვივალნტი – რომელიც გულისხმობს რომელიმე ელემენტის ან ქვესისტემის შეცვლას სხვა ელემენტით ან ქვესისტემით.

2. დისფუნქცია – რომელიც ხელს უშლის სისტემათა რეგულაციასა და ადაპტაციას. დაკვირვების შედეგად თუ აღმოჩნდა და დადგინდა დისფუნქცია, რომელიც ამუხრუჭებს სისტემის განვითარებას, უნდა გამოსწორდეს.

3. ფარული ანუ ლატენტური – ფუნქციის არსებობა რჩება გაუცნობიერებელი იმის გამო, რომ ლატენტური ფუნქციების გაცნობიერება არ ხდება. იგი ნაკლებ მნიშვნელოვანი ვერ იქნება და ამიტომ აუცილებელია მისი გათვალისწინება.

აღნიშნული ფუნქციების შემოტანით მერტონმა გაზარდა ფუნქციური მიდგომის ქმედითუნარიანობა, რამაც დიდი ზეგავ-

ლენა იქონია სოციოლოგიის და პოლიტიკური სოციოლოგიის განვითარებაზე.

პოლიტიკური ფუნქციების ზოგადი განხილვა იმიტომ დაგვჭირდა, რომ უფრო ნათელი გავხადოთ მათი როლი და მნიშვნელობა უშუალოდ პოლიტიკური სისტემის ეფექტური მართვისას, დავინახოთ ფუნქციების შესაძლებლობები პოლიტიკურ მიზანთა მიღწევის საქმეში.

პოლიტიკური სისტემის შესაფასებლად და საჩვენებლად აუცილებელია მისი განხილვა კონკრეტულ უნარიანობისა და შესაძლებლობების ურთიერთკავშირში. იმისათვის, რომ პოლიტიკურმა სისტემამ ეფექტურად იფუნქციონიროს, აუცილებელია მას გააჩნდეს შესაბამისი შესაძლებლობები, როგორებიცაა: 1. ექსტრაქციული; 2. მარეგულირებელი; 3. დისტრიბუციული; 4. მარეალიზებელი; 5. მასიმბოლიზებელი შესაძლებლობები.

1. ექსტრაქციული შესაძლებლობა – ეს არის პოლიტიკური სისტემის უნარი აამოქმედოს ადამიანური და მატერიალური რესურსები. ნებისმიერ სისტემას უნდა შეეძლოს აუცილებელი რესურების ეფექტურად მოპოვება, უნდა გააჩნდეს ამის ეკონომიკური და ფინანსური საშუალებები, პოლიტიკური ნება და მხარდაჭერა.

2. მარეგულირებელი შესაძლებლობა. ეს არის სისტემის უნარი რეაგირება მოახდინოს სოციალური ჯგუფების მოთხოვნებზე, საზოგადოებაში ცალკეულ ადამიანთა და სოციალურ ჯგუფთა ქმედებათა კონტროლი, საზოგადოების რეგულირე-

ბის, მათი მართვისა და კონტროლის უნარი, რაც შესაძლებელია შესაბამისი ნორმების დაწესებით და მისი გატარება და დანერგვა ადმინისტრირებით. ტოტალიტარულ სისტემებში ეს კონტროლი მაქსიმალური და ყოვლისმომცველია, ხოლო ლიბერალურ სისტემებში კი კონტროლი ხორციელდება შეზღუდულად, მხოლოდ გარკვეულ სფეროებზე.

3. დისტრიბუტული შესაძლებლობა – ეს არის საზოგადოებაში მატერიალური და არამატერიალური ღირებულებების შექმნისა და განაწილების უნარი. მაგალითად, დოტაციების გამოყოფა, აუცილებელი და საჭირო უწყებების დაფინანსება, დაჯილდოება და ა.შ.

4. მარეაგირებელი შესაძლებლობა – ეს არის უნარი, სისტემამ რეაგირება მოახდინოს სოციალური ჯგუფების მოთხოვნებზე; გარემო იმპულსების შესაბამისი და ადექვატური აღქმისა და რეაგირების უნარი.

5. მასიმბოლიზებელი შესაძლებლობა – ეს არის პოლიტიკური სისტემის უნარი, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ლეგიტიმურობასთან. ეს არის სისტემის უნარი, ხელი შეუწყოს პოლიტიკური შეხედულებებისა და რწმენის განმტკიცებას, პოლიტიკური რეჟიმის ლეგიტიმურობისა და ავტორიტეტის გაზრდას.

ამ სფეროში ღრმად ჩახედული სოციოლოგის პ. შარონის მიხედვით პოლიტიკის ნებისმიერ სფეროში ეფექტურობის მისაღწევად აუცილებელია სამი უნარის არსებობა:

1. პოლიტიკის თავის დროზე შემუშავებისა და გადაწყვეტილებათა მიღების უნარი მაშინ და იქ, როდესაც და სადაც ისინი მისაღები და აუცილებელია.

2. დადებითი შედეგის მომტანი ეფექტური პოლიტიკის შემუშავების უნარი.

3. ამ პოლიტიკის ცხოვრებაში წარმატებით გატარების უნარი.

ყველა ამ პირობის შესრულება პოლიტიკური სისტემის წარმატებულად ფუნქციონირების აუცილებელი პირობაა. ფუნქციებს, რომლებიც ხელს უწყობს პოლიტიკური სისტემის მდგრადობასა და წარმატებით ფუნქციონირებას, პოლიტიკურ სოციალიზაციას ანუ რეკრუტირებას (გაწვევას) უწოდებენ. სოციალიზაციის პროცესის მეშვეობით ირჩევენ იმ პერსონალს, რომლებსაც შემდგომ მთავარი როლი და ფუნქცია ენიჭებათ პოლიტიკაში და სახელმწიფო მართვაში. პოლიტიკური სოციალიზაციის დახმარებით ხდება სოციალურ როლთა შემეცნება და ათვისება. ამიტომაც მიზანშეწონილად მიგვაჩნია, თუნდაც ჩვენს მცირე მოცულობის წიგნში მოკლედ, მაგრამ მაინც ცალკე თემად განვიხილოთ სოციალიზაციის და, კერძოდ, პოლიტიკური სოციალიზაციის მნიშვნელოვანი პრობლემები. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ პოლიტიკური სოციალიზაციის თემა ფართოდ აქვთ განხილული და გაანალიზებული ქართველ მკვლევარ-სოციოლოგებს გ. აბესაძეს („პოლიტიკური სოციალიზაცია“), ა. ბერძენიშვილს („პოლიტიკური სოციოლოგია“, 2002წ.) და სხვებს.

თავი IV.
პოლიტიკურ სისტემათა ტიპები

პოლიტიკურ სისტემათა ტიპოლოგიის პრობლემა მრავალი ასპექტის შემცველია. იმის მიხედვით, თუ რას ავიღებთ კლასიფიკაციის საფუძვლად, ტიპოლოგიაც განსხვავებული იქნება. პოლიტიკური სისტემა შეიძლება განისაზღვროს როგორც საზოგადოების სოციალური წყობით, ისე მმართველობის ფორმით (საპარლამენტო, საპრეზიდენტო); სახელმწიფოს ტიპით (მონარქია, რესპუბლიკა); პოლიტიკური რეჟიმის ხასიათით (დემოკრატიული, ავტორიტარული, ტოტალიტარული); სოციალურ-პოლიტიკური ვითარებით (სტაბილური, არასტაბილური); გარემოსთან ურთიერთობის ხასიათით (ღია, დახურული); პოლიტიკური კულტურისა და ტრადიციების მიხედვით და ა.შ.

არსებობს სამი ტიპის პოლიტიკური წყობა: **1. ავტოკრატიული; 2. იეროკრატიული; 3. დემოკრატიული**.

4.1. ავტოკრატიულ წყობაში დომინირებს ძალაუფლება, როცა მმართველი წრე ძალაუფლებას ხელში იგდებს ძალით, რომელიც ხლეჩს, ანაწევრებს ხალხის, საზოგადოების ერთიანობას, ამკვიდრებს მმართველობის ძალისმიერ მეთოდებს, შიშში და ძღწოლაში ამყოფებს საზოგადოებას, ნერგავს ეჭვსა და გაუტანლობას, თავის კონტროლს უქვემდებარებს ძირითად ორგანიზაციებს, ხშირად ატარებს წმენდას და თავიდან იცილებს მათთვის არასასურველ პირებს, ახა-

ლისებენ ჩამშვებებს, დამბეზღებლებს, ეშმაკობითა და პიარის მეშვეობით ცდილობენ ძალაუფლების შენარჩუნებას.

ავტოკრატიული წყობის ქვესახეებს წარმოადგენენ: 1. დესპოტური წყობა, დესპოტი მმართველი მთელ პოლიტიკურ სისტემას თავის საკუთრებად თვლის და თვითნებურად მართავს სახელმწიფოს; 2. ტირანული წყობა იეროკრატიისა და დემოკრატიის დამახინჯებული ფორმაა. ტირანი ძალაუფლებას იყენებს საკუთარი ინსტიტუტებისა და ვნებების დასაკმაყოფილებლად; 3. ავტორიტარული წყობის დროს მმართველი არ ცდილობს საზოგადოებისა და სამსახურების ტოტალურ გაკონტროლებას. იგი გარკვეულ დარგებსა და სფეროებს აძლევს დამოუკიდებლად განვითარების საშუალებას, მაგრამ მისთვის სასურველ და მნიშვნელოვან მმართველობის ბერკეტებს თვითონ აკონტროლებს; 4. ტოტალიტარული ანუ იდეოკრატიული წყობილება გულისხმობს მცირე ჯგუფის მიერ საზოგადოებაზე თავსმოხვეული გარკვეული იდეოლოგიის მიხედვით მმართველობას, მაგალითად: კომუნიზმის, რელიგიური ფუნდამენტალიზმის, ფაშისტური რეჟიმები; 5. მაფიოზური წყობა ძალზედ ემსგავსება იდეოკრატიულ და ავტოკრატიულ წყობებს, რომელიც ქმნის მთელ ქსელს, ინაწილებენ გავლენის სფეროებს და თავისი ხალხითა და „ნათლიმამებით“ მართავენ მთელ ქვეყანას და მდიდრდებიან სხვათა ექსპლუატაციის ხარჯზე.

4.2. იეროკრატიული წყობა ემყარება ავტორიტეტის ძალაუფლებას, რომელიც დაფუძნებულია ზებუნებრივ-ტრანსცენდენტურ საწყისზე, მაგალითად, ჩინეთში – „ზეცა“; ინდოეთში – დხარმა; ისლამურ ქვეყნებში – ალაჰი, ქრისტიანულ ქვეყნებში – ღმერთი; ეს ტრანსცენდენტური ძალებია ძალაუფლებისა და უფლებამოსილების წყარო, რომელსაც ისინი გადასცემენ დედამიწაზე მათ წარგზავნილებს, ზოგ შემთხვევაში ცალკეულ პირებს, ზოგჯერ კი მთელ დინასტიებს, რომლებიც მათი სახელით მოქმედებენ და მართავენ ქვეყნებს. როგორც წესი, ანსხვავებენ აბსოლუტურ და ზომიერ იეროკრატიას.

4.3. დემოკრატიული წყობა, როგორც ჟან ბეშლერი წერს „მართულნი თვითონ ირჩევენ იმათ, ვის მორჩილებაზეც თანახმა არიან“ [6,56] ანუ მოქალაქეთა მმართველობას. იმის მიხედვით, თუ ვინ ირჩევს უზენაეს ხელისუფლებას, გამოჰყოფენ შემდეგ სახელმწიფო ტიპებს: 1. არისტოკრატიულს – როდესაც უზენაეს ხელისუფალთ ირჩევენ მაღალი წარმომდგენლობის, ძველი და ძლიერი გვარის არისტოკრატები; 2. ოლიგარქიულის ანუ პლუტოკრატიულს – წარმოადგენს სახელმწიფო ტიპი, როცა უზენაეს ხელისუფალთ ირჩევენ მდიდარი და გავლენიანი ადამიანები, როგორც წესი, ისინი თვითონ კი არ მოდიან ხელისუფლებაში, არამედ მათ ხელისუფლბაში მოჰყავთ თავიანთი ინტერესების გამტარებლები (თავიანთივე წრიდან გამოსული) პირები. 3. საკუთრივ

დემოკრატიული ტიპის სახელმწიფოში ყველა სრულწლოვან და სრულფასოვან მოქალაქეს შეუძლია აირჩიოს და თვითონაც არჩეულ იქნას მართვის ორგანოებში (ხმათა უმრავლესობით). დემოკრატიულ პოლიტიკურ სისტემას უფრო ფართოდ განვიხილავთ შემდგომ პარაგრაფში.

პოლიტიკურ სისტემათა ტიპოლოგიას ჩვენს მცირე მოცულობის შრომაში ვერ განვიხილავთ. შევეხებით მხოლოდ ზოგიერთს, ჩვენი აზრით უფრო აქტუალურ და მნიშვნელოვან ასპექტებს.

განვიხილოთ პოლიტიკურ სისტემათა ტიპოლოგიის პრობლემა პოლიტიკური რეჟიმის ხასიათის მიხედვით. სახელმწიფო წყობის ტოტალიტარული, ავტორიტარული და დემოკრატიული ტიპები.

4.4. ტოტალიტარიზმი, როგორც ერთმმართველობის ერთერთი ფორმა სოციოლოგიაში შემოიტანა ჯ. ჯენტილემ, რომელიც ძალიან ჰგავს ავტორიტარიზმს. განსხვავება მათ შორის ისაა, რომ ავტორიტარი ბატონობს სახელმწიფოზე, იგი პასუხისმგებლობას იღებს სახელმწიფო მმართველობაზე. ტოტალიტარი კი მთელ საზოგადოებაზე. მის კონტროლს ემორჩილება სახელმწიფოში ყველაფერი.

ზ. ბჟეზინსკი გამოჰყოფს ტოტალიტარიზმის გამსაზღვრელ 6 კრიტერიუმს: 1. მონოპოლიური იდეოლოგია; 2. ერთადერთი პარტიის არსებობა; 3. ტერორი საიდუმლო პოლიციის დახმარებით; 4. კომუნიკაციების საშუალებების მონოპოლიზირება;

5. შეიარაღების მონოპოლიური უფლება; 6. ეკონომიკის ცენტრალიზაცია.

რ. არონი ტოტალიტარიზმის დამახასიათებელ 5 ნიშანს გამოჰყოფს: 1. ტოტალიტარიზმი დამახასიათებელია რეჟიმისათვის, რომელიც მხოლოდ რომელიმე ერთ პარტიას აძლევს მონოპოლიურ უფლებას პოლიტიკურ საქმიანობაზე; 2. ეს პარტია აღჭურვილია იდეოლოგიით, რომელსაც იგი ანიჭებს სახელმწიფოებრივი ჭეშმარიტების სტატუსს; 3. ოფიციალური ჭეშმარიტების გასავრცელებლად სახელმწიფო სარგებლობს განსაკუთრებული უფლებით როგორც ძალადობრივ ზემოქმედებაზე, ისე დარწმუნების საშუალებებზეც. მმართველები აკონტროლებენ მასობრივი ინფორმაციის ყველა საშუალებას; 4. ეკონომიკური და პროფესიული საქმიანობა ექვემდებარება სახელმწიფოს და მისი ნაწილი ხდება, რადგანაც სახელმწიფო თავისი იდეოლოგიისაგან განუყოფელია; 5. რამდენადაც ნებისმიერი საქმიანობა სახელმწიფოებრივ იდეოლოგიას ექვემდებარება, ამიტომ ყოველი გადაცდომა სამეურნეო თუ პროფესიული, იდეოლოგიურ ცოდვად მიიჩნევა და შესაბამისად ყველა გადაცდომა პოლიტიზირებულია, შედეგად მას მოჰყვება იდეოლოგიური ტერორი.

ამგვარად, რ. არონის მიხედვით ტოტალიტარიზმის მთავარ დამახასიათებლად შეიძლება ჩაითვალოს პარტიის განსაკუთრებული მდგომარეობა, სამეურნეო საქმიანობის გასახელმწიფოებრიობა, იდეოლოიგიური ტერორი, მაგრამ ტოტალიტარიზმი, როგორც მოვლენა, დასრულებულ სახეს იღებს მხო-

ლოდ მაშინ, როცა ყველა ეს ნიშანი ერთობლივად სახეზეა [19;231].

ე. გიდენსი ტოტალიტარიზმის დასახასიათებლად 4 ძირითად ნიშანს გამოჰყოფს: 1. ტოტალიტარული იდეოლოგია – ყოვლისმომცველი პოლიტიკური დოქტრინის არსებობა, რომლითაც უნდა გაიმსჭვალოს ყველა; 2. ერთადერთი პარტიის არსებობა – რომელიც ქადაგებს მოცემულ იდეოლოგიას და იმართება ერთი დიქტატორის მიერ; 3. საიდუმლო პოლიცია – რომელიც არსებობს იმისთვის, რომ დათრგუნოს მოწინააღმდეგეები და მტრები; 4. მონოპოლიური კონტროლი ეკონომიკაზე, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე და შეიარაღებულ ძალებზე.

ჩამოთვლილი ავტორიტეტების მიერ მოცემული ნიშან-თვისებები და ტოტალიტარიზმის დახასიათება გვიქმნის ნათელ წარმოადგენას აღნიშნული ფენომენის არსზე. უნდა აღინიშნოს, რომ ტოტალიტარიზმი განხლილული უნდა იქნას როგორც გარდამავალი პოლიტიკური რეჟიმის ფორმა. იგი მაინცდამაინც არ ნიშნავს პოლიტიკური სისტემის ტიპს. ტოტალიტარისტული რეჟიმის ჩამოყალიბება უფრო სიტუაციებიდან გამომდინარებს, როცა მმართველი დიქტატორი, კრიზისული სიტუაციიდან გამომდინარე, გარდამავალ პერიოდში მობილიზაციას უკეთებს ქვეყნის მთელ რესურსებსა და ძალებს, ტოტალურად ატარებს მთელ რიგ ღონისძიებებს, იღებს განსაკუთრებულ ზომებს (რაც ერთმნიშვნელოვნად ეხება ყველას და რთულდება მტყუან-მართლის გარჩევა) მდგომა-

რეობიდან გამოსვლის მიზნით. ტოტალიტარული რეჟიმების მაგალითებია: სტალინური მმართველობის რეჟიმი, ჰიტლერული ფაშიზმი, პოლ პოტას რეჟიმი კამპუჩიაში და სხვა.

როგორც წესი, ტოტალიტარული რეჟიმი კონცენტრირებას უკეთებს, თავის ხელში იღებს უზარმაზარ ძალაუფლებას. ერთიანი იდეოლოგიის საფარქვეშ შიშსა და ტერორში ანხორციელებს თავის მიზნებს.

4.5. ავტოკრატიზმი.

ავტოკრატულ პოლიტიკურ რეჟიმს შუალედური პოზიცია უჭირავს ტოტალიტარულ და დემოკრატიულ რეჟიმებს შორის, მაგრამ უნდა ითქვას, რომ იგი ტოტალიტარიზმისკენ უფრო იხრება, ვიდრე დემოკრატიისაკენ.

ავტოკრატიული რეჟიმი ფართოდ გავრცელებული და დამახასიათებელია გარდამავალი ტიპის ქვეყნებისათვის, რომელიც ხასიათდება შემდეგი ნიშნებით: 1. ავტოკრატიული მმართველობა წარმოდგენს ძალაუფლების მქონე მცირე ჯგუფის (ოლიგარქების, სამხედრო ხუნტის) გაბატონებულ მმართველობას. 2. ძალაუფლებისა და პოლიტიკის მონოპოლიზაცია. ავტოკრატიული მმართველობის პირობებში არ არსებობს ან არასრულფასოვნად არსებობს სხვა პოლიტიკური თუ სამოქალაქო ორგანიზაციები. სუსტი და განუვითარებლები არიან პოლიტიკური პარტიები, პროფკავშირული ორგანიზაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები, სათემო და ადგილობრივი მმართველობის ორგანოები და სხვა სამოქალაქო დემოკრატიული ინსტიტუტები. 3. ძალაუფლების შეზღუდულობა, გამო-

ხატულია იმაში, რომ ფორმალურად, კონსტიტუციურად შეიძ-ლება ხალხს გააჩნდეს მთელი რიგი დემოკრატიული უფლე-ბებისა, მაგრამ ეს უფლებები ფაქტიურად შეზღუდულია და ზოგჯერ მხოლოდ ფორმალური ხასიათის მატარებელია, რადგან ავტოკრატები კანონმდებლობას და კონსტიტუციას თავის თავზე ირგებენ, თავის გავლენის ქვეშ იქცევენ და თა-ვიანთი ამოცანებიდან გამომდინარე ანხორციელებენ. 4. ავტო-კრატიული რეჟიმი, როგორც წესი, არ მიმართავს საზო-გადოების აშკარა რეპრესიებს, მაგრამ მათთვის საჭირო დროს არც მას ერიდებიან, ისინი ცდილობენ ძალაუფლების განმტ-კიცებას და იყენებენ ძალასაც ხალხის მორჩილებაში მოსა-ყვანად, თუმცა სურვილი აქვთ იყვნენ ხალხში პოპულარულ-ნიც. 5. სახელმწიფო მართვაში კადრების შერჩევა ხდება მათდამი ერთგულების მიხედვით ზემოდან დაშვების წესით. ტარდება ფორმალური კონკურსები, მაგრამ სინამდვილეში შერჩევა ხდება არა კომპეტენციის, არამედ რეჟიმისადმი ერთ-გულების მიხედვით. 6. ავტოკრატიული რეჟიმი არ ანხორციე-ლებს ტოტალურ კონტროლს საზოგადოებაზე, მაგრამ ფაქტი-ურად იგი თითქმის ყველაფერში ერევა, განსაკუთრებით კი ზრუნავს საკუთარ უშიშროებაზე და მკაცრი კონტროლის ქვეშ აქცევს ქვეყნის ძალოვან სტრუქტურებს.

ზემოთ ჩამოთვლილი ნიშნების შემდგომ მაინც უნდა აღინიშნოს, რომ ავტორიტარული რეჟიმის დროს იზღუდება და იკრძალება მხოლოდ განსაზღვრული, კერძოდ კი, პოლი-ტიკური საქმიანობა. საზოგადოებრივი ურთიერთობების დანა-

რჩენი სფეროები თითქოს თავისუფალი უნდა იყოს, მაგრამ ადამიანთა უფლებების, მათი უსაფრთხოების, სასამართლო-აღმასრულებელი თუ სხვა ორგანოები მოქალაქეთა თავისუფლების არავითარ ინსტიტუციონალურ გარანტიებს არ იძლევიან.

აქედან გამომდინარე, ავტორიტარიზმი შეიძლება ასე განვსაზღვროთ:

ავტორიტარიზმი არის ერთი პირის ან პირთა ჯგუფის შეუზღუდველი ძალაუფლება, რომელიც არ უშვებს პოლიტიკურ ოპოზიციურ ორგანიზაციებს, მაგრამ ინარჩუნებს პიროვნებისა და საზოგადოების ავტონომიურობას არაპოლიტიკურ სფეროებში.

როგორც ყოველივე ზემოთქმულიდან ჩანს, ავტორიტარიზმი არ არის სრულყოფილი და იდეალური წყობა. თუკი შევაფასებთ ავტორიტარულ რეჟიმს, აღმოჩნდება, რომ მას გააჩნია როგორც სუსტი, ისე ძლიერი მხარეები:

ავტორიტარულ მმართველობას, როგორც წესი, მივყავართ თვითნებობამდე, სუბიექტივიზმამდე, ვოლუნტარიზმამდე; მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლების შეზღუდვამდე, მათი ინტერესების შელახვამდე და იგნორირებამდე, მათი სიტყვისა და საქმიანობის მაქსიმალურად შეზღუდვამდე და ა.შ.

ავტორიტარიზმის ძლიერ მხარეებად ითვლება ის, რომ აღნიშნულ რეჟიმს შესწევს უნარი: გადაწყვიტოს ამოცანები, სწრაფად და ეფექტურად, მოახდინოს ქვეყნის რესურსების მობილიზება, ეფექტურად ჩაატაროს რადიკალური რეფორმები, დაამყაროს საზოგადოებრივი წესრიგი და შეინარჩუნოს პოლი-

ტიკური სტაბილურობა. მოკლედ, გონიერი და გამოცდილი ავტორიტარის პირობებში შესაძლებელია სწრაფად და ეფექტურად გადაწყდეს ნებისმიერი ამოცანა, ვიდრე თუნდაც დემოკრატიულ სისტემაში.

ავტორიტარისტულ მმართველობას შეუძლია ქვეყანა მიიყვანოს, როგორც სრულ დიქტატურამდე, ასევე დემოკრატიამდე. დიქტატურის დამყარების ხელშემწყობი ფაქტორებია: არსებული რეჟიმისადმი შეგუება, შეჩვევა; ბრმად მინდობა და პატივისცემა ავტორიტარისადმი; როგორც კარლ იასპერსი წერს, მოღვაწეებს, რომლებიც სახელმწიფოს საჭესთან დგანან, შარავანდით არ უნდა ვმოსავდეთ, პირიქით სასურველია, რომ ისინი ძლიერი კრიტიკის ქარცეცხლში ხვდებოდნენ. კრიტიკულად განწყობილი მოქალაქეების სიმცირის ან არარსებობის გამო ხშირად სარგებლობენ ავანტიურისტები, რომლებიც აქტიურდებიან, იღებენ თავზე მთელ პასუხისმგებლობას და დარწმუნებულები იმაში, რომ მხოლოდ მათ შეუძლიათ და მათ მეტ არავის სასიკეთო საქმეების კეთება. სინამდვილეში კი ქვეყანას მიაქანებენ დიქტატურისაკენ; ავტორიტარის მიერ აღმასრულებელი ხელისუფლების ბიუროკრატიულ მანქანად ქცევა, საკანონმდებლო ხელისუფლების დაქვემდებარება, მათი ფაქტიური უსუსურობა და უმოქმედობა, მასობრივი საინფორმაციო საშუალებების გადაბირება, მოსყიდვა, დაშინება და მათ სამსახურში ჩაყენება; ზომიერი ოპოზიციური პარტიების მოსყიდვა და მათთან შეკვრა (ფარული კავშირებით); ავტორიტარული რეჟიმისადმი მტრულად განწყო-

ბილ პარტიებზე ზეწოლით, შანტაჟითა და დაშინებით ტეხენ მათ სიმტკიცესა და შეურიგებლობას; ავტორიტარული რეჟიმის ინტერესებში შედის აგრეთვე თავისუფალ აზროვნებაზე კონტროლი, განათლების, მეცნიერების საქმიანობის დამცრობა, ადამიანებში სულიერი მოთხოვნილებების შეზღუდვა, მათი მნიშვნელობის იგნორირება.

იმისათვის, რომ არ დავუშვათ ავტორიტარული რეჟიმის დიქტატორულში გადაზრდა, უნდა გავაცნობიეროთ ყველა მისი ხელშემწყობი მიზეზები. უპირველეს ყოვლისა, უნდა ვიზრუნოთ საზოგადოებრივ მენტალიტეტზე, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის ამაღლებაზე, კრიტიკულად განწყობილ და ქვეყანაზე მოფიქრალ ადამიანთა აღზრდასა და პოლიტიკური კულტურის დემოკრატიისათვის სათანადო დონის ჩამოყალიბებაზე. ეს და აქედან გამომდინარე დანარჩენი პირობები თუ არ იქნა შექმნილი, ისე ავტორიტარული მმართველობა გადადის დიქტატორულ მმართველობაში, რადგან ამბობენ ძალაუფლება რყვნის უკონტროლო ხელისუფლებას, ხოლო უფრო მეტი ძალაუფლება კი – უფრო მეტად. ამიტომ უნდა ამაღლდეს პოლიტიკური კულტურა, გააქტიურებული უნდა იქნას მოქალაქეობრივი შეგნება და ხელისუფლების მუდმივი კონტროლი.

მართალია, სხვადასხვა ტიპის წყობილებებთან ერთად ჩვენ განვიხილეთ დემოკრატიული წყობა, მაგრამ როგორც ყველაზე მნიშვნელოვან და სასურველ მმართველობის ფორმას, მივუძღვნით შემდეგ თავს.

თავი V
დემოკრატია

5.1. დემოკრატია ეტიმოლოგიურად ხალხის მმართველობას, ხალხის ძალაუფლებას ნიშნავს. ე.ი. დემოკრატია პოლიტიკური სისტემაა, რომლის დროსაც სახელმწიფო ძალაუფლება ხალხის მიერ რჩეულთა ხელშია და ისინი მართავენ ქვეყანას. ანტიკური პერიოდის ბერძნული დემოკრატიის შემდეგ ასეთი წყობილების დამკვიდრებაზე მრავალი ადამიანი და მთელი თაობები იღწვოდნენ და ოცნებობდნენ, მაგრამ ადამიანებს ეს ნატვრა აუსრულდათ, როცა ევროპის მოწინავე ქვეყნებში და ამერიკის შეერთებულ შტატებში დემოკრატიულმა წყობილებამ გაიმარჯვა და საბოლოოდ დამკვიდრდა. თუმცა პრობლემები, რომლებიც დემოკრატიას თან ახლავს, საბოლოოდ დღემდე არ მოგვარებულა. დემოკრატიზაციის შემდგომი განვითარებისა და სრულქმნის პროცესი დღესაც აქტუალურია არა მხოლოდ გარდამავალი ტიპის დემოკრატიზაციის გზაზე შემდგარი ქვეყნებისათვის, არამედ დემოკრატიის დიდი გამოცდილების მქონე ქვეყნებისათვისაც, რადგან ეს პროცესი მუდმივად დახვეწადი და განვითარებადია. ყველაფერი მიისწრაფვის განვითარებისა და სრულქმნისკენ, შესაბამისად ადამიანები მიღწეულით არ კმაყოფილდებან და უფრო მეტ და ფართო დემოკრატიას მოითხოვენ. როგორც ბ. ფრანკლინი აღნიშნავს – დემოკრატიისკენ სულ უფრო მეტი და მეტი ადამიანი მიაპყრობს მზერას და იმედით შეჰყურებს დემო-

კრატიას, რადგან მას უკავშირებს იმედებს უკეთეს მომავალზე, თავისუფალ და ღირსეულ ცხოვრებაზე. ეს ყველაფერი ლამაზი და ადვილად სათქმელია, მაგრამ დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრებას და ჭეშმარიტი დემოკრატიის დამყარებას, უპირველეს ყოვლისა, სჭირდება ადამიანთა კულტურული განვითარებისა და მოქალაქეობრივი შეგნების მაღალი დონე, რაც არც ისე იოლი მისაღწევია.

დემოკრატიაზე მსჯელობისას უპირველეს ყოვლისა გასარკვევია, თუ რა არის დემოკრატია, **ეს არის სახელმწიფო წყობა, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანთა თავისუფლებას, თანასწორობას, წყობა, რომლის დროსაც უზენაესი გადაწყვეტილებები მიიღება ხმათა უმრავლესობით და სახელმწიფო მმართველობა ხორციელდება ხალხის რჩეულთა მიერ.**

რადგან დემოკრატია ხალხის მმართველობას ნიშნავს, გასარკვევია ისიც, თუ რას წარმოადგენს ხალხი? ვინ ჩაითვლება ხალხად? სახელმწიფო მართვაში რა ფორმით უნდა განხორციელდეს ხალხის მონაწილეობა და რამდენად ფართო უნდა იყოს იგი? დემოკრატია მხოლოდ პოლიტიკური მმართველობის ფორმაა, თუ ყველა სფეროში ხალხის ძალაუფლების განხორციელებასაც გულისხმობს? რა ვუყოთ იმ პირებს, რომლებიც არ ეთანხმებიან ან დაარღვევენ დემოკრატიულ პრინციპებს? როგორ უნდა მოვექცეთ უმცირესობაში დარჩენილთ? და ა.შ.

ამ და ამგვარ კითხვებზე სხვადასხვა იდეოლოგიის მატარებელი თვალსაზრისები სხვავდასხვაგვარ პასუხს სცემენ. არა და არ არსებობს ისეთი იდეოლოგია, რომელსაც თავის ხალხისთვის მოჩვენებით მაინც კარგი არ უნდოდეს. ისტორიულად დემოკრატიის მრავალი ტიპი და სახესხვაობა არსებობდა. თუნდაც ძველი ბერძნული დემოკრატია, რომელიც ხალხად მიიჩნევდა თავისუფალ მოქალაქეებს, მონებს კი ადამიანებად არ თვლიდნენ; ანდა ფაშისტური იდეოლოგია, რომელიც გერმანელი ხალხის აღზევებისა და კეთილდღეობისაკენ იყო მიმართული; ან სოციალისტური, რომელიც პროლეტარიატის დიქტატურაზე აგებული იდეოლოგიით კომუნისტურ საზოგადოებაში საუკეთესო ცხოვრებას ჰპირდებოდა ხალხს და ა.შ.

თანამედროვე სოციოლოგიაში დემოკრატიის ოთხ ნიშანს გამოჰყოფენ.

1. დემოკრატია, როგორც ხალხის ძალაუფლება, მმართველობა;
2. დემოკრატია, როგორც ნებისმიერი ორგანიზაციის წყობის ფორმა, რომელიც დაფუძნებულია მმართველობაში მისი წევრების თანასწორ მონაწილეობასა და უმრავლესობის მიერ გადაწყვეტილებების მიღებაზე;
3. დემოკრატია, როგორც ფასეულობათა განსაზღვრულ სისტემაზე დაფუძნებული საზოგადოებრივი წყობის იდეალი და მისი შესატყვისი მსოფლმხედველობა;

4. დემოკრატია, როგორც სოციალური და პოლიტიკური მოძრაობა ხალხის ძალაუფლების, დემოკრატიული მიზნებისა და იდეალების განსახორციელებლად.

დღეისათვის მეცნიერები მსჯელობენ დემოკრატიის სამ ძირითად ტიპზე:

1. წარმომადგენლობითი ერთპარტიული დემოკრატია;
2. ერთობლივი დემოკრატიული მმართველობა, ანუ პირდაპირი დემოკრატია;
3. წარმომადგენლობითი მრავალპარტიული დემოკრატია.

მოკლედ განვიხილოთ თვითოეული მათგანი. წარმომადგენლობითი დემოკრატია ნიშნავს, რომ ხალხი ირჩევს თავიანთ წარმომადგენლებს სახელმწიფო მმართველობით ორგანოებში (პარლამენტში, კონგრესში და სხვა ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ორგანოებში) არჩევნების გზით.

5.2. წარმომადგენლობითი ერთპარტიული დემოკრატიის ქვეყნები (ყოფილი საბჭოთა კავშირი, ჩინეთი, ჩრდილო კორეა და სხვა), სადაც დაკანონებულია მხოლოდ ერთპარტიული სისტემა, თავიანთ თავს სახალხო დემოკრატიულ ქვეყნებად მიიჩნევენ, რადგან ის ერთადერთი წარმატებული პარტია მიაჩნიათ მთელი ხალხის ინტერესების გამომხატველად. რა თქმა უნდა, მათ იციან, რომ ლიბერალური დემოკრატია გულისხმობს მრავალპარტიულობას – ხალხის შემადგენლობიდან სხვადასხვა კლასისა და სოციალური ფენების ინტერესების გამოხატვასა და დაფიქსირებას მმართველ ორგანოებში.

მაგრამ მათი აზრით (როგორც მარქსიზმშია მოცემული), არ არსებობს საზოგადოების სხვადასხვა კლასებსა და ფენებს შორის ანტაგონისტური დაპირისპირებულობა, მთელ საზოგადოებას ერთი ძირითადი მიზანი და ამოცანები ამოძრავებთ, რომლის გამომხატველიც არის ერთი წარმმართველი პარტია. ამ შემთხვევაში არჩევნები ტარდება არა სხვადასხვა პარტიების, არამედ ერთი წარმმართველი პარტიიდან წარდგენილი რამდენიმე კანდიდატი, რომლიდანაც ფაქტიურად ირჩევა ის კანდიდატი, რომელიც უფრო მეტად აწყობს ხელისუფლებას.

5.3. ერთობლივი დემოკრატიული მმართველობა ანუ პირდაპირი და უშუალო დემოკრატია გულისხმობს მთელი საზოგადოების (ვისაც კი ხმის მიცემის უფლება გააჩნია) პირდაპირ და უშუალო მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღებაში.

დემოკრატიული მმართველობის აღნიშნული ტიპი უძველესია, რომელიც ჩამოყალიბდა ანტიკურ საბერძნეთში ათენის დემოკრატიის სახით, სადაც ხმის უფლების მქონე ყველა მოქალაქე უშუალოდ იღებდა მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღებაში. მაგრამ შემდგომში დემოკრატიის ამ ფორმით განხორციელება შეუძლებელი ხდება. თანამედროვე პერიოდში ასეთი დემოკრატიის ელემენტები შემორჩა რეფერენდუმების ჩატარების დროს, რომლებიც ტარდება ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანესი საკითხების გადასაწყვეტად, აგრეთვე არსებობენ ცალკეული ორგანიზაციები, სადაც მთელი შემადგენლობა

აქტიურად არის ჩაბმული ორგანიზაციული თუ სხვა საკითხების გადაწყვეტაში.

თანამედროვე განვითარებულ დემოკრატიებში გაჩნდა ლიბერალურ-კოლექტივისტური და პლურალისტული ანუ ერთობლივი, მაგრამ ნაწილობრივ შეზღუდული მმართველობის დემოკრატიული ელიტარიზმის ფორმები და სხვადასხვა პლურალისტული მიდგომები, რომელთა ძირითადი არსი იმაში მდგომარეობს, რომ არა მხოლოდ სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრაში, არამედ ნებისმიერი, თუნდაც კომერციული ფირმის მართვაში საჭირო და აუცილებელია საზოგადოების უშუალოდ მეტად ჩართულობა, თუნდაც შეზღუდული რაოდენობით. აღნიშნულ პოზიციაზე მდგომი ავტორიტეტების მ. ვებერისა და ი. შუმპეტერის მიხედვით თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიების პირობებში ნებისმიერ ხელმძღვანელსა და მმართველს გაუჭირდება ერთპიროვნული გადაწყვეტილებების მიღება. რთული და საპასუხისმგებლო საქმიანობიდან გამომდინარე, უპირველეს ყოვლისა, თვითონ მმართველებს მოეთხოვებათ მაღალკვალიფიციურობა. მაგრამ თანამედროვე პირობებში ეს არ არის საკმარისი წარმატების მისაღწევად, ამიტომ აუცილებელი ხდება მუდმივმოქმედ ექსპერტთა ჯგუფების მოზიდვა და რაც შეიძლება მეტი მცოდნე და გამოცდილი ადამიანების ჩართულობა გადაწყვეტილებათა მიღებაში. ამა თუ იმ პოლიტიკის განსაზღვრაში (სახელმწიფოებრივი იქნება თუ ორგანიზაციული) უნდა მონაწილეობდეს ფუნქციონერთა რაც შეიძლება მეტი რაოდენობა (თუ

საზოგადოების მთელი შემადგენლობა არა, შეზღუდული რაოდენობა მაინც), რომლებიც უკეთესად შეიმუშავებენ და განსაზღვრავენ ნებისმიერ პოლიტიკას და მიიღებენ ადექვატურ გადაწყვეტილებებს.

5.4. მრავალპარტიული წარმომადგენლობითი დემოკრატია მოწოდებულია დაიცვას მრავალფეროვანი შემადგენლობის საზოგადოების თვითოეული წევრის, დიდი თუ მცირე სოციალური ჯგუფის ინტერესები. ამავე დროს იგი იცავს ცალკეულ პოლიტიკურ ლიდერს თუ მმართველს თვითნებური, სუბიექტურ-ვოლუნტარისტული გადაწყვეტილებების მიღებისაგან, აგრეთვე ბიუროკრატიული აპარატის ზეწოლისაგან. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მრავალპარტიული წარმომადგენლობითი დემოკრატიული ინსტიტუტები ყოველთვის წარმატებულად ვერ მუშაობენ. როგორც მ. ვებერი თავის „დემოკრატიული ელიტარიზმის თეორიაში“ აღნიშნავს, წარმომადგენლობითი დემოკრატიული ინსტიტუტების ეფექტურობის ამაღლებისათვის საჭიროა ორი პირობის შესრულება: 1. უნდა არსებობდეს განსხვავებული შეხედულებებისა და სხვადასხვა ინტერესების გამომხატველი პარტიები; 2. უნდა არსებობდეს ჭკვიანი, აქტიური, პოპულარული, ავტორიტეტული ლიდერი-პოლიტიკოსი, რომელიც იმსახურებს ხალხის ნდობასა და სიმპათიას და რომელსაც ექნება უნარი დაძლიოს ბიუროკრატიისა და ხელისუფლების წინააღმდეგობა. ვებერის აზრით, დემოკრატიული პოლიტიკის გატარება, მმართველობა ელიტის

დახმარების გარეშე შეუძლებელია, მხოლოდ ელიტარულ სტრუქტურებს შეუძლიათ გონივრული და ეფექტური მართვა.

პლურალისტურ დემოკრატიულ მმართველობაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი პოზიცია აქვს ი. შუმპეტერს, რომლის მიხედვითაც დემოკრატია უფრო მნიშვნელოვანია, როგორც ეფექტურად მოქმედი მთავრობის ფორმირების მეთოდი და არა როგორც უმრავლესობის ძალაუფლების უზრუნველმყოფი საშუალება. თავის „პლურალისტურ თეორებში“ იგი აღნიშნავს, რომ დემოკრატიას შეუძლია ყველაზე უკეთ უზრუნველყოს ერთი პოლიტიკური ლიდერის ან პარტიის მეორეთი შეცვლა – დემოკრატია, ესაა არა ხალხის, არამედ პოლიტიკოსთა მმართველობა. პოლიტიკოსები ამომრჩეველთა ხმების ისეთივე „მოვაჭრენი“ არიან, როგორც ბროკერები აქციებით საფონდო ბირჟაზე. მაგრამ იმისთვის, რომ მოიპოვონ ამომრჩეველთა მხარდაჭერა, პოლიტიკური მოღვაწეები მინიმალურად მაინც უნდა პასუხობდნენ თავიანთი ელექტორატის მოთხოვნებსა და ინტერესებს. ამომრჩეველთა ხმების მოპოვების პროცესში არსებულ მეტოქეობასა და შეჯიბრს შეუძლია თავიდან აგვაცილოს მმართველობის დესპოტური რეჟიმის დამყარება. მხოლოდ უნდა არსებობდეს გამართული საარჩევნო სისტემა, საარჩევნო პოლიტიკიდან გამორიცხული უნდა იყოს ყოველგვარი მაქინაციები.

დემოკრატიის პლურალისტული გაგების მიხედვით დემოკრატიულ სისტემაში პოლიტიკის მთავარ მამოძრავებელ ძალად მიჩნეულია არა ხალხი და პიროვნება, არამედ ესა თუ

ის სოციალური ჯგუფი. პლურალისტების აზრით, არც ხალხს საერთოდ და არც ცალკეულ პიროვნებას გარკვეული სოციალური ჯგუფის გარეშე არ შეუძლია გადამწყვეტი როლი ითამაშოს პოლიტიკის წარმოებაში, რადგან თვით მოქალაქე და პიროვნება სოციალურ ჯგუფთა შორის ურთიერთობებში ყალიბდება, ამ ურთიერთობებში იკვეთება მისი პოზიცია და მრწამსი, პოლიტიკური საქმიანობის მოტივაცია და ღირებულებითი ორიენტაციები. სწორედ გარკვეული ჯგუფის კუთვნილება აძლევს მას ძალასა და თავისი შესაძლებლობების რეალიზაციის საშუალებას.

პლურალისტული დემოკრატიის პირობებში მთავრობის მიერ გატარებულ პოლიტიკაზე გავლენის მოხდენა შეუძლია ისეთ პოლიტიკურ ჯგუფებს, რომლებსაც მეტი მხარდამჭერი და მეტი ადამიანის ინტერესების გამომხატველი ეყოლება. სხვადასხვა პოლიტიკურ ჯგუფებს შორის კონკურენციის არსებობა დემოკრატიისათვის აუცილებელია, რათა რომელიმე ჯგუფს არ მიეცეს ძალაუფლების მონოპოლიზების საშუალება. დასავლეთის დემოკრატიულ ქვეყნებში პოლიტიკურ ჯგუფებს პრაქტიკულად ისე აქვთ გადანაწილებული პოლიტიკური სივრცე, რომ ვერც ერთი პოლიტიკური ჯგუფი ვერ მიაღწევს გამარჯვებას, თუ მათ არ ექნებათ მხარდაჭერა სხვა სოციალური ჯგუფებიდან და საზოგადოებრივი გაერთიანებებიდან. ხოლო სოციალურ-პოლიტიკურ ჭიდილში დამარცხებულ უკმაყოფილო ჯგუფებსა და სხვებს, რომლებსაც არ მოსწონთ ჩამოყალიბებული მდგომარეობა, შეუძლიათ გაერთი-

ანდნენ და მეტი ძალისხმევითა და მონდომებით შეეცადონ ხალხში შესაბამისი განწყობის შექმნასა და მათ ორგანიზებას.

ამგვარად, პლურალისტული დემოკრატია ეს არის წესრიგი – კონკურენციაში მყოფ პოლიტიკურ ჯგუფთა ინტერესების ბალანსი. დემოკრატია არის მმართველობის ფორმა, რომელიც საზოგადოებრივ ჯგუფებს შესაძლებლობას აძლევს კონკურენტულ გარემოში და ბრძოლაში მოიპოვონ თავიანთი ადგილი პოლიტიკაში.

პლურალისტული დემოკრატიის დამკვიდრებისათვის აუცილებელია არსებობდეს შემდეგი ძირითადი ელემენტები:

1. დაინტერესებული ჯგუფი – როგორც მოქალაქეთა უფლებათა და თავისუფლებათა, მათი ინტერესთა რეალიზაციის გარანტია.

2. საერთო ნება – როგორც სხვადასხვა ჯგუფის კონფლიქტურ ურთიერთქმედებათა და მათ შორის მიღწეულ კომპრომისთა შედეგი.

3. ჯგუფურ ინტერესთა პაექრობა და ბალანსი – როგორც დემოკრატიული ხელისუფლების დინამიკის სოციალური საფუძველი.

4. პიროვნული, განსაკუთრებით ჯგუფური ინტერესები – როგორც პოლიტიკური გენერატორები.

5. სახელმწიფო, როგორც ორგანო – რომელიც პასუხისმგებელია საზოგადოებრივი სისტემის ყველა სექტორის ნორმალურ ფუნქიონირებაზე.

6. სახელმწიფო, როგორც არბიტრი – საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობის დამცველი.

7. ძალაუფლების განაწილება – პოლიტიკური გავლენის მქონე სხვადასხვა ცენტრებს, ინსტიტუტებს, პარტიებს და დაინტერესებულ ჯგუფებს შორის.

8. საზოგადოებრივ ღირებულებებში თანხმობა – თამაშის დემოკრატიული წესების აღიარება და პატივისცემა, დემოკრატიულ პროცესში მონაწილე ყველა სუბიექტის მხრიდან.

9. თავად ბაზისურ ჯგუფთა დემოკრატიული ორგანიზაცია – რომელიც ადექვატურად გამომხატველი იქნება მათი მხარდამჭერების ინტერესებისა, რის გარეშეც დემოკრატია შეიძლება ელიტათა პლურალიზმად გადაიქცეს.

მართალია, მ. ვებერის მიერ წარმოდგენილი „დემოკრატიული ელიტარიზმის“ და ი. შუმპერტის „პლურალისტული თეორიების“ პოლიტიკური სოციოლოგიის არენაზე გამოჩენა უაღრესად მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია დემოკრატიის განვითარების თეორიაში, მაგრამ თუ დემოკრატიას გავიგებთ, როგორც ხალხის უშუალოდ მმართველობას, მაშინ აღმოჩნდება, რომ ასეთი რამ საერთოდ არ არსებობს. ამიტომ უნდა ამოვიდეთ დემოკრატიულ მმართველობაში შეზღუდული რაოდენობისა და ხარისხის თეორიებიდან, რომლის ყველაზე გავრცელებულ ფორმებს წარმოადგენს: ლიბერალურ-კოლექტივისტური და პლურალისტული დემოკრატიები.

ამგვარად, დემოკრატიის ჩვენს მიერ განხილული თეორიები არ არიან უნაკლონი, თუნდაც იმიტომ, რომ დემოკრა-

ტიული ელიტარიზმის მომხრეების მიხედვით ხალხის ანუ ელექტორატის ძირითადი მასა პასიურია და არ მონაწილეობს მმართველობაში. როგორც ე. გიდენსი სამართლიანად აღნიშნავს, მასის როლი დაიყვანება ელიტის შემოქმედებით მმართველობასა და მორჩილ ბიუროკრატიულ მმართველობას შორის არჩევანზე. მაგრამ საქმე იმაშია, რომ როგორი განათლებული და აქტიურიც არ უნდა იყოს ელექტორატი, ამომრჩეველთა დიდი ნაწილი მაინც რჩება მმართველობაში უშუალო მონაწილეობის გარეშე, მაგრამ მათ შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღებაში თავიანთი ინტერესების დამცველი და მათ მიერ .რჩეული ჭკვიანი საქმის მცოდნე ადამიანების მეშვეობით, რომლებიც გააკონტროლებენ ბიუროკრატიის საქმიანობას და ამით ასახავენ და დაიცავენ ფართო სოციალური ფენების ინტერესებსა და პოზიციებს.

ხალხის მმართველობაში მაქსიმალურად ჩართულობისა და მონაწილეობის სხვა უკეთესი მოდელი სამწუხაროდ ჯერ არ შემუშავებულა. დღეისათვის მხოლოდ დემოკრატიული წყობილება ქმნის, როგორც ინდივიდის, ისე საზოგადოების განვითარების, უმაღლესი ჰუმანურობის გამომხატველი ფასეულობების: თავისუფლების, თანასწორობის, სამართლიანობის, თვითშემოქმედებითი უნარების გაფურჩქვნისა და სხვა მნიშვნელოვანი ღირებულებების ჩამოყალიბების, რეალიზებისა და დაცვის პირობებსა და შესაძლებლობებს. მაგრამ ყოველივე ამის ერთბაშად მიღწევა შეუძლებელია. განვითარებული და სრულ-

ფასოვანი დემოკრატიის მისაღწევად საჭიროა დემოკრატიზაციის საკმაოდ გრძელი გზის გავლა.

5.5. გარდამავალი ქვეყნების დემოკრატია

ჩვენთვის, ისევე როგორც დემოკრატიზაციის გზებზე შემდგარი გარდამავალი ტიპის ქვეყნებისათვის, რომლებიც ცდილობენ დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნას, იმთავითვე გაცნობიერებული უნდა ჰქონდეთ, რომ ეს საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია; რომ ამისთვის საკმარისი არ არის მხოლოდ განცხადება, ნების გამოხატვა და პოლიტიკური გარდაქმნების გატარება. უნდა გვესმოდეს ისიც, რომ არ არსებობს ყველასათვის თარგზე გამოჭრილი და მაქსიმალურად მორგებული უნივერსალური კანონი და წესი, რომელიც განაპირობებდა და უზრუნველყოფდა დემოკრატიის ერთბაშად აშენებას. უნდა გვახსოვდეს ის, რომ პოლიტიკური სტრუქტურის შეცვლა და დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბება გაცილებით ადვილია, მაგრამ შესაბამისი ცვლილებები ადამიანების ცნობიერებასა და მენტალიტეტში ნელა და რთულად მიმდინარეობს. ე.ი. შეიძლება ჩამოვაყალიბოთ დემოკრატიული ინსტიტუტები და ორგანიზაციები, მაგრამ თუკი ადამიანები, საზოგადოება არ იქნა შემზადებული, მათი შეგნებისა და კულტურის დონე არ იქნება სათანადო სიმაღლეზე, შესაბამისად არ გვექნება დემოკრატია.

ამგვარად, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ორგანიზაციების არსებობასთან ერთად, უპირველეს ყოვლისა, საჭირო

და აუცილებელია საზოგადოების ცნობირებასა და მენტალიტეტზე ზრუნვა, რომ ადამიანებმა ისწავლონ დამოუკიდებელი და ამავე დროს სახელმწიფოებრივი აზროვნება. როგორც ამერიკელი პოლიტოლოგი ს. ჰანტინგტონი წერს: 1. „კულტურული კონტექსტი“, რომლის ფონზეც უნდა მიმდინარეობდეს დემოკრატიული გარდაქმნები, ერთ-ერთი უპირველესი ფაქტორია დემოკრატიზაციის გზაზე, მაგრამ არა საკმარისი. 2. ეკონომიკური სიმდიდრე და ძლიერება (კარგი ეკონომიკური გარემო, შემოსავლების სამართლიანი განაწილება და ა.შ.). 3. საზოგადოების სოციალური სტრუქტურის ისეთი კომპოზიცია, რომელიც მოიცავს საკმაოდ ძლიერ საშუალო კლასს და ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ელიტებს, აგრეთვე ისეთ ორგანიზაციათა დანაწევრებულ ბადეს, რომელიც ინტერესების მიხედვით აერთიანებს მოქალაქეებს. 4. გარე სამყაროს გავლენა. რასაკვირველია, ძნელია, თუ შეუძლებელი არაა, ისეთ ქვეყანაში დემოკრატიის წარმატებით განვითარება, რომლის მეზობელი სახელმწიფოები იმპერიული ამბიციებითა და პრეტენზიებით არიან გამსჭვალულნი.

დემოკრატიის მშენებლობის ოთხ ძირითად პირობაზე საუბრობს ფრანგი პოლიტიოლოგი ჟან ბეშლერიც:

1. პოლითიის, ანუ სახელმწიფოს იმავე პოლიტიკური გაერთიანების მუდმივობა, რაც ნიშნავს იმას, რომ უნდა არსებობდეს სახელმწიფო როგორც მყარი, მუდმივი პოლიტიკური გაერთიანება, რომელიც შეძლებს ყოველგვარი ძალადობის

აღკვეთას, როგორც გარედან შემოსევებს, ისე ქვეყნის შიგნით ატეხილ სამოქალაქო ომებსა და დაპირისპირებებს.

2. იმპერიალისტური ტენდენციების არსებობა არის ქვეყნის დემოკრატიზაციის შემაფერხებელი პირობა. ქვეყნის იმპერიული და აგრესიული ტენდენციები აიძულებს სახელმწიფოს მოახდინოს ძალაუფლების კონცენტრაცია, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს ავტოკრატიული მმართველობის დანერგვას და იმპერიული ზრახვების გაძლიერებას, რაც შეუძლებელს ხდის დემოკრატიული პროცესების განვითარებას.

3. გადაწყვეტილებების მიმღებ ავტონომიურ ცენტრთა მრავალრიცხოვნება დემოკრატიის შესაძლებლობის პირობაა. ცნობილია, რომ ხელისუფალი ძალაუფლებას თავისი ნებით არასდროს არ დაანაწილებს, რადგანაც ძალაუფლება აბსოლუტურობისკენ ისწრაფვის. პოლიტიკური ძალაუფლება, როგორც წესი, მიისწრაფვის აბსოლუტური ავტოკრატიისა და ტირანიისაკენ. ამიტომ დემოკრატიის პირობებში, როგორც ჟან ბეშლერი წერს, „ხახელმწიფოებრივ ძალაუფლებას დაუპირისპიროთ კერძო ძალაუფლებები, პოლიტიკურ სფეროს – არაპოლიტიკური, სახელმწიფოს დაუპირისპიროთ სამოქალაქო საზოგადოება“ [6, 134]. ძალაუფლების კერძო სექტორში იგულისხმება სხვადასხვა საზოგადოებრივი გაერთიანებები, რომლებიც იღებენ ავტონომიურ გადაწყვეტილებებს. დემოკრატიის განვითარებისათვის აუცილებელია ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც თავისი ავტონომიურობის დასაცავად შეეწინააღმდეგება სახელმწიფოს და არ დაუშვებს მის ცენტ-

რალიზაციისკენ სწრაფვას და დემოკრატიის პრინციპებიდან გადახვევას.

4. მოქმედ პირთა სათნოებანი, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს ინდივიდებში სამოქალაქო და პოლიტიკურ სათნოებათა არსებობას. როგორც ბეშლერი წერს, „ცუდი ადამიანური მასალისაგან არ შეიძლება ჯანსაღი საზოგადოების აშენება“. დემოკრატიული საზოგადოების ასაშენებლად აუცილებელია შემდეგი სამოქალაქო სათნოებანი:

1. **სიმამაცე**, რაც გულისხმობს თვითოეულ ადამიანში საკუთარი აგრეესიისა და ძალადობის გამოვლინებებისადმი მკაცრ კონტროლს; ყოველმა მოქალაქემ უნდა შეძლოს საკუთარი ახირებული სურვილების, უხეშობისა და აგრესიულობის გამოვლენის დათრგუნვა და თავიანთი მოთხოვნების პოლიტიკურ და სამოქალაქო მიზნებს დაქვემდებარება.

2. **ავტონომიურობა**. დემოკრატიის საფუძველშივე ძევს, რაც გულისხმობს კერძოსა და საზოგადოებრივის გამიჯვნას, კერძო საკუთრების მტკიცედ დაცვას და საზოგადოების ღრმა პატივისცემას.

3. **ტოლერანტობა.** გულისხმობს აზრთა და შეხედულებათა სხვადასხვაობასა და შეპირისპირებას, მათ ურთიერთაღიარებასა და ჭეშმარიტების ერთობლივ ძიებას, ყოველგვარი ძალადობის გარეშე. რა თქმა უნდა, თვითოეული ადამიანი უნდა იცავდეს საკუთარ პოზიციასა და თავის აზრს, მაგრამ ამავე დროს უნდა შეეძლოს სხვისი აზრის მოსმენა და მისი გააზრება.

4. თავდადება. გულისხმობს კერძო ინტერესების დათმობას, საზოგადოებრივი ინტერესების სასარგებლოდ, სიკეთის ქმნას სამაგიეროს მიღების გარეშე, ერთგულებას დემოკრატიული (როგორც საუკეთესო) პრინციპებისადმი.

აქვე მოკლედ დავახასიათოთ ის სათნოებები – აუცილებელი თვისებები, რომლებიც უნდა გააჩნდეს დემოკრატ პოლიტიკურ მოღვაწეებს, რომლებიც ასრულებენ ფრიად მნიშვნელოვან მისიებს დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობაში. ეს სათნოებებია:

ზომიერება, სიმტკიცე და სიფრთხილე.

ზომიერება – განსაკუთრებით სჭირდება პოლიტიკურ მოღვაწეს, დემოკრატი პოლიტიკოსისათვის დაუშვებელია აჩქარებული და არაზომიერი გადაწყვეტილებების მიღება. მას უნდა შეეძლოს საკუთარი ინსტინქტებისა და ვნებების მოთოკვა და კონტროლი და თავისი ნიჭისა და ენერგიის საზოგადოებრივ სამსახურში ჩაყენება.

სიმტკიცისა და **პრინციპულობის** გამოჩენა აუცილებელი თვისებაა პოლიტიკური ლიდერისათვის, რადგან სისუსტეების გამოვლენა და ზედმეტი ლიბერალიზმი ვნებს დემოკრატიის პრინციპების გატარებასა და დაცვას.

სიფრთხილე გულისხმობს, რომ გულდასმით შეაფასო ნებისმიერი ვითარება, გათვალო ყველა შესაძლებლობა სწორი გადაწყვეტილებებისა და საბოლოო მიზნის მიღწევისათვის. როგორც ჟ. ბეშლერი წერს: „სიფრთხილე – უმაღლესი სათნოებაა პოლიტიკაში“ [6, 146].

ჩვენს მიერ ჩამოთვლილი ყველა ეს დემოკრატიისათვის აუცილებელი ნიშან-თვისებები და პოზიციები გამომდინარეობს დასავლური დემოკრატიის განვითარების სულ მცირე ორ საუკუნოვანი გამოცდილებიდან, რომელიც რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელი, გამოსაყენებელი და მისაღებია სახელმძღვანელოდ გარდამავალი დემოკრატიის ქვეყნებისათვის. მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ყველა ქვეყანას გააჩნია თავისი დამახასიათებელი თავისებურებები, რომლებიც ასევე გასათვალისწინებელია ყოველი გარდამავალი დემოკრატიის ქვეყნისათვის, მითუმეტეს პოსტსაბჭოური სისტემიდან გამოსული ქვეყნებისათვის, როცა დემოკრატია ყალიბდება კერძო საკუთრებისა და საბაზრო ეკონომიკის განუვითარებლობის პირობებში, მათი განვითარებულობა კი აუცილებელი პირობაა დემოკრატიისათვის. გარდა ამისა, დემოკრატიზაციის გზაზე შემდგარ გარდამავალ ქვეყნებში არსებობს დემოკრატიის პროცესის დამაბრკოლებელი სხვადასხვა ეროვნულ-კულტურული და სოციალური წინაღობები, როგორებიცაა:

1. ეროვნული ერთიანობის ნაკლები განცდა; ერს შიგნით გათიშულობა; გამძაფრებული კუთხურობა თუ ეთნიკური კუთვნილება; ერთიანი ერისშვილობის არასათანადო განცდა, ანდა ძლიერად გამოხატული შოვინიზმი და ნაციონალიზმი.

2. რელიგია, შეიძლება ხელისშემშლელ პირობად მოგვევლინოს, როგორც მ. ფუკო აღნიშნავს, თუკი რელიგია არ ჩაერევა პოლიტიკაში. აღიარებს ადამიანის საყოველთაო უფლებების, აზრისა და რწმენის თავისუფლებას, მაშინ რელიგიასა

და ლიბერალურ დემოკრატიას შორის არ იარსებებს წინააღმდეგობები, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში იგი შემაფერხებელი იქნება დემოკრატიის განვითარების გზაზე.

3. სოციალური უთანასწორობა, არათანაბარი სოციალური სტრუქტურისა და მისგან გამომდინარე, აზროვნების წესი, კულტურისა და შეგნების დაბალი დონე შეიძლება იყოს დემოკრატიზაციის პროცესის შემაფერხებელი.

4. სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისკენ ნაკლები ინტერესი და სწრაფვა არის დემოკრატიზაციის შემაფერხებელი და დამამუხრუჭებელი პირობა, რომლის ამაღლებაზეც, პირველი რიგში, უნდა იზრუნოს საზოგადოების მოწინავე ნაწილმა და, რა თქმა უნდა, სახელმწიფოს პოლიტიკურმა ინსტიტუტებმა, რომლებმაც უნდა დანერგონ საზოგადოებაში კანონის უზენაესობისა და კანონმორჩილების ჩვევები.

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ჩამოვყალიბდეთ იმაზე, თუ რა არის აუცილებელი ლიბერალურ დემოკრატიაზე გადასასვლელად, ეს არის: 1. საბაზრო ანუ კონკურენტული ეკონომიკა; 2. ქვეყნის ინდუსტრიალური და ეკონომიკური განვითარების მაღალი დონე; 3. ცხოვრებისა და მოქალაქეთა კეთილდღეობის შედარებით მაღალი დონე; 4. სოციალური თანასწორობისა და მრავალრიცხოვანი საშუალო ფენის არსებობა; 5. განვითარებული სამოქალაქო საზოგადოება; 6. სამოქალაქო შეგნება და შესაბამისი პოლიტიკური კულტურა.

უნდა აღინიშნოს, რომ დემოკრატიაზე გადასვლის ჩვენს მიერ ჩამოთვლილ სტანდარტად მიჩნეულ ნიშნებს მთლად ვერ

აკმაყოფილებდნენ მთელი რიგი ქვეყნები, მაგრამ მაინც წარმატებით აშენებენ დემოკრატიას. მაგალითად, ინდოეთი არც ინდუსტრიული და არც ეთნიკურად და რელიგიურად ერთიანი, მაგრამ სტაბილურად აშენებს დემოკრატიას. აგრეთვე არც გერმანიას ან იაპონიას ავტორიტარული ტრადიციების გამო ვერ უნდა აეშენებინა დემოკრატია, მაგრამ როგორც ფ. ფუკუიამა წერს: „არ არსებობს ხალხი თუ კულტურა, რომელსაც არ დაეწყოს ძლიერი ავტოკრატიული ტრადიციით ან დროთა განმავლობაში ამგვარ ტრადიციამდე არ მოსულიყოს“ [21, 231].

მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ დემოკრატიზაციის გზაზე შემდგარი ქვეყნისთვის ავტოკრატიული მმართველობა დემოკრატიული პროცესების შემაფერხებელ ფაქტორად იქცევა, როგორც ეს საქართველოში მოხდა. ავტორიტარი, რომელიც აკონტროლებს მმართველობის ყველა შტოს, ხელს უშლის დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებას და ერთპიროვნულად მართავს ქვეყანას, ასეთ პირობებში დემოკრატიზაციაზე საუბარი შეუძლებელია.

დემოკრატიის წარმატებით მშენებლობაში ძალზედ მნიშვნელოვანი როლი ენიჭება იმ წამყვან პარტიასა და მის ლიდერს, რომელიც შეძლებს, ქვეყნის დემოკრატიზაციის გზაზე შეყენებას და სწორი ორიენტირების განსაზღვრას, რომლის წარმატებულად განხორციელებისათვისაც აუცილებელია სულისკვეთებით დემოკრატი, ქმედითუნარიანი სახელმწიფო მოღვაწე, როგორც ფ. ფუკუიამა აღნიშნავს, „რომელიც ხელისუფ-

ლებაში მოსვლისთანავე: 1. მტყუან-მართლის გარჩევამდე, გაანეიტრალებს შეიარაღებულ ძალებს; 2. შეინარჩუნებს სიმბოლურ უწყვეტობას წარსულთან (ჰიმნი, დროშა, გერბი); 3. გაითვალისწინებს უკვე ჩამოყალიბებულ პარტიული სისტემის ბუნებას; 4. განსაზღვრავს ქვეყანაში დემოკრატიული მმართველობის ტიპს (საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო)“ [21, 230].

ამგვარად, დემოკრატიზაციის გზაზე შემდგარი გარდამავალი ქვეყნებისათვის დემოკრატიის ჩამოყალიბებასა და დამკვიდრებაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ხალხს, საზოგადოებას, მის თვითოეულ წევრს და სოციალურ ჯგუფს. მოსახლეობის ფართო მასებს უნდა სურდეს და ერთგულებდეს დემოკრატიულ პრინციპებს. მართალია, გარდამავალ პერიოდში ბევრს აშინებს და აკრთობს სიახლე, მითუმეტეს ტოტალიტარული რეჟიმიდან გამოსულ საზოგადოებას, მაგრამ გვაქვს მაგალითები, თუნდაც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების (ბალტიისპირა და სხვა), თუ როგორი წარმატებები და სიკეთე მოუტანა მათ დემოკრატიული გზით სვლამ. ამიტომ სახელმწიფომ და მისმა პოლიტიკურმა ელიტამ დასავლეთის გამოცდილებაზე დაყრდნობით ყველაფერი უნდა იღონოს დემოკრატიული, თავისუფალი და ჰუმანური საზოგადოების სწრაფი ტემპებითა და ეფექტურად შენებისათვის.

თავი VI
პოლიტიკური სოციალიზაცია

„სოციალიზაციის“ ცნება პირველად გაჩნდა ამერიკულ სოციოლოგიაში XIX საუკუნის ბოლოს და სამეცნიერო ლიტერატურაში საბოლოოდ დამკვიდრდა XX საუკუნის 50-იან წლებში, ადამიანთა სოციალურად ჩამოყალიბებისა და ფორმირების აღსანიშნავად. ენციკლოპედიურ ლექსიკონში სოციალიზაცია განმარტებულია, როგორც ინდივიდის მიერ ცოდნის, ღირებულებებისა და ნორმების გარკვეული მარაგის ათვისების პროცესი, რომლითაც იგი ფუნქციონირებს საზოგადოებაში, როგორც მისი სრულფასოვანი წევრი.

რ. შვარცენბერგის აზრით, „სოციალიზაცია არის პროცესი, რომლის დახმარებითაც ხდება სოციალური ნორმების ათვისება და ინტერიორიზაცია. მთელი ცხოვრების მანძილზე ადამიანი გარემოდან იღებს სოციალურ ელემენტებს, ახდენს მათ ინტერიორიზაციას და ინტეგრაციას თავის თავში“. სოციალიზაცია წარმოადგენს ცოდნის, კულტურის, რწმენის, გრძნობების, არსებობის საშუალებების გაგებისა და გათვალისწინების პროცესს, რომელიც მოცემული საზოგადოებისათვის არის დამახასიათებელი და რომელშიაც ხდება ადამიანის ინტეგრაცია და ადაპტაცია. სოციალიზებული ადამიანი ეკუთვნის თავის გარემოს. იგი იზიარებს მოცემულ გარემოში არსებულ უმთავრეს შეხედულებებსა და ღირებულებებს.

ა. დემიდოვისა და ა. ფედოსეევის მიხედვით, „სოციალიზაციის პროცესი გულისხმობს ინდივიდის სოციალური გამოცდილების, გარკვეული სოციალური როლებისა და კულტურის ათვისებას, ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესს [23, 32].

ვ. პუგაჩოვისა და ა. სოლოვიოვის აზრით, „სოციალიზაცია არის ადამიანის მიერ ქცევის ნორმების, ნიმუშების, სტანდარტების, ტრადიციების, კულტურული ღირებულებებისა და ორიენტაციების ათვისების პროცესი“ [2, 20].

ქართველი სოციოლოგის ვ. ქვაჩახიას მიხედვით, სოციალიზაციის პროცესში ინდივიდი ხდება პიროვნება იმით, რომ ითვისებს საზოგადოებრივი ქცევის გარკვეულ ნორმებს, კულტურის გარკვეულ დონეს და ცოდნის გარკვეულ მარაგს.

ამგვარად, რომ შევაჯეროთ და შევაჯამოთ სოციალიზაციის შესახებ დასავლელი, რუსი და ქართველი მკვლევარების მიერ მოცემული განმარტებები, შეიძლება ჩამოვაყალიბოთ სოციალიზაციის შემდეგი განსაზღვრება:

სოციალიზაცია სუბიექტის საზოგადოების წევრად ჩამოყალიბებისა და ფორმირების პროცესია, კონკრეტულ საზოგადოებაში არსებული სოციალური ღირებულებებისა და ნორმების, ორიენტაციებისა და შეფასებების, ცოდნისა და კულტურის გარკვეული მარაგის, ადამიანთა სოციალურ თანაცხოვრებაში მიღებული გამოცდილების, უნარ-ჩვევების შესისხლხორცების პროცესია, რომლის რეალიზაციასაც თავის მოღვაწეობაში ავლენს.

სოციალიზაციის პროცესში ადამიანი ყალიბდება, როგორც გარკვეული სოციალური სისტემა, რომელსაც თავისი კონკრეტულ-ისტორიული როლი ეკისრება სინამდვილის შემოქმედებაში.

სოციალიზაცია გულისხმობს ინდივიდის სოციალურ გარემოში ადაპტაციას, სოციალურ როლთა შემეცნებასა და ათვისებას, ეს არის ცოდნის, მრწამსის გაცნობიერება, იმ საზოგადოებრივი შეხედულებების, ღირებულებების, ინტერესების, ტრადიციების, უნარ-ჩვევების, გემოვნებისა და ა.შ. ათვისება, რომელშიაც მას უხდება ცხოვრება და მოღვაწეობა.

საზოგადოების სოციალიზაციას ადგილი აქვს ნებისმიერ ქვეყანაში, მმართველობის ნებისმიერი ფორმის დროს, რადგან ყველა ქვეყანას და მის მმართველ ელიტას ყოველთვის გააჩნია ქვეყნის განვითარების თავისებური ხედვა, მიდგომა, სტრატეგია და ცდილობს საზოგადოების შესაბამისი ინტერესებისა და მისთვის სასურველი მსოფლმხედველობის დანერგვას. ამგვარად, ადამიანი, საზოგადოება კულტურისა და სოციალიზაციის პროდუქტია.

სოციალიზაციისა და, კერძოდ, პოლიტიკური სოციალიზაციის პრობლემებზე საგულისხმო და მნიშვნელოვანია ავტორიტეტული მკვლევარ-სოციოლოგების: პ. შარანის, რ. შვარცენბერგის, ჰესისა და სიგელის პოზიციები.

პ. შარანის მიხედვით, სოციალიზაციის პროცესი მიმართულია სამი მთავარი ამოცანის გადასაჭრელად: 1. პოლიტიკური გაერთიანების წევრებისადმი ამ საზოგადოებაში გაბა-

ტონებული პოლიტიკური კულტურის ელემენტების გადაცემა; 2. ამ ელემენტთაგან ზოგიერთის გარდაქმნა, როგორც საზოგადოებრივ ცვლილებათა აუცილებელი პირობა; 3. განსაკუთრებულ პირობებში ახალი პოლიტიკური კულტურის შექმნა [8, 41].

ე.ი. სოციალიზაცია და მათ შორის პოლიტიკური სოციალიზაცია გულისხმობს საზოგადოებაში, მასებში დანერგოს მმართველი ელიტისათვის სასურველი იდეოლოგიური ორიენტირები, ცხოვრების წესი, ქცევის მათთვის მისაღები მოდელი და დაამკვიდროს ყოველივე ამის მემკვიდრეობითობა.

ჰესისა და სიგელის აზრით, სოციალიზაცია არის სწავლა-აღზრდის პროცესი, რის შედეგადაც არსებული საზოგადოებისთვის მისაღები ქცევის პოლიტიკური ნორმები და სქემები თაობიდან თაობას გადაეცემა.

რ. შვარცენბერგის მიხედვით, სოციალიზაციის პროცესში მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს ახალგაზრდობის აღზრდას ბავშვობის ასაკიდან. იგი სოციალიზაციის პროცესში გამოჰყოფს 4 პერიოდს:

1. პოლიტიზაცია – პოლიტიკის აღქმადობა;

2. პერსონალიზაცია – როდესაც რომელიმე ავტორიტეტული პოლიტიკური ფიგურა იქცევა მოზარდისათვის ნიმუშად და მიბაძვის ობიექტად.

3. პოლიტიკურ ხელისუფალთა იდეალიზაცია – როცა მოზარდი აღიქვამს მათ, როგორც კეთილად ან ბოროტად და სწავლობს მათ სიყვარულს ან სიძულვილს.

4. ინსტიტუციონალიზაცია – ეს ის პერიოდია, როდესაც მოზარდი გადადის პერსონიზებული წარმოდგენიდან ინსტიტუციურზე, ანუ პოლიტიკური სისტემის წარმოდგენაზე [22, 39].

საერთო სოციალიზაციის სისტემაში **პოლიტიკურ სოციალიზაციას** გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, იგი განსაზღვრავს სოციალიზაციის მთელ შინაარსს, რადგან პოლიტიკა როგორც მიზნის მიღწევის საშუალება, მოიცავს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ძირითად სფეროს და საბოლოო ჯამში მასში აისახება მთელი საზოგადოებრივი ცხოვრება. პოლიტიკა ძირეული სოციალური ინტერესების კონცენტრირებული გამოხატულებაა, რომლის საშუალებითაც ხორციელდება საზოგადოებისა და სახელმწიფოს მართვა და რეგულირება.

პოლიტიკური სოციალიზაცია საერთო სოციალიზაციის მნიშვნელოვანი ნაწილია და ამიტომ პოლიტიკურ სფეროშიც სოციალიზაციის იგივე პროცესები მიმდინარეობს იმ განსხვავებით, რომ პოლიტიკოსები მეტი ინტენსიობითა და ინტერესებით არიან ჩართულნი პოლიტიკურ პროცესებში და, შესაბამისად, მეტად აცნობიერებენ და იაზრებენ პოლიტიკური ცხოვრების კანონზომიერებებს. პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესში მეტად იკვეთება პოლიტიკური ინტერესები, ორიენტირები და შეფასებები.

პოლიტიკური სოციალიზაცია შედარებით ახალი დარგია. პირველი წიგნი პოლიტიკურ სოციალიზაციაზე გამოიცა შეერთებულ შტატებში 1959წ. ნ. ჰუმანის მიერ. პოლიტიკური სო-

ციალიზაციის პრობლემის შესწავლის აქტუალობა განაპირობა მსოფლიოში დემოკრატიული ღირებულებებისა და პრინციპების დაცვისა და გავრცელების საჭიროებამ, დემოკრატიული პოლიტიკური კულტურის ამაღლების აუცილებლობამ.

პოლიტიკური სოციალიზაციის თეორიის ჩამოყალიბებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა იმ პერიოდის დასავლეთში გავრცელებულმა ბიჰევიორისტულმა თეორიამ, რომლის პრაგმატისტული მიდგომა საფუძვლად დაედო პოლიტიკური ბიჰევიორისტული სოციალიზაციის თეორიის ჩამოყალიბებას. ბიჰევიორისტული მიდგომით მთავარი იყო ადამიანის ქცევებზე დაკვირვება და მათი ანალიზი. პოლიტიკური ბიჰევიორიზმი ყურადღებას ამახვილებდა პოლიტიკურ ქცევებზე და ქმედებებზე, აანალიზებდა მათ და აქედან გამომდინარე განსაზღვრავდა ინდივიდთა პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის ხარისხსა და მნიშვნელობას.

დასავლეთის აზროვნებაში ბიჰევიორისტული მიდგომა შემდგომში შეიცვალა პოსტბიჰევიორისტული შეხედულებებით: დ. ისტონმა, კ. დოიჩმა, გ. ალმონდმა განავითარა ე. თორნდიაკისა და სხვების ბიჰევიორისტული თეორია. კერძოდ, მათი აზრით, ადამიანის გაგება მხოლოდ მათი ქცევების შესწავლით არ არის საკმარისი. პოლიტიკურმა მეცნიერებებმა უარი უნდა თქვან ზუსტი მეცნიერებების შემეცნების მეთოდების გამოყენებაზე და შეასრულოს თეორიული ფუნქცია, უნდა შექმნას პოლიტიკური ცხოვრების მოდელები, პროექტები, კონცეფ-

ციები, რომელთა აპრობაცია და რეალიზაცია შემდგომ მოხდება პოლიტიკაში.

ამგვარად, პოსტბიჰევიორისტული მეთოდი, რომელიც საფუძვლად დაედო დასავლეთის პოლიტიკური სოციალიზაციის თეორიას, რომლის ძირითადი მოთხოვნებია: 1. პოლიტიკური სოციალიზაციის თეორიული მოდელების შემუშავება ცხოვრებაში რეალურად არსებული პოლიტიკური სიტუაციის ანალიზის საფუძველზე; 2. პოლიტიკური სოციალიზაციის ცალკეული პრობლემების კონცეფტუალიზაცია და ძირითად კატეგორიათა განსაზღვრა; 3. ოპერაციონალიზაცია და აპრობირება ანუ პოლიტიკურ პრაქტიკაში მათი განხორციელების მოდელებისა და პროექტების ძიება.

თანამედროვე დასავლეთის პოლიტიკური სოციალიზაციის თეორიის ჩამოყალიბებაზე ასევე დიდი ზეგავლენა მოახდინა ტ. პარსონსის სტრუქტურულმა ფუნქციონალიზმმა, რომლის მიხედვითაც შეიქმნა ადამიანთა მოქმედების ერთიანი თეორია, რომელიც გულისხმობს ცალკეული ინდივიდების მიზნებისა და ღირებულებების თანხმობას პოლიტიკური სისტემის სტაბილური ფუნქციონირებისათვის. ფუნქციონალისტების მიხედვით პოლიტიკური წესრიგი შესაძლებელია სოციალიზაციის საშუალებით, ადამიანთა ცნობიერებაში პოლიტიკური ღირებულებებისა და ნორმების ათვისების კვალდაკვალ.

დასავლეთის პოლიტიკურ მეცნიერებაში, პოლიტიკური სოციალიზაციის კვლევის საკითხში გარკვეული წვლილი შეიტანეს აგრეთვე: დ. ისტონმა, ლ. კოენმა, რ. ლიპტონმა და სხვა

ავტორიტეტულმა მკვლევარებმა. მათი ნააზრევიდან გამომდინარე, შეიძლება ჩამოვაყალიბოთ პოლიტიკური სოციალიზაციის განმარტება: **პოლიტიკური სოციალიზაცია წარმოადგენს პოლიტიკურ სისტემაში ადამიანთა პოლიტიკური თანაცხოვრების შედეგად შექმნილი პოლიტიკური ღირებულებების, წესების, ნორმების, ნიმუშების, სტერეოტიპების, ორიენტაციების, შეფასებების, მოკლედ პოლიტიკური კულტურის ათვისებისა და გათავისების პროცესს.**

პოლიტიკური სოციალიზაცია პოლიტიკური სისტემის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია. პოლიტიკური სოციალიზაციის თანამედროვე თეორიაში გამოჰყოფენ სოციალიზაციის სამ ძირითად მოდელს: 1. დემოკრატიულს; 2. ავტოკრატიულს და 3. ტოტალიტარულს.

1. პოლიტიკური სოციალიზაციის **დემოკრატიულ** მოდელში იგულისხმება პოლიტიკური პლურალიზმის დემოკრატიული სისტემა, იდეოლოგიური პლურალიზმი, დემოკრატიული თანაცხოვრების კულტურა, პოლიტიკური სუბიექტების, ინტელექტუალურ-კულტურულ თვითრეალიზაციისა და გამოვლენის ფართო შესაძლებლობები, ინდივიდის დემოკრატიული ტიპი და სხვა პოლიტიკური მართვის დემოკრატიული ფორმები.

2. პოლიტიკური სოციალიზაციის **ავტორიტარული** მოდელი, როგორც წესი, გვხვდება დემოკრატიულ სისტემაზე გარდამავალ პოლიტიკურ რეჟიმებში, რომლებიც ხასიათდება მათთვის დამახასიათებელი ნიშნებით. ამ დროს ხდება ადამიანის პოლიტიკური უფლებებისა და თავისუფლების შეზღუდვა,

რეგლამენტირება, პოლიტიკური სუბიექტების ფუნქციების შეზღუდვა, პოლიტიკური ცხოვრების კონტროლი, პოლიტიკური მართვის ავტორიტარული მეთოდებისა და პოლიტიკური აზროვნების კონსერვატიული სტილის დანერგვა, ავტორიტარის უფლებამოსილების გაზრდა და მმართველობის ერთპიროვნული ფორმების შემოღება.

3. პოლიტიკური სოციალიზაციის **ტოტალიტარული** მოდელი გულისხმობს ზეცენტრალიზებული პოლიტიკური ინსტიტუტებისა და სტრუქტურების დახშულობას და მათზე მკაცრ კონტროლს, პოლიტიკური აზროვნების ტოტალიტარიზაციასა და მასობრივი ცნობიერების ერთი მიმართულებით მიზნისკენ წარმართვას. ეს იდეოლოგიური მონიზმი იწვევს პოლიტიკურ ფანატიზმსა და მესიანიზმს და საბოლოოდ აყალიბებს პოლიტიკურ-რეპრესიულ და ტერორისტულ სისტემას, სადაც პოლიტიკური სუბიექტები ექცევიან აზროვნების სტანდარტებში და ყალიბდებიან განსაკუთრებული მრწამსის ტოტალიტარული რეჟიმის მომხრეებად და მეხოტბეებად.

პოლიტიკური სოციალიზაციის მოდელებიდან ჩვენ შევჩერდებით დემოკრატიული პოლიტიკური კულტურის ფორმირების საკითხზე, როგორც უფრო მეტი ღირებულების და თანამედროვე ცივილიზებულ სამყაროში მოწინავე და მიღებულ სისტემაზე, მაგრამ მანამდე განვიხილოთ, თუ რა პოლიტიკური კომპონენტებისაგან შედგება პოლიტიკური სოციალიზაციის სისტემა: 1. პოლიტიკური ღირებულებები; 2. პოლიტიკური ნორმები; 3. პოლიტიკური თანაცხოვრების წესი; 4. პოლიტი-

კური ჩვევები და სტერეოტიპები; 5. პოლიტიკური განწყობილებები და წარმოდგენები; 6. პოლიტიკური ორიენტაციები და შეფასებები; 7. პოლიტიკური აზროვნების ფორმები და სტილი; 8. პოლიტიკური ეროვნული თავისებურებები, ტრადიციები და წეს-ჩვეულებები; 9. პოლიტიკური შესაძლებლობანი და უნარები; 10. ეროვნულ-სახელმწიფოებრივ და ზოგადსაკაცობრიო პოლიტიკურ ღირებულებათა შეხამება და სათანადო პოლიტიკური ორიენტაციებისა და პრიორიტეტების გამომუშავება.

აღნიშნულ კომპონენტთა ერთობლიობა წარმოადგენს ერთიან სტრუქტურულ-ფუნქციონალურ სისტემას, რომლითაც განისაზღვრება პოლიტიკურ ურთიერთობათა ხასიათი, პოლიტიკური თანაცხოვრების ტიპი და მიმართულება, პოლიტიკური კულტურის დონე და თავისებურებანი. აღნიშნული კომპონენტები ერთმანეთს განსაზღვრავენ, ერთმანეთზე ზემოქმედებენ და ერთიან სტრუქტურულ-ფუნქციურ მოდელს წარმოქმნიან.

მოკლედ განვიხილოთ პოლიტიკური სოციალიზაციის უმნიშვნელოვანესი სტრუქტურულ-ფუნქციონალური კომპონენტები, რომლებიც უაღრესად დიდ ზეგავლენას ახდენენ პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესზე:

1. პოლიტიკური ღირებულებანი და ნორმები დიდ ზეგავლენას ახდენს პოლიტიკური სუბიექტის ჩამოყალიბებაზე, მაგრამ მეორეს მხრივ ადამიანები და პოლიტიკური სუბიექტებიც ახდენენ ღირებულებათა მოდიფიცირებასა და გადაფასებას.

პოლიტიკურ სოციალიზაციაში ძალზედ მნიშვნელოვანია პოლიტიკური სუბიექტის ღირებულებითი ორიენტაცია, რაშიც, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება ის იდეალები, მისწრაფებები, ცხოვრებისეული მიზნები, რომლის მიხედვითაც მოქმედებს ადამიანი. ღირებულებითი ორიენტაცია განსაზღვრავს პოლიტიკური სუბიექტის სოციალურობას, მის პოლიტიკურ მიმართულებას და პოლიტიკურ პრიორიტეტს.

2. ასევე მნიშვნელოვანია ადამიანთა თანაცხოვრების წესის, სტანდარტიზაციისა და ნორმების კომპონენტი, რომელშიც მოდიფიცირდება პოლიტიკური სუბიექტის ინტერესები და მიზნები. ისინი პოლიტიკურ ღირებულებათა და სამართლებრივ ნორმებთან ერთად არეგულირებენ პოლიტიკურ ურთიერთობებს. პოლიტიკური ნორმები ახდენენ პოლიტიკური ღირებულებების კონკრეტიზაციას, კონკრეტულ პირობებში განსაზღვრავენ ადამიანთა პოლიტიკურ ქცევას, ადგენენ მათი მოქმედების დიაპაზონსა და საზღვრებს, გამოიმუშავებენ გარკვეულ სტერეოტიპებსა და ნიმუშებს, პოლიტიკური ნორმები გარკვეულ ჩარჩოებში სვამს პოლიტიკური სუბიექტის მოღვაწეობას და იძლევა სოციალური კონტროლის საშუალებას.

პოლიტიკური ღირებულება პოლიტიკურ ნორმებთან შედარებით უფრო ფართო და მეტის მომცველი ცნებაა. პოლიტიკურ ღირებულებით ორიენტაციებში უფრო მეტად ჩანს პოლიტიკური სუბიექტის სახე მისი დამოუკიდებლობა და თავისუფლება. პოლიტიკურ ნორმალურ სისტემაში კი პოლიტიკური მოქმედების სტერეოტიპები და ნიმუშები, ერთის მხრივ,

საზოგადოებას უზრუნველყოფს ეტალონებით, ნიმუშებით, მოდელებით, სტანდარტებით და ქცევის შაბლონებით და, მეორეს მხრივ, უზრუნველყოფს სტაბილიზაციას, წესრიგიანობას, წონასწორობას, საზოგადოებრივ ურთიერთობათა ინტეგრაციას.

3. როგორც უკვე აღვნიშნეთ, პოლიტიკური სოციალიზაცია ადამიანთა პოლიტიკური თანაცხოვრების ისტორიულად განსაზღვრულ სისტემაში მიმდინარეობს. შესაბამისად, პოლიტიკური **თანაცხოვრების წესები** წარმოადგენს პოლიტიკური ურთიერთობების, ქცევებისა და პოლიტიკური აზროვნების წესის ერთობლიობას, რომელშიც ვლინდება პოლიტიკური სუბიექტის ინტელექტუალური დონე, მისი ღირებულებითი ორიენტაციები და კულტურა. იგი კონკრეტულ-ისტორიული კატეგორიაა, რომელშიც აისახება არსებული პოლიტიკური წყობის მიერ დამუშავებული პოლიტიკური ცხოვრების სტილი.

განასხვავებენ პოლიტიკური თანაცხოვრების ორ ძირითად ფორმას: დემოკრატიულს და არადემოკრატიულს. პოლიტიკური თანაცხოვრების ეს ორი ძირითადი ფორმა პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესს განსხვავებულ და ურთიერთსაპირისპირო სტერეოტიპებისა და სტანდარტების სისტემაში აქცევენ, რის შედეგადაც ქმნიან ინდივიდებისა და სოციუმის განსაკუთრებულ და განსხავავებულ ტიპებს. განსხვავებული პოლიტიკური თანაცხოვრების წესები ქმნიან განსხვავებულ სტერეოტიპებს, სტანდარტებს, ნიმუშებს, ეტალონებს, რომლებიც წარმოადგენენ პოლიტიკური ცხოვრების მყარ სქემატი-

ზირებულ და ხანგრძლივი პოლიტიკური თანაცხოვრების შედეგად გამომუშავებულ ფორმებს და სოციალიზაციის სისტემაში ასრულებენ როგორც პოზიტიურ, ისე ნეგატიურ როლს.

პოლიტიკური თანაცხოვრების დემოკრატიული ფორმა დამყარებულია პოლიტიკური რეჟიმის დემოკრატიულ ტიპზე და ვლინდება პოლიტიკური აზროვნებისა და მოქმედების კულტურაში. დემოკრატიული ფორმის სტერეოტიპები, ნიმუშები, სტანდარტები და ეტალონები დემოკრატიულ პოლიტიკურ სისტემაში პოლიტიკური პროცესებისა და მოვლენების მართვის მყარი პრინციპების ერთობლიობაა, და კონკრეტულ ისტორიულ-პოლიტიკურ სიტუაციაში პოლიტიკური გააზრებისა და მოქმედების პროგრესულ მოდელებს ქმნიან და გვთავაზობენ.

რაც შეეხება პოლიტიკური თანაცხოვრების არადემოკრატიულ წესებს, ისინი ამკვიდრებენ ადამიანთა და პოლიტიკურ სუბიექტთა ურთიერთობის ისეთ ფორმებს, რომლებიც გამორიცხავენ პოლიტიკურ მოქმედებათა თავისუფლებას, ღიაობას, შემოქმედებით აზროვნებასა და აქტიურ ქმედებას. არადემოკრატიული წესები თავისი ტიპიურობითა და სტილით ავტორიტარულ და ტოტალიტარულ რეჟიმებში ვლინდება.

4. პოლიტიკური სოციალიზაციის მნიშვნელოვანი კომპონენტებია პოლიტიკური განწყობილებები და წარმოდგენები, რომლებიც პოლიტიკურ-ფსიქოლოგიურ ასოციაციებს და კომპლექსებს წარმოადგენენ, რომელთა ანალიზიც პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესის შესწავლისა და პროგნოზირების საშუალებას იძლევა. პოლიტიკურ განწყობილებებზე

წარმოდგენებზე და, შესაბამისად, მათ ცვალებადობაზე დიდად არის დამოკიდებული პოლიტიკურ ღირებულებათა, ორიენტაციათა და მიმართულებათა როგორც მდგრადობა, ისე ცვალებადობა. პოლიტიკურ განწყობასა და წარმოდგენებში კარგად ვლინდება დამოკიდებულება პოლიტიკური პროცესებისა და მოვლენებისადმი. პოლიტიკურ-ფსიქოლოგიური განწყობილებები და წარმოდგენები, როგორც წესი, სამი ფორმით ვლინდება: 1. კოგნიტური – პოლიტიკური პროცესების გააზრებული შეფასება; 2. აფექტური – გაუაზრებელი და ემოციური შეფასება და 3. ქცევითი – პოლიტიკაში თანმიმდევრული მოქმედება.

5. ძალზედ მნიშვნელოვანია პოლიტიკური ორიენტაციები და შეფასებები, რომლებიც განსაზღვრავენ პოლიტიკური სოციალიზაციის მთელ შინაარსს და გამოვლინდებიან ინდივიდისა და სოციუმის პოლიტიკურ ქმედებებში, მათ დამოკიდებულებებში პოლიტიკური პროცესებისა და მოვლენებისადმი, მათ ორიენტაციებსა და შეფასებებში.

პოლიტიკური ორიენტაცია მიმართულებას აძლევს პოლიტიკურ სოციალიზაციას და პოლიტიკურ სუბიექტებს გამოუმუშავებს თვითორიენტაციისა და თვითრეალიზაციის უნარსა და შესაძლებლობებს, იგი განსაზღვრავს პოლიტიკური სუბიექტის მიზნებსა და ინტერესებს, პოზიციებსა და პრიორიტეტების ძირითად შინაარსებს, უზრუნველყოფს სოციალიზაციის სისტემურობას, ხარისხსა და სტილს.

6. პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესუალურ სტრუქ-ტურაში მნიშვნელოვანი კომპონენტებია: პოლიტიკური აზროვ-ნების ფორმები, მიმართულებები და სტილი, რომლებზედაც დიდადაა დამოკიდებული სოციალიზაციის პროცესი.

პოლიტიკური აზროვნების მიმართულება, ფორმა და სტილი ძირითადად დამოკიდებულია პოლიტიკური სოციალი-ზაციის ტიპზე. ერთის მხრივ, ისინი პოლიტიკური სოცია-ლიზაციის არსებული სისტემით განისაზღვრება, მაგრამ ამავე დროს პოლიტიკური აზროვნების ფორმა და სტილი არსებით ზეგავლენას ახდენს პოლიტიკური სოციალიზაციის მთელ მიმართულებაზე.

7. პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესზე დიდ ზეგავ-ლენას ახდენს აგრეთვე ისეთი კომპონენტები, როგორიცაა ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული პოლიტიკური ტრადი-ციები და წეს-ჩვეულებები. აქ უპირატესად იგულისხმება ისტორიულად ეროვნულ ტრადიციებზე და წეს-ჩვეულებებზე დაფუძნებული სახელმწიფო თავისებური პოლიტიკური სისტე-მით, იდეებით, პოლიტიკური ღირებულებებით, პოლიტიკური თანაცხოვრების წესით, დემოკრატიული პოლიტიკური აზროვ-ნების ეროვნულ-ისტორიული ფორმებით, პოლიტიკური სტრუქ-ტურებისადმი ადამიანთა დამოკიდებულებების ხასიათით, პო-ლიტიკური კულტურის თავისებურებებით.

პოლიტიკური ტრადიციები და წეს-ჩვეულებები ეროვნულ-პოლიტიკური მემკვიდრეობაა, რომელიც ყალიბდება ხანგრძ-ლივი ისტორიის მანძილზე, ისინი გამოირჩევიან მდგრადობითა

და დიდი მეხსიერებით, რომლებიც დიდ ზეგავლენას ახდენენ სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ ორიენტაციასა და მიმართულებაზე და, შესაბამისად, წარმოადგენს პოლიტიკური სოციალიზაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტსა და ფაქტორს.

8. პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესში ძალზედ მნიშვნელოვანია პოლიტიკური სუბიექტების შესაძლებლობები და უნარები. იმთავითვე ნათელია, რომ ნებისმიერი მმართველობის ფორმებს შორის დემოკრატიული მმართველობის დროს პოლიტიკურ სუბიექტს და საერთოდ საზოგადოებას შეუძლია სრულად გამოავლინოს თავისი შემოქმედებითი ნიჭი და უნარი და თავისი შესაძლებლობები. ღია საზოგადოებაში პოლიტიკურ სუბიექტებსა და ნებისმიერ ადამიანს აქვს საშუალება მოძებნოს თავისი ფუნქციური ადგილი საზოგადოებაში თუ პოლიტიკურ სისტემაში და თავიანთი სტატუსის შესაბამისად სრულად გამოავლინონ თავიანთი შემოქმედებითი შესაძლებლობები და უნარები.

როგორც აღვნიშნეთ, ჩვენს მიერ ზემოთ ხსენებული და მოკლედ დახასიათებული კომპონენტები ერთმანეთთან ურთიერთქმედებაში არიან და ქმნიან სტრუქტურულ-ფუნქციურ მოდელს ანუ სისტემას. აღსანიშნავია, რომ პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესში ადამიანებში, პოლიტიკურ სუბიექტებში ხდება აღნიშნული კომპონენტების ინტეგრაცია, რომელიც როგორც წესი, ორი მიმართულებით მიმდინარეობს: 1. ადამიანში მიმდინარე პოლიტიკური სოციალიზაციის

სტრუქტურულ-ფუნქციონალური პროცესების ინტეგრირება და 2. ადამიანის პოლიტიკურ სისტემასთან და პოლიტიკურ სოციუმთან ინტეგრირება. პოლიტიკური ინტეგრაცია კი არსებითად ნიშნავს ზემოთ აღნიშნული ძირითადი კომპონენტების ადამიანისა და პოლიტიკური სუბიექტის მიერ შეცნობას, გათავისებას, რაც ამავე დროს წარმოადგენს პოლიტიკურ სოციალიზაციას. როგორც ადამიანურ, ისე პოლიტიკური სუბიექტის დონეზე აღნიშნული კომპონენტების შეცნობა-გათავისება აყალიბებს როგორც ერთ, ისე მეორე დონეზე ხასიათს, რომელსაც პოლიტიკური ინტეგრაციის შიდა და გარე ფაქტორები განსაზღვრავს (შიგა ინტეგრაცია გულისხმობს ინდივიდის შინაგან ფსიქოლოგიურ თავისებურებებს; გარე ინტეგრაცია კი ინდივიდისა და პოლიტიკური სოციუმის ურთიერთზემოქმედებით განისაზღვრება. (ობიექტურად არსებულ პოლიტიკურ ფაქტორებს ემყარება), რომელშიაც ნათლად ჩანს ადამიანის დამოკიდებულება თავის თავისადმი და საერთოდ პოლიტიკური სისტემისადმი, რომელიც განაპირობებს პოლიტიკურ მოქმედებათა ინტენსიობასა და ქცევათა თავისებურებებს. ხასიათში ინტეგრირდება ქცევათა თანმიმდევრობა და ფუნქციონალური სტაბილურობა.

ამგვარად, პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესში გამომუშავდება და ინტეგრირდება ადამიანის ზოგადპოლიტიკური თვისებები, მისი სტატუსი და როლი, ამ უკანასკნელში კი კონკრეტიზირდება ადამიანის პოლიტიკური სოციალურობა. როგორც ე. ვიატრი წერს, „პოლიტიკურ სოციალიზაციაში

ესმით იმ პოლიტიკურ პროცესთა ერთობლიობა, რომლითაც ინდივიდი ღებულობს გარკვეულ პოლიტიკურ როლს“, რომელიც პოლიტიკური ღირებულებებისა და ნორმების ათვისების პროცესში გამომუშავდება.

პოლიტიკური როლი (რომელზედაც მსჯელობა დაიწყეს ჯერ კიდევ XX დასაწყისში, დიდმა კლასიკოსმა სოციოლოგებმა: ე. დიურკჰეიმმა, მ. ვებერმა, ტ. პარსონსმა და სხვებმა), რომელიც შეადგენს პოლიტიკური სტატუსის განმსაზღვრელ კომპონენტს, წარმოადგენს ინდივიდის, პოლიტიკური სუბიექტისა და სოციუმის გარკვეულ პოლიტიკურ მდგომარეობას, რომელშიც ძირითადად მოიაზრება სოციუმისა და პოლიტიკური სუბიექტის მიერ დაკავებული მდგომარეობა, მისი უფლებები და მოვალეობები. პოლიტიკური სტატუსი პოლიტიკურ როლში რეალიზდება და კონკრეტულად გამოვლინდება.

ამგვარად, თემის დასასრულს შეიძლება ჩამოვთვალოთ პოლიტიკური სოციალიზაციის ნიშნები და ფუნქციები, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიული საზოგადოების შენებისთვის: 1. საზოგადოებისა და პოლიტიკური სუბიექტების პოლიტიკური კულტურიზაცია და თვითრეალიზაცია; 2. პოლიტიკური ორიენტაციებისა და პრიორიტეტების გააზრება და გამომუშავება, პოლიტიკური კულტურის ფორმირება; 3. პოლიტიკური პროგრესის შესაბამისად საზოგადოების პოლიტიკური მოდერნიზაციის თანმიმდევრული უწყვეტობა და ინტეგრაციული პროცესების გაღრმავება; 4. პოლიტიკური პროცესების

მართვა და თვითრეგულირება; 5. საზოგადოების პოლიტიკური დემოკრატიზაცია და ამ პროცესის სტაბილური განვითარების უზრუნველყოფა; 6. ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო პოლიტიკური ღირებულებებისა და ინტერესების სწორად შეხამება და საერთაშორისო პოლიტიკური დემოკრატიული პროცესების გაღრმავება.

უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ პოლიტიკური სოციალიზაციის უმნიშვნელოვანესი მიზანი პოლიტიკური, კულტურული ღირებულებების, ორიენტაციების შეფასებების, პოლიტიკური ცნობირებისა და აზროვნების, პოლიტიკურ-კულტურული შეგნებისა და ქცევების ფორმირებაა, რაც თავისთავად უაღრესად დიდი მნიშვნელობის ფენომენია საზოგადოების დემოკრატიული გზით განვითარებისათვის.

თავი VII
პოლიტიკური ლიდერი და მათი ტიპოლოგია

კაცობრიობის განვითარების მანძილზე, საზოგადოების დიდ და მცირე ჯგუფებსა თუ საზოგადოებრივ ნებისმიერ გაერთიანებაში არსებობს ლიდერი. ლიდერი არის ადამიანი, რომელიც გამოირჩევა თავისი მონაცემებით, ისეთი თვისებების მფლობელი, რომელიც გამოარჩევს მას ჯგუფის სხვა წევრებისაგან და უპირატესობას ანიჭებს მას იყოს პირველი.

არსებობს ლიდერობის მრავალგვარი სახე და ასპექტი. მათგან თემიდან გამომდინარე, ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ვისაუბროთ პოლიტიკურ ლიდერზე, რომელიც სათავეში უდგას პოლიტიკურ ჯგუფს თუ გაერთიანებას. იგი გვევლინება სახელმწიფო მეთაურადაც და მისი გავლენა და ავტორიტეტი ხშირად სცდება მას და საერთაშორისო რანგის ლიდერადაც წარმოგვიდგება.

პოლიტიკური ლიდერი ანხორციელებს ძალაუფლებას ერის თუ საზოგადოების იმ ნაწილზე, რომლის ლიდერსაც იგი წარმოადგენს. როგორც ჟ. ბლონდელი წერს: „ლიდერობა – ესაა ძალაუფლება იმიტომ, რომ იგი წარმოადგენს „მწვერვალზე“ მყოფი ერთი ან რამდენიმე პირის უნარს აიძულოს სხვები გააკეთოს ის პოზიტიური ან ნეგატიური, რასაც ისინი არ გააკეთებდნენ, ან საბოლოო ანგარიშით, შეეძლოთ არ გაეკეთებინათ საზოგადოდ“ [24, 397]. აღნიშნული განსაზღვრებიდან ჩანს, რომ იგი მიეკუთვნება მხოლოდ „მწვერვალზე“

მყოფ ძალაუფლების მქონე პირს ან პირებს. ეს არის ეროვნული მასშტაბის პოლიტიკური ლიდერი, რომელიც სამოქმედოდ განაწყობს მთელ ერს ან მის მნიშვნელოვან ნაწილს. პოლიტიკური ლიდერი განსხვავდება „მცირე ჯგუფის“ ლიდერისაგან, რომელსაც ახასიათებს:

1. დისტანციურობა, ანუ მათ არ აქვთ უშუალო კონტაქტები მის მიმდევრებთან, მისი დამოკიდებულება და კავშირები გაშუალებულია მოხელეებითა და კომუნიკაციების სხვადასხვა საშუალებებით.

2. მრავალროლურობა, ანუ პოლიტიკური ლიდერი ასრულებს მრავალ როლს: იგი ორიენტირებულია მისი უშუალო გარემოცვის, პოლიტიკური პარტიების, ბიუროკრატიული აღმასრულებელი აპარატისა და საერთოდ საზოგადოების ფართო მასებზე და ზრუნავს მათი წონასწორობისა და სტაბილური ურთიერთობების რეგულირებაზე.

3. კორპორაციულობა. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური ლიდერობა ინდივიდუალურია, იგი ამავე დროს, გამოირჩევა კორპორაციული ხასიათით, რადგან იგი მაინც არის ორგანიზებული აქტიურობის პროდუქტი, ე.ი. თავისი მხარდამჭერების ინტერესების გამომხატველი და რაც უფრო ადექვატურად გამოხატავს მას, მით უფრო მატულობს მისი იმიჯი.

აქედან გამომდინარე, პოლიტიკური ლიდერობა წარმოადგენს ძალაუფლების მქონე ერთი ან რამდენიმე პირის მუდმივ პრიორიტეტულ და ლეგიტიმურ გავლენას მთელ საზოგადოებაზე და სახელმწიფოზე.

საინტერესოა განვიხილოთ, თუ რა აძლევს ადამიანს ლიდერობის უნარსა და უფლებას? რა დევს ლიდერობის საფუძველში? როგორი თვისებების მატარებელი უნდა იყოს ლიდერი? აღნიშნულ კითხვებზე პასუხის გასაცემად არსებობს მთელი რიგი თეორიებისა, როგორებიცაა: 1. ნიშან-თვისებების თეორია; 2. სიტუაციური კონცეფცია; 3. კონსტიტუენტების და მიმდევართა თეორია და სხვა; 4. ფსიქოლოგიური კონცეფ-ციები.

1. **ნიშან-თვისებების თეორიის** მიხედვით, ლიდერი არის ადამიანი, რომელიც ფლობს ისეთ თვისებათა ერთობლიობას, რაც გამოარჩევს მას ჩვეულბრივი ადამიანებისაგან. ეს თეო-რია ადამიანთა გამორჩეულობაზე აკეთებს აქცენტს და პოლი-ტიკური ლიდერისთვის დამახასიათებელ გამორჩეულ ნიშან-თვისებებად მიიჩნევს: ინტელექტს, ყურადღებიანობას, კომუნი-კაბელურობას, ორატორულ ნიჭს, იუმორის გრძნობას, მახვილ-გონიერებას, მტკიცე ნებისყოფას, მიზანსწრაფულობას, ენერ-გიულობას, ორგანიზაციულ ნიჭს, კომპეტენტურობას, პასუხის-მგებლობის აღების უნარს, გარეგან მიმზიდველობას, ნდობის მოპოვების უნარს და სხვა. თუმცა, ჩამოთვლილი ნიშან-თვისებების მიმართაც არსებობს აზრთა სხვაობა.

ნიშან-თვისებების ზოგადი თეორია ვერ ითვალისწინებს იმ სპეციფიკურ ნიშან-თვისებებს, რომლებიც დამახასიათებელია ისტორიულად გარკვეული პერიოდებისა და ეპოქებისათვის. ლიდერობა დიდადაა დამოკიდებული სოციალურ სიტუაციაზე. ადამიანმა შეიძლება გარკვეულ დროსა და სიტუაციაში შეა-

სრულოს ლიდერის ფუნქცია, მაგრამ სხვა ვითარებაში იგი ვერ გამოდგეს ლიდერად. ე.ი. კონკრეტული გარემოება და ვითარება, ერთის მხრივ, განაპირობებს პოლიტიკური ლიდერის შერჩევასა და წარმოჩენას, მაგრამ ლიდერს არა მხოლოდ გარემოება და სიტუაცია ქმნის, არამედ, ძლიერ პიროვნებასა და გამჭრიახ ლიდერს შეუძლია სიტუაციის შექმნა, მას შეუძლია წინასწარ განჭვრიტოს და შეაფასოს ვითარება და თავის სასარგებლოდ წარმართოს პოლიტიკა და შეცვალოს სიტუაცია.

2. **სიტუაციური თეორია** ამოდის ლიდერობის ფარდობითობისა და მრავალგვარობის თვალსაზრისიდან, რომლის მიხედვითაც ლიდერი ყალიბდება და მოქმედებს სიტუაციის მიხედვით. იგი განსაზღვრული სიტუაციის ფუნქციაა და მისი ქმედება სოციალურ სიტუაციაზეა დამოკიდებული. სიტუაციურია ლიდერი, რომელიც განსაზღვრულ სიტუაციაში აღმოჩნდება ლიდერის ამპლუაში, სხვა სიტუაციაში კი არა. ე.ი. სიტუაციურ ლიდერს ქმნის კონკრეტული გარემოება. რა გარემოებაც ჩამოყალიბდება, მისი შესაბამისი ლიდერი შეირჩევა და გამოვა სამოღვაწეო ასპარეზზე. მაგალითად, საქართველოში, როცა იქმნებოდა ტოტალიტარისტული რეჟიმიდან თავის დაღწევის პირობები, გამოჩნდა ლიდერი, რომელიც თითქოს იმისათვის იყო დაბადებული, რომ ქვეყნისათვის მოეტანა თავისუფლება და დამოუკიდებლობა, რაც ბრწყინვალედ განახორციელა კიდეც, მაგრამ შემდგომ გარემოებამ და სიტუაციამ მოითხოვა არა მებრძოლი და რევოლუციურად განწყობი-

ლი ლიდერი, არამედ მასტაბილიზირებელი ქვეყნის მშენებელი, დემოკრატიული გზით წარმმართველი ლიდერი, რაც არც თუ ისე წარმატებულად გამოუვიდათ შემდგომ ლიდერებს.

უნდა აღინიშნოს, რომ სიტუაციური კონცეფცია არ არის სრულყოფილი. მისი ცალმხრივობა მდგომარეობს იმაში, რომ არა მხოლოდ სიტუაცია ბადებს ლიდერს, არამედ ძლიერ პიროვნებასა და ლიდერს შეუძლია თვითონ შექმნას გარკვეული სიტუაცია. იგი გრძნობს სიტუაციას, მას შესწევს უნარი წინასწარ განჭვრიტოს, დროზე შეაფასოს და შეცვალოს სიტუაცია.

3. **კონსტიტუენტების და მიმდევართა თეორიის** მეხოტბეები ლიდერობის საიდუმლოს ეძებენ არა პიროვნების მომხიბვლელობაში და მის თვისებებში, არამედ თუ რამდენად ერთგულად და თავდადებულად გამოხატავს იგი მის მხარდამჭერი ჯგუფების, სოციუმის მოთხოვნებსა და ინტერესებს. აღნიშნული თვალსაზრისის მიხედვით ლიდერი ხდება ის პიროვნება, რომელიც მთლიანად ითვალისწინებს, უკეთესად ანხორციელებს თავის მიმდევართა ინტერესებს. გამოდის, რომ ასეთ ლიდერს ძალას აძლევს მისი მიმდევრები და მხარდამჭერები და, შესაბამისად, ძლიერ ზეგავლენასაც ახდენენ მასზე. ასეთ პირობებში ლიდერს წარმატების იმედი შეიძლება ჰქონდეს მაშინ, თუ თავის მხარდამჭერების ინტერესებიდან გამომდინარე, ააგებს თავის პოლიტიკას. როგორც ვ. პუგაჩოვი და ა. სოლოვიოვი აღნიშნავენ, „კონსტიტუენტების მეშვეობით

ვლინდება გაბატონებული პოლიტიკური კულტურისა და, უპირველეს ყოვლისა, ამომრჩეველთა ღირებულებითი ორიენტაციებისა და მოლოდინების ზემოქმედება პოლიტიკაზე“ [2, 127].

მიმდევართა თეორიის კრიტიკოსებს მართებულად მიაჩნიათ, რომ ამ შემთხვევაში იჩრდილება და იკარგება ლიდერის თვითმყოფადობა და დამოუკიდებლობა, მისი ინოვაციებისა და აქტიურობის სხვა უნარები. თანამედროვე პირობებში კონსტიტუენტური ლიდერები ხდებიან კონფორმისტები, შემგუებლები, კარიერისტები, კონიუნქტურას მორგებული ტიპები, რომლებიც ცდილობენ სარფიანად გაყიდონ თავიანთი ლიდერობა. ასეთ ლიდერებს „ფლუგერებს“ უწოდებენ – მიმდევართა მოთხოვნილებებისა და სხვათა განწყობათა მიმართ ლოიალურობისა და კონფორმისტული მიდრეკილებების გამო.

ლიდერობის თაობაზე ზემოთ აღნიშნული თეორიების გარდა, არსებობს სხვადასხვა ფსიქოლოგიური კონცეფციები და თვალსაზრისები.

4. **ფსიქოლოგიური კონცეფციები.** ფსიქოლოგიური მიდგომით ადამიანთა ფსიქიკა პირველადია, რომელიც დევს საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძველში და განსაზღვრავს მას. ზ. ფროიდის მიხედვით, ლიდერობის საფუძველია დათრგუნული ლიბიდო, როგორც უპირატესად სექსუალური ხასიათის არაცნობიერი ლტოლვა. სუბლიმაციის პროცესში იგი ვლინდება შემოქმედებისადმი აქტივობაში და მათ შორის

ლიდერობისაკენ მისწრაფებაში, რომელიც ჯერ კიდევ ბავშვობიდანვე ვლინდება.

ფსიქოანალიტიკოსები ლიდერობას განიხილავენ, როგორც ნევროზული მოვლენის განსაზღრულ სახეს. მათი აზრით, საზოგადოება იყოფა ფსიქიკურად ნორმალურ და არანორმალურ ადამიანებად. სწორედ ამ უკანასკნელთ აღენიშნებათ ლიდერობისკენ სწრაფვის გამოკვეთილი უნარები. გამორჩეული პოლიტიკური მოღვაწეების ბიოგრაფიები და ფსიქოანალიტიკოსები აღნიშნავენ, რომ მათ უმრავლესობას ბავშვობიდანვე გააჩნიათ გადახრები, რაც შემდგომ ლიდერობის მანიაში იკვეთება.

რა თქმა უნდა, ეს ფსიქოლოგიური მომენტები, ისევე როგორც ჩვენს მიერ განხილული თეორიები და კონცეფციები, ყურადსაღები და გასათვალისწინებელია ლიდერის დახასიათებისა და შეფასებისას, მაგრამ მათი გააბსოლუტიზირება და რომელიმე თვალსაზრისზე ცალმხრივად დგომა სრულფასოვანი ვერ იქნება. თუმცა, არსებობს სრულფასოვნებისა და უნივერსალურობის პრეტენზიის მქონე **ინტერაქციონალური ანალიზის თეორია** – რომელშიც თავმოყრილია ჩვენს მიერ განხილული თეორიები, მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ მასში მექანიკურად არის გადმოტანილი, განხილული და შეჯერებული კონცეფციათა ძირითადი დებულებები და სერიოზულად არ არის გაანალიზებული თვითონ ლიდერის ხასიათი, მისი მომხრეების, ამომრჩევლების მოტივაციები; ლიდერსა და მის მიმდევრებს შორის ურთიერთკავშირი, ის კონკრეტული

ვითარებები და სიტუაციები, რომელშიაც ლიდერს უხდება მოღვაწეობა და სხვა მნიშვნელოვანი მომენტები, რომლებიც საფუძვლიან შესწავლას და ანალიზს მოითხოვს.

7.2. პოლიტიკურ ლიდერთა ტიპოლოგია

ამ რთული და მრავალმხრივი ფენომენის შესწავლისა და მეცნიერული ანალიზის პირველი მცდელობა მოგვცეს დიდმა მეცნიერებმა მ. ვებერმა და ვ. პარეტომ.

მ. ვებერი გამოჰყოფს პოლიტიკური ლიდერის სამ ტიპს: 1. ტრადიციული; 2. რაციონალურ-ლეგალური; 3. ქარიზმატული. ტრადიციული ლიდერის გამორჩეულობა და ავტორიტეტი ტრადიციების ერთგულებასა და დაცვას ემყარება; რაციონალურ-ლეგალური ლიდერის კი ლეგიტიმურად არსებულ წყობილებაში წესრიგის დაცვასა და ლიდერის კომპეტენტურობას; ხოლო ქარიზმატული ლიდერის ავტორიტეტი ემყარება ღვთის მიერ ბოძებულ მადლს, მის განსაკუთრებულ უნარებს და რწმენას.

მ. ვებერი აღნიშნულ ტიპოლოგიაში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ქარიზმატული ტიპის ლიდერის დახასიათებასა და ანალიზს. იგი ქარიზმატულ ლიდერს დიდ რევოლუციურ და გარდამქმნელ ძალად მიიჩნევს, განსაკუთრებით კრიტიკულ და კრიზისულ პერიოდებში. მას შეუძლია სოციალური გარდაქმნებისა და განახლების მიზნით ადამიანთა დიდი მასების მობილიზება. იგი თავისი არსებობითაც კი დიდ იმედებსა და რწმენას უნერგავს, ადვილად არწმუნებს

ხალხს წარმატების მოპოვებაში. ქარიზმატულ ლიდერს მიეწერება ღვთაებრივი უნარები. მასასა და მის მიმდევრებს შორის ურთიერთობები ემოციური და პირად სიმპატიასა და სიყვარულზეა დაფუძნებული. ხალხი მისადმი ერთგულებას აუცილებლობად მიიჩნევს. გამორჩეულ ლიდერთა შორის ისტორიულად, უპირველეს ყოვლისა, ასახელებენ: მოსეს, კეისარს, იესოს, მუჰამედს, ნაპოლეონს, ჰიტლერს, სტალინს, მ. განდის, ჰომეინის და სხვებს.

ვ. პარეტოს მიერ წარმოდგენილი პოლიტიკურ ლიდერთა ტოპოლოგია ნ. მაკიაველისეული პოზიციებიდან გამომდინარეობს. ვ. პარეტო პოლიტიკურ ლიდერთა ტიპებს ჰყოფს „ლომებად“ და „მელიებად“.

„მელიას“ ტიპის პოლიტიკური ლიდერი ხასიათდება ისეთი თვისებებით, რომლებსაც მიაწერენ მელას. კერძოდ: ეშმაკობას, ცბიერებას, მოხერხებულობას, ლავირების უნარს, სიტუაციის წინასწარ ჭვრეტისა და ამოცნობის, თავისი ჭეშმარიტი ზრახვებისა და მიზნების დაფარვას, მოსალოდნელი ხიფათის თავიდან აცილების უნარს, კვალის დაფარვასა და სიფრთხილეს და ა.შ.

„ლომის“ ტიპის პოლიტიკური ლიდერი კი შეფასებულია, როგორც პირდაპირი, სწორხაზოვანი, ძალისმიერი, გამარჯვების მოპოვების მსურველი ღია დაპირისპირებითა და ბრძოლით და სხვა.

უნდა აღინიშნოს, რომ არც ვ. პარეტოსეული ლიდერთა ტიპოლოგიური დაყოფა არ არის სრულყოფილი და იდეა-

ლური. პოლიტიკოს ლიდერს, რა თქმა უნდა, ეს ორივე მხარე უნდა ჰქონდეს შეთვისებული და შეეძლოს სიტუაციიდან გამომდინარე ამ თვისებების საჭირო დროს ეფექტურად გამოყენება.

რაც შეეხება თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში ლიდერის პრობლემაზე არსებულ კვლევებს, ფსიქოლოგები, სოციოლოგები, პოლიტოლოგები და სხვები საკმაოდ ბევრს წერენ ლიდერთა ტიპოლოგიის საკითხებზე. მაგალითად, თანამედროვე მკვლევარი მ. ბერნსი ლიდერებს ორ კატეგორიად ჰყოფს: გარდამქმნელებად და საქმოსნებად; ე. ვიატრი იდეოლოგიასთან დამოკიდებულების მიხედვით ასევე ორად ჰყოფს ლიდერებს: ლიდერ-იდეოლოგებად და ლიდერ-პრაგმატიკოსებად; გ. ავცინოვა [1, 520-21] **ძალაუფლებასთან მიმართებაში** გამოჰყოფს ოპოზიციონერ და მმართველ ლიდერებს, მმართველ ლიდერების ტიპს კი ორ ქვეტიპად ჰყოფს, ეგოცენტრულ და სოციოცენტრულ. **მიზანდასახულობის მიხედვით** – რეფორმატორ და რევოლუციონერ; **საქმიანობის მიხედვით** კი – იდეოლოგ-პოლიტიკოსისა და ორგანიზატორ-პოლიტიკოსის ტიპებად. **რეალობისადმი დამოკიდებულებაში** – 1. რეალისტის; 2. ფანატიკოსის და 3. რომანტიკოსის ტიპს.

1. **რეალისტი პოლიტიკოსი** – ადექვატურად აღიქვამს სინამდვილეს, მის წინაშე მდგარ მიზნებსა და ამოცანებს, ყოველთვის ამოდის ობიექტური რეალობიდან, ძალთა არსებული თანაფარდობიდან ითვალისწინებს მასების შეგნების დონესა და განწყობას და სხვა რეალობებს.

2. **ფანატიკოს პოლიტიკოსს** – ღრმად სწამს და ერთგულად ესახურება თავის საყვარელ იდეას. თავისი მიზნების მისაღწევად იგი არაფერზე უკან არ იხევს. ფანატიკურად სწამს და სჯერა თავისი აზრის სისწორის და შეუწყნარებელია განსახვავებული აზრისა და პოზიციისადმი. ხელმძღვანელობს თავისი იდეოლოგიური მიზანსწრაფვებით და ყოველმხრივ ცდილობს მის სხვებზე გავრცელებას ისე, რომ ანგარიშს არ უწევს რეალობას.

3. **ლიდერ რომანტიკოსს** – გააჩნია დიდი შთაგონებითი ძალა. მას შეუძლია ხალხის აღტკინება და მიმხრობა, მათი რაიმე მომხიბლავი იდეის გარშემო დარაზმვა. მისი სანუკვარი და საოცნებო იდეა თუ სწრაფად და წარმატებით არ ან ვერ განხორციელდა (ანდა სულაც თუ დაიმსხვრა რომანტიზმის ბურუსით მოცული ნაოცნებარი), მაშინ რომანტიკოსი-პოლიტიკოსი ვარდება ღრმა აპათიაში, მას აღარ შესწევს უნარი შეცვლილი ვითარების პირობებში იყოს ადექვატური, მოძებნოს სხვა გზა და ნახოს გამოსავალი. როგორც გ. ავცინოვა აღნიშნავს, რომანტიკოსი ლიდერი მოქმედებს გაუაზრებლად, ზერელედ, გაბედულად და რისკიანად, მაგრამ იდეის განხორციელების გზაზე მას წინააღმდეგობები და სირთულეები აბნევს და გამოჰყავს წყობილებიდან.

რომანტიკოსი ლიდერის უმთავრესი თვისებაა პოპულიზმი. ეს თვისება თითქმის ყველა ტიპის ლიდერს გააჩნია მეტნაკლები დოზით, მაგრამ არიან ლიდერი პოლიტიკოსები, პოპულისტი ტიპები, რომლებიც თითქოს მხოლოდ პოპულის-

ტური მოღვაწეობისთვის არიან დაბადებულნი. როგორც წესი, ისინი უფრო ხშირად საზოგადოების განვითარების გარდამავალ პერიოდებში გვხვდებიან მაშინ, როცა ძველი ინგრევა და ახალი ჯერ არ არის დამკვიდრებული. ისინი ახერხებენ არსებულ რთულ ვითარებაში გარკვევას, ცდილობენ ფართო მასების ინტერესებისა და მოლოდინების რეალურად შეფასებას და გამოდიან ამ ინტერსების გამტარებლებად, რითაც იხვეჭენ ხალხის დიდ მხარდაჭერას, ხდებიან „ბრბოს კერპები“. პოპულისტები პოლიტიკურ ეფექტს იაფფასიანი საშუალებებითა და გამონათქვამებით აღწევენ, სპეკულირებენ მოკლევადიანი წარმატებების მომტანი იდეებით, ეს იქნება ქვეყანაში რაიმე პრივილეგიების გაუქმება, უფასო სამედიცინო მომსახურეობისა თუ განათლების შემოღება, ტარიფებისა და გადასახადების შემცირება თუ გაუქმება და სხვა. პოპულისტი პოლიტიკოსები ხშირად ამარტივებენ რთულ პრობლემებს, საზოგადოებას სთავაზობენ მიზნის მიღწევის სხვადასხვა მარტივ და უმოკლეს გზებს. როგორც წესი, ისინი გრძელვადიანი პერსპექტივის გათვალისწინებით, სერიოზულად არ იაზრებენ პრობლემებს და მათ უარყოფით შედეგებს.

თანამედროვე ეპოქაში ძირითადად მიღებული და გავრცელებულია პოლიტიკური ლიდერის ჯ. მორენოსეული ტიპოლოგია, რომელიც პოლიტიკურ ლიდერებს ყოფს ორ ჯგუფად: 1. ავტოკრატიულ და 2. დემოკრატიულ ლიდერებად.

1. **ავტოკრატიული ლიდეობა** დაკავშირებულია ერთპიროვნულ მართვასა და გადაწყვეტილებების მიღებასთან, რაც

დაფუძნებულია ძალის გამოყენებაზე. ავტორიტარი ლიდერი ხელში იღებს მთელ ძალაუფლებას, ერთპიროვნულად განსაზღვრავს და მართავს სახელმწიფოს მნიშვნელოვან თუ ნაკლებად მნიშვნელოვან სტრატეგიასა და ტაქტიკას. მას ჰგონია, რომ მხოლოდ მან იცის, როგორ უნდა მართოს ქვეყანა და სხვათა აზრს ნაკლებად ითვალისწინებს. როგორც ი. ემელიანცოვი აღნიშნავს, „მხოლოდ ის ერთი არის ყველა შემთხვევის საბოლოო ინსტანცია, უზენაესი მსაჯული, წახალისებებისა და სასჯელის წყარო. აქედან გამომდინარეობს, რომ ჯგუფის ყოველი მონაწილის ბედი ლიდერის ხელშია“ [18, 124]. ავტორიტარი ლიდერი კონფორმისტია, ეყრდნობა ავტორიტეტსა და ძალაუფლებას, დისციპლინით თრგუნავს ხელქვეითებსა და ხალხს. იგი მიზანდასახულად ხვეწს და სრულყოფს აბსოლუტური ძალაუფლების ფლობის ხელოვნებას და აქტიურად ზრუნავს თავისი ძალაუფლების კიდევ მეტად გაზრდაზე.

ავტორიტარული პოლიტიკოსი დამახასიათებელია გარდამავალი საზოგადოებისათვის, რადგან ასეთ პერიოდებს ახასიათებს არასტაბილური გარემო და, შესაბამისად, საზოგადოებაში ჩნდება „მტკიცე ხელზე“ მოთხოვნა. თუ ავტორიტარი ლიდერი შეძლებს ავტორიტარისათვის დამახასიათებელი ლტოლვებისა და მისწრაფებების დათრგუნვას და სამართლიანად წარმართავს თავის საქმიანობას, მაშინ მას შეუძლია შექმნას საფუძველი დემოკრატიულ საზოგადოებაზე გადასასვლელად.

7.3. დემოკრატიული ლიდერი არის ჯგუფისა და საზოგადოების ნდობით აღჭურვილი პირი, რომელიც უფლებამოსილია ილაპარაკოს მისი მომხრე და მიმდევარი საზოგადოების პირით. იგი ავტოკრატიული და სხვა ტიპის ლიდერებისაგან განსხვავებით ყოველთვის ცდილობს, რაც შეიძლება მეტი ჯგუფის წევრი ჩართოს გადაწყვეტილების მიღებაში, ითვალისწინებს ჯგუფისა თუ ორგანიზაციის ყველა წევრის შეხედულებებსა და ინტერესებს. დემოკრატიული ლიდერი კოლეგიალურად მართავს ნებისმიერ ორგანიზაციას, არ იღებს ერთპიროვნულ გადაწყვეტილებებს, არ უშვებს იერარქიული სტრუქტურების წარმოქმნას, აწესრიგებს შიგაჯგუფურ დაძაბულობებსა და კონფლიქტებს.

დემოკრატი ლიდერი ჯგუფის წევრებთან და საზოგადოებასთან მოქმედებს დარწმუნების და არა იძულების წესით, არა საკუთარი ემოციებიდან, არამედ საქმიდან და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. დემოკრატ ლიდერს სწამს საზოგადოების და მათზე დაყრდნობით ახერხებს მათი ინტერესების განხორციელებას მათივე აქტიურობითა და ინიციატივიანობით. მას შეუძლია ხალხის დარწმუნება და ორგანიზება და მათთან რაციონალური თანამშრომლობა.

პოლიტიკურ სოციოლოგიაში გამოჰყოფენ ლიდერის სამ ფუნქციას:

1. პოლიტიკური დიაგნოზის ფუნქცია. ამ სტადიაში ლიდერი სწავლობს სიტუაციას და აფასებს იმას, თუ რა არის სწორი და არასწორი და რას ესაჭიროება გამოსწორება.

2. სამოქმედო მიმართულების განსაზღვრა. ამ ფაზაში ლიდერი შეიმუშავებს მოქმედების მიმართულებას, რომელიც პასუხობს პრობლემის გადაწყვეტას და მიდის იმ დასკვნამდე, თუ რომელი მიმართულება იქნება მისთვის სასურველი და სასარგებლო.

3. შემსრულებელთა მობილიზაციის სტადიაზე ხდება საზოგადოებრივი ჯგუფების თუ მთელი საზოგადოების მობილიზება, რომელთაც შუუძლიათ გავლენა იქონიონ მოქმედების მიმართულებაზე. პრაქტიკულად ეს ის სტადიაა, როცა ლიდერის მიმდევრები და მხარდამჭერები აქტიურად ებმებიან მოცემული მიმართულების განხორციელებაში, ეწევიან დანარჩენი მოსახლეობის გააქტიურებასა და მობილიზებას იდეის გარშემო. როგორც ჟ. ბლონდელი წერს: „ლიდერობა – მუდამ უფრო მეტია, ვიდრე სიტუაციის ანალიზი და გადაწყვეტილებათა მიღება, იგი აგრეთვე მდგომარეობს იმ ადამიანთა გონებასა და ენერგიაზე ზემოქმედებაში, რომლებსაც მოუწევთ თავიანთი როლის შესრულება მოქმედებათა რეალიზაციის დროს“ [24, 408].

ამგვარად, პოლიტიკური ლიდერი გამოხატავს გარკვეული სოციალური ჯგუფის თუ მთელი საზოგადოების ინტერესებს, მიზნებს, მისწრაფებებსა და ინტერესებს. მისი წარმატებები დამოკიდებულია მის მიმდევრებზე, მხარდამჭერებზე, იმაზე თუ რამდენად ფართო მასების ინტერესებისა და პოზიციების გამომხატველად და დამცველად მოგვევლინება იგი. ლიდერს

მნიშვნელოვანი როლი ენიჭება არსებული სინამდვილის შეცვლასა და ჩამოყალიბებაში, მაგრამ ამავე დროს თვითონაა ამ სინამდვილის შვილი.

ლიტერატურა

1. Авцинова Г.А. Политическое лидерство, Типология политического лидера. «Бахрах», 1999.
2. Пугачев В.П., Соловьев А.И. Введение в политологию, «Прогресс», 1996.
3. Парсонс Т. Система современных обществ, М., 1998.
4. Парсонс Т. О понятии политической власти. в кн. Антология мировой политической мысли в 5 т., т. 2, М., «Мысль», 1997.
5. Панарин А. Философия политики, М., 1996.
6. Бешлер Ж. Демократия, М., 1994.
7. Бауман З. Мыслить социологически. М., 1994.
8. Шарон П. Сравнительная политология, М., 1992.
9. Ницше Ф. Воля к власти, полн. собрание сочинений, т. 9, 1909.
10. Шмитт К. Понятие политического, вопросы социологии, т. 1, №1, 1992.
11. Дювеже Н. Политические институты и конституционное право, в кн. Антропология мировой политической мысли в 5т., т. 2, 1997.
12. Крозье М. Современное государство – скроенное государство, в кн. Антология мировой политической мысли, т. 2, 1997.
13. Вебер М. Избранные произведения, М., «Прогресс», 1990.
14. Вебер М. Основные понятия стратификации в кн. А.И. Кравченко. Социология М. Вебера, 1997.
15. Смелзер Н. Социология, М., 1994.

16. ვებერი მ. პოლიტიკა როგორც მოწოდება და ხელოვნება, თბ., 1998.
17. Фролов С. Социология, М., «Наука», 1994.
18. Емельянцов Ю.Н. Лидерство и групповая динамика, в кн. Психология и психоанализ власти, «Бахрах», Самара, 1999.
19. Арон Р. Демократия и тоталитаризм, М., 1993.
20. Шумпентер И. Капитализм, социализм и демократия, М., 1995.
21. ფუკუიამა ფ. ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი. თბ., 1999.
22. Шванценберг Р. Политическая социология, М., 1992.
23. Демидов А.Н., Федосеев А.А. Основы политологии, М., 1995.
24. Блондель Ж. Политическое лидерство, «Бахрах», 1999.
25. Вятр Е. Социология политических отношений, М., 1979.
26. Гиденс Э. Политика, управление и государство. «Рубеж», №3, 1992.
27. Гиденс Э. Социология, М., 1999.
28. Истон Д. Категории системного анализа политики, М., 1997.
29. Бурдье П. Социология политики. М., 1992.
30. Арон Р. Этапы развития социологической мысли. М., 1992.

იბეჭდება ავტორის მიერ წარმოდგენილი სახით

გადაეცა წარმოებას 28.05.2009. ხელმოწერილია დასაბეჭდად 05.06.2009. ქაღალდის ზომა 60X84 1/16. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 9. ტირაჟი 100 ეგზ.

საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, კოსტავას 77

Verba volant, scripta manent

შპს „გეორგიკა“, თბილისი, ჯიქიას 10